ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

16
სექტემბერი,
ორშაბათი,
2013 წ., №12

გვ. 8

ერთიან ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შედეგების მქონე პირველი ათეულიდან 4 სტუდენტი თსუ-ში მოხვდა, რომელთა შორისაც თათია შარიამ საქართველოს მასშტაბით ყველაზე მაღალი ქულები მიიღო

გვ. 13

რატი ბრეგაძე:
„სტუდენტურმა თვითმმართველობებმა უნდა შეინარჩუნონ პოლიტიკური ნეიტრალიტეტი“

„მე ჯადოსნური ჯოხი არ მაქვს, რომ ყველა პრობლემა მყისიერად გადავწყვიტო“

ინტერვიუ თსუ-ის რექტორთან, აკადემიკოს ლადო პაპავასთან

როგორ აპირებს რექტორი გამოცხადებული ნდობის გამართლებას

მე-3 გვერდზე

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

მინდა, ახალი სასწავლო წლის დაწყება მივულოცო ყველა სტუდენტსა და პროფესორს. განსაკუთრებით ვულოცავ პირველკურსელებს, რომელთათვისაც სტუდენტად გახდომა — ეს არის განსაკუთრებული, ხოლო ბევრისთვის — პირველი სერიოზული ნაბიჯი ცხოვრებაში. ყველას ვუსურვებ წარმატებულ სწავლას. სასწავლო წლის დაწყებამდე უნივერსიტეტი „მიძინებულ“ რეჟიმშია, ხოლო სტუდენტების არდადეგებიდან დაბრუნების შემდეგ უნივერსიტეტი ფუნქციონირების სრულფასოვან რეჟიმზე გადადის. პირადად ჩემი, როგორც რექტორის, ამოცანაა სასწავლო პროცესი წარიმართოს შეფერხებების გარეშე, თანაც სტუდენტები აქტიურად ჩაერთონ სამეცნიერო კვლევებში. უნივერსიტეტის პროფესორებს კი მაქსიმალურად ხელს შევუწყობთ, რათა შეძლონ სრულფასოვნად განახორციელონ მათი ძირითადი ფუნქციები – ასწავლონ და განახორციელონ სამეცნიერო კვლევა. დარწმუნებული ვარ, რომ ახალი სასწავლო წელი ბევრ საინტერესოს მოუტანს სტუდენტებსა და პროფესორებსაც. კიდევ ერთხელ ყველას გილოცავთ!

ვლადიმერ პაპავა,
რექტორი

სენსაციური აღმოჩენა და თვალსაზრისები

საქართველოს სამეცნიერო და სამოქალაქო საზოგადოება ბოლო დროს ყურადღებით ადევნებს თვალს ბოლნისის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საყდრისი-ყაჩაღიანის სამთო მაღაროს გარშემო ატეხილ სკანდალს, რომელიც მაღაროსთვის კულტურული ძეგლის სტატუსის ჩამორთმევის საკითხს შეეხება.

საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, საკითხის დაწვრილებით შესწავლის მიზნით შექმნილია ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 10 სექტემბერს ადგილზე მოინახულა საყდრისის არქეოლოგიური გათხრები. ექსპერტთა ჯგუფთან ერთად ბოლნისში იმყოფებოდნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა. ობიექტის დათვალიერების შემდეგ გაიმართა სხდომა, რომელმაც ექსპერტთა ჯგუფს მეცნიერული დასკვნის დაწერა დაავალა. დასკვნა, სავარაუდოდ, სამ დღეში დაიდება, რასაც შედეგად პრობლემის მოგვარება უნდა მოჰყვეს.

გვ. 9

ნომერში

ფაკულტეტების მოლოდინები და ინიციატივები.....6-8

რომელ ინსტიტუტს სურს დარჩენა თსუ-ის ქოლგის ქვეშ?.....10-11

კავკასიის მე-3 საერთაშორისო სიმპოზიუმი.....12

იგი ზედმეტად ფილოსოფოსი იყო და ზედმეტად უყვარდა ჭეშმარიტება.....14

- რა სიახლეა უმაღლესი განათლების სფეროში?
- რა მხარდაჭერას უცხადებს ახალ რეალობაში უნივერსიტეტს განათლების მინისტრი?
- რას ითვალისწინებს ახალი კანონპროექტი, რომელზეც მუშაობა მიმდინარეობს?
- სტატუსის ცვლილება ეწინააღმდეგება თუ არა თსუ-ის ავტონომიურობის პრინციპს?
- რა იგეგმება მეცნიერების განვითარებისთვის?

თსუ-ს პირველად მიეცა დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთების საშუალება

ინტერვიუ მინისტრთან

მე-5 გვერდზე

დამთავრდება თუ არა უნივერსიტეტთან საზოგადოების საინფორმაციო ომი?

ინტერვიუ სოციოლოგ იაგო კაჭკაჭიშვილთან

მე-4 გვერდზე

იაგო კაჭკაჭიშვილი:

ამჟამად ხელისუფლებას უნივერსიტეტში არ მოუყვანია მისი ინტერესების გამტარებელი პიროვნება — ეს, ზოგადად, ქვეყანაში სისტემური ცვლილებების ერთერთი პროდუქტია. „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ თავის დროზე დამყარებული ავტორიტარული რეჟიმის შერყევამ უნივერსიტეტშიც იჩინა თავი – ამის დასტური იყო სწორედ რექტორად ლადო პაპავას არჩევა.

აკადემიური რეგისტრაციის გავლის პრობლემა თსუ-ში კვლავ აქტუალურია

ნატო ოგოლაძე

აკადემიურ რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები, რის შესახებაც სტუდენტები ბოლო წლებია აქტიურად საუბრობენ, წელსაც დაფიქსირდა. სასწავლო ბაზების გახსნიდან რამდენიმე წუთში სოციალურ ქსელში www.facebook.com სტუდენტებმა კომენტარების გამოქვეყნება დაიწყეს, სადაც აკადემიური რეგისტრაციის გავლისას წარმოქმნილი სირთულეები ასახეს.

„სად არის საგნები? შევალ შევიხედები, ბაზა გაჭედილია"; „გაფიცებთ წმინდა გრძნობებს, ჩართეთ ბაზა"; „მეშვიდედ ვირჩევ საგნებს და ასეთი რამე არ მახსოვს: ბაზის გახსნიდან 1 საათის შემდეგ მთელი 10 კრედიტი მაქვს 60-დან, აქედან 5 ჩემი მიმართულების არ არის"; „მთავარია ფსიქოლოგებმა აირჩიეს საგნები, გვიმკურნალებენ მაინც, საყვარლები" — თავის მოსაზრებებს წერენ სტუდენტები სოციალურ ქსელში.

2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის აკადემიური რეგისტრაცია 11 სექტემბერს დაიწყო. სასწავლო ბაზის გამართულად მუშაობის მიზნით თსუ-ის ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტმა sms.tsu.ge-ის ქსელური და სერვერული სისტემების ოპტიმიზაცია განახორციელა, ასევე, გადაწყდა სხვადასხვა ფაკულტეტისთვის რეგისტრაცია ეტაპობრივად დაწყებულიყო. კერძოდ: 9:00 საათზე – ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და ტურიზმის საერთაშორისო სკოლის სტუდენტებისთვის გაიხსნა ბაზა, 11:00 სთ-ზე – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის, 13:00 სთ-ზე — სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის, 15:00 სთ-ზე – იურიდიული ფაკულტეტისთვის, 17:00 სთ-ზე — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტებისათვის. დამატებით სხვა სპეციალობების საგნების არჩევა სტუდენტებმა 12 სექტემბერს დაიწყეს. აკადემიური რეგისტრაციისას წარმოქმნილი ხარვეზების გამოსასწორებლად ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტმა სტუდენტებს ბაზის ალტერნატიული ვერსია — sms2.tsu.ge შესთავაზა, რამაც ვითარება შედარებით განმუხტა.

„აკადემიური რეგისტრაციის პროცესში პრობლემები ისევ წარმოიქმნა, თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ წინა წლებისგან განსხვავებით პრობლემა იმდენად დიდი სირთულისა აღარ იყო. პროცესზე მონიტორინგისას დავადგინეთ, რომ ქსელურმა და სერვერულმა სისტემებმა გამართულად იმუშავა, ხარვეზები sms.tsu.ge-ის აღმოაჩნდა. გამოსავალი პროგრამა sms.tsu.ge-ის სრულიად შეცვლა ან, უკიდურეს შემთხვევაში, მისი კიდევ უფრო მეტად დახვეწაა, რადგან ის ზომები, რომელიც ჩვენ მივიღეთ, ვითარების გამოსასწორებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. ამჯერად სიტუაცია დარეგულირებულია, რადგან განსაკუთრებული დატვირთვა რეგისტრაციის პირველ დღეს დაფიქსირდა", — განმარტა თსუ-ის ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ზურაბ ჯიქიამ.

აკადემიური რეგისტრაციის გავლისას სტუდენტებს უკმაყოფილება მხოლოდ ტექნიკური ხარვეზების გამო არ გამოუთქვამთ. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები პროტესტს საგნებზე შეზღუდული ადგილების დაწესების გამოც გამოხატავდნენ. მათი მოთხოვნის პასუხად, ფაკულტეტის ადმინისტრაციამ რამდენიმე საგანზე დამატებითი ჯგუფებიც გახსნა.

ასევე აღსანიშნავია, რომ 11 სექტემბერს სოციალურ ქსელში www.facebook.com გახსნილ თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჯგუფში სტუდენტებმა საპროტესტო აქცია დააანონსეს. „სპილო ოთახში" ინგლისური იდიომაა იმ პრობლემის დასანახად, რომელიც უზარმაზარია, თუმცა მის მოგვარებაზე არ ზრუნავენ. უნივერსიტეტში წლების განმავლობაში უამრავი პრობლემა დაგროვდა. წინა ადმინისტრაციებმა ამ პრობლემების მოგვარება ვერ შეძლეს. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ბაზებთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებმაც თავი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში ისევ იჩინა. 16 სექტემბერს თსუ-ის პირველ კორპუსთან ვიკრიბებით, რათა ახალ რექტორს დავანახოთ ის პრობლემები, რომლებიც გვაწუხებს და მოვისმინოთ მისი ხედვა, როგორ აპირებს აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას. მოდი, მოიტანე შენი ბანერი და მოითხოვე ხარისხიანი უმაღლესი განათლება", — ნათქვამია სოციალურ ქსელებში სტუდენტების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ რეგისტრაციას, როგორც სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტში აღნიშნეს, მან პრობლემების გარეშე ჩაიარა.

ადმინისტრაციული რეგისტრაცია გაიარეს იმ სტუდენტებმაც, რომლებიც სემესტრის განმავლობაში სწავლის საფასურის ეტაპობრივ გადახდას ითხოვდნენ და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თანხის ეტაპობრივი გადახდის მოთხოვნა ამ სტუდენტებს დაუკმაყოფილეს.

რეაქცია

რექტორმა ვლადიმერ პაპავამ უკმაყოფილება გამოთქვა თსუ-ის ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტის მუშაობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მსგავსი პრობლემების დაფიქსირების შემთხვევაში შესაბამის ზომებს მიიღებს.

გზავნილი ადმინისტრაციას

დაასახელეთ პრობლემა, რომელიც გაწუხებთ...

მარი ოთიაშვილი

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

„დღესდღეობით თსუ-ის ყველა კორპუსი არ გახლავთ აღჭურვილი ხარისხიანი კომპიუტერული ტექნიკით. ისინი, ხშირ შემთხვევაში, ძალიან მოძველებული და პრობლემურია. კომპიუტერული პროგრამები არ არის ლიცენზირებული და, შესაბამისად, ჭირს სხვადასხვა სამუშაოს ეფექტურად შესრულება (მაგალითად, ჟურნალისტებს ჟურნალ-გაზეთების დასაკაბადონებლად ესაჭიროებათ ლიცენზირებული ფოტოშოპის და ინდიზაინის პროგრამები, არალიცენზირებულ პროგრამებს ყოველ თვეში გასდის ვადა და, შესაბამისად, პრობლემებს ქმნის). ასევე, მოსაგვარებელია უკაბელო ინტერნეტის საკითხიც. დღესდღეობით თსუ-ის ყველა კორპუსი არ არის აღჭურვილი შესაბამისი ტექნოლოგიებით, რაც უზრუნველყოფდა ინტერნეტის შეუფერხებელ მოწოდებას. გარდა ამისა, თსუ-ის მხოლოდ რამდენიმე ფაკულტეტის რამდენიმე მიმართულება სთავაზობს სტუდენტებს ორმაგი ხარისხის ერთობლივ სამაგისტრო პროგრამებს. კარგი იქნებოდა, თუ უფრო მეტი ორმაგი ხარისხის ერთობლივ სამაგისტრო პროგრამებს შემოგვთავაზებდა ჩვენი უნივერსიტეტი. ასეთ შემთხვევაში, მგონია, რომ ნაკლები სტუდენტი დაიწყებდა ფიქრს საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებაზე".

გიორგი ბაქრაძე

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

„უკვე მეოთხე წელია, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვსწავლობ და შემიძლია ვთქვა, რომ ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვალა, მაგრამ მაინც არსებობს პრობლემები, რასაც სწავლის პერიოდში ვაწყდები და რის გამოსწორებასაც ვისურვებდი. სამ ძირითად ფაქტს გამოვყოფდი: გაუმართავი ბაზები, დაძველებული კომპიუტერული ტექნიკა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა უხეში დამოკიდებულება სტუდენტების მიმართ... თსუ-ის ნებისმიერი სტუდენტისთვის ბაზების გაუმართაობა (და თავად ეს სისტემა) დიდი თავის ტკივილია. საგნების არჩევა შეჯიბრს ემსგავსება, სადაც სტუდენტმა სხვა სტუდენტებს უნდა დაასწროს, რომ კარგი ლექტორები აირჩიოს. ვინც ასწრებს – იმარჯვებს, ვინც ვერა – აგებს. ეს პრობლემა უკვე დიდი ხანია არსებობს უნივერსიტეტში და დისკომფორტს გვიქმნის სტუდენტებს, მაგრამ, გაურკვეველი მიზეზების გამო, პრობლემის მოგვარება დღემდე არ ხერხდება. საკმაოდ დიდი პრობლემაა კომპიუტერულ მომსახურებასთან დაკავშირებითაც: თსუ-ის რესურსცენტრებში შეხვდებით უამრავ კომპიუტერს, რომელიც უკვე დაძველებულია და საჭიროებს განახლებას (განსაკუთრებით: IV, III და II კორპუსებში). ფართოდ მოიხმარება არალიცენზირებული კომპიუტერული პროგრამები, რაც გამოუსადეგარია სწავლისთვის. სტუდენტების მიმართ ადმინისტრაციის წარმომადგენელთა არაკორექტული, აგდებული და ზოგჯერ მტრული დამოკიდებულებაც არ არის დასამალი... შევხვედრივარ ადმინისტრაციის ისეთ თანამშრომლებს, რომლებიც სტუდენტებს ეხმარებიან და ყველანაირად ცდილობენ — მხარში ამოუდგნენ, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც, დახმარების ნაცვლად, ცდილობენ სტუდენტები თავიდან მოიშორონ და სხვაგან გადაამისამართონ. სტუდენტიც შიშით ვერაფერს ამბობს, რადგან ადმინისტრაციის წარმომადგენელი, გარკვეულწილად, პრივილეგიებით სარგებლობს და შეუძლია სტუდენტს პრობლემები შეუქმნას".

თამარ ფირანიშვილი

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

„ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვისაც უპირველესი პრობლემა 3 და 4 კრედიტიანი საგნების არსებობაა, რომლის გამოც ვერ ვახერხებთ სემესტრული 30 ან 35 კრედიტის შევსებას, რის გამოც, შესაძლებელია, სემესტრი დაგვემატოს. ნაცვლად 30 კრედიტისა 28-29 კრედიტის არჩევა გვიწევს. ასევე პრობლემა, რომელსაც ყოველ წელს ვაწყდებით, სწავლის საფასურის გადახდაა. 2010-2011 სასწავლო წელს გვეძლეოდა საშუალება — თანხა ექვს ნაწილად გაგვეყო და ისე დაგვეფარა. ეს შეღავათს აძლევდა თითოეული ჩვენგანის ოჯახს. კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტი კიდევ მოგვცემს ამის საშუალებას".

გიორგი ლოლაშვილი

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

„ვისურვებდი, რომ ადმინისტრაციას არ ენანებოდეს ფული დამატებითი საგანმანათლებლო ღონისძიებებისთვის და ხარჯავდეს ფულს სხვადასხვა ღონისძიებებში, მაგალითად, აწყობდეს სტუდენტურ ფორუმებს, თუნდაც რეგიონული მასშტაბით; იწვევდეს თუნდაც ქართული უნივერსიტეტის სხვა პროფესორებს და აწყობდეს სერიოზულ სამეცნიერო კონფერენციებს ნორმალური ორგანიზებით და მაღალი სტანდარტებით და არა კონფერენციებს, რომლებში მონაწილეობის მოტივიც მხოლოდ სასტიპენდიო ქულებია".

სალომე კუსიანი

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

„ის, რომ ფსიქოლოგიის მიმართულებაზე სასწავლო ლიტერატურის პრობლემაა, უკვე არაერთხელ გაჟღერდა. მწვავედ დგას ლაბორატორიების არსებობის საკითხიც. აუდიტორიებში მრავლად წააწყდები დანადგარებს, რომლებიც გამოსაყენებლად უვარგისია და სტუდენტის დასწრების პრობლემასაც ქმნის. ვფიქრობ, ურიგო არ იქნებოდა, ვინმეს ამ საკითხისთვისაც გადაეხედა".

ნინო ტურიაშვილი

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

„თსუ-ის უმთავრესი პრობლემა სწავლის ხარისხია. რიდერების რელევანტურობა ხშირ შემთხვევაში არ კონტროლდება და არ მოწმდება. გარდა ამისა, სწავლების ხარისხზე ცუდად აისახება რიგ ლექტორთა არაკომპეტენტურობა და, ხშირ შემთხვევაში, კვალიფიციურ ლექტორთა უპასუხისმგებლობა".

მოამზადა **თამარ დადიანმა**



როგორ აპირებს რექტორი გამოცხადებული ნდობის გამართლებას

ინტერვიუ თსუ-ის რექტორთან, აკადემიკოს ლადო პაპავასთან

თსუ-ის აკადემიურ საბჭოსთან ერთად არჩევანი საზოგადოებამაც გააკეთა – რექტორის პოსტი აკადემიკოსმა, ეკონომისტმა, მეცნიერმა, ექსპერტობის დიდი გამოცდილების მქონე ლადო პაპავამ დაიკავა. წლების შემდეგ უნივერსიტეტს სათავეში პირველად ჩაუდგა ის პიროვნება, რომელსაც რექტორის პოსტზე ასარჩევად თავად საზოგადოება რეკომენდირებდა. ეს უპირატესობა ახლად არჩეულ რექტორს უდავოდ აქვს და უნივერსიტეტის მიღმა დარჩენილი პროფესურის ნაწილის მხრიდან რეაქციებმაც არ დააყოვნა. ზოგიერთი მეცნიერი თუ მოქალაქე გარეთ გამომავალი ქართული პრესის ფურცლებზე უკვე ეხმიანება და მიმართვებსაც კი უგზავნის ახალ რექტორს, თუ რას მოელის მისგან. ასე რომ, უმრავლესობა პოზიტიური ცვლილებების მოლოდინშია. რით დაიწყებს საქმიანობას და რა პრიორიტეტებზე აკეთებს აქცენტს რექტორი? — ამ თემაზე თავად ბატონი ლადო პაპავა *გვესაუბრა.*

ნინო კაკულია

— ძალიან დიდია საზოგადოების მოლოდინი — რით დაიწყებთ თქვენს მოღვაწეობას უნივერსიტეტის რექტორის პოსტზე. საზოგადოება ელოდება ცვლილებებს. რა იქნება თქვენი პირველი ნაბიჯები?

— ჯერჯერობით დიდად ვერ დავიტრაბახებ საქმის წინ წაწევით, რადგან მცირე დროა გასული მას შემდეგ, რაც რექტორის მოვალეობის შესრულებას შევუდექი. თანაც უნივერსიტეტში ჩემი მოსვლა დაემთხვა არდადეგებისა და პროფესორთა შვებულების პერიოდს, ამიტომ, ბუნებრივია, დასახული გეგმების რეალიზების პროცესი აქტიურად ჯერ არ დაწყებულა. მზად ვარ, 100 დღის შემდეგ (ჩემი პირველი სამუშაო დღე იყო 19 აგვისტო), 29 ნოემბერს წარვდგე საზოგადოების წინაშე ანგარიშის ჩასაბარებლად — რა გაკეთდა პირველი 100 დღის განმავლობაში უნივერსიტეტში. რა თქმა უნდა, ყველა დაპირების შესრულება ვერ მოესწრება და, ალბათ, საზოგადოებაშიც არ იარსებებს ყველა პრობლემის უცებ გადაჭრის მოლოდინი, მაგრამ უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებით დაინტერესებულ ყველა პირს მე დეტალურად მოვახსენებ — როგორ მიდის პროცესები. მოგეხსენებათ, რექტორის არჩევნები ლოკალური საკითხი არ გახლავთ და ამ პროცესის მიმართ სრულიად საქართველოს ინტერესი იყო ძალიან დიდი, რაც თავად წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივმა აქტიურობამაც დაადასტურა. აქედან გამომდინარეც გამიჩნდა ანგარიშის ჩაბარების იდეა. ასე რომ, მე არა მხოლოდ უნივერსიტეტის, არამედ საზოგადოების წინაშეც ვგრძნობ თავს ანგარიშვალდებულად.

პირველი მოქმედება, რაც გავაკეთე (ეს, ალბათ, დიდი სატრაბახო არც უნდა იყოს), რექტორის კაბინეტში დაბრუნდა ივანე ჯავახიშვილის პორტრეტი — რასაც ჩემი მხრიდან სიმბოლურ ნაბიჯს უფრო ვუწოდებ.

გარდა ამისა, რაც წინასაარჩევნო კონცეფციაში მქონდა გაცხადებული (ყველა ეს პოსტულატი საკმაოდ კარგად გააშუქა უნივერსიტეტის გაზეთმა), ბუნებრივია, ყველაფრის რეალიზაციას ეტაპობრივად შევუდგები ჩემი ვალდებულებების გათვალისწინებით. ამ მიმართულებებით პირველი დავალებები უკვე გაცემულია.

— წარმატებული უნივერსიტეტის თქვენეული კონცეფცია 3 ძირითად პუნქტს ეყრდნობა. ეს არის ნიჭიერი სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების კონცენტრაცია, სათანადო დაფინანსება და მოქნილი მმართველობა. როგორ აპირებთ ნიჭიერი სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების კონცენტრაციას?

— პირველ რიგში, დაპირებისამებრ, ვფიქრობ პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის შექმნას (როცა სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ უნივერსიტეტი კონკურსის საფუძველზე დოქტორანტებს შესთავაზებს 2-3 წლიან კონტრაქტს უნივერსიტეტის კვლევით და სასწავლო საქმიანობაში ჩასართავად). ამ საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ზოგიერთ პროფესორთან კონსულტაციები უკვე გავიარე. სათანადო სამსახურს მივეცი დავალება ფინანსური რესურსის მოძიების თაობაზე და, ასევე, გარკვეულ ჯგუფს დავავალე, რომ მოამზადოს შესაბამისი დებულების პროექტი. ჩვენი ჩანაფიქრის თანახმად, პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტი 2014 წლიდან უკვე უნდა არსებობდეს. იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც ხარისხი დაცული ექნებათ, კონკურსის წესით შევარჩევთ და საუკეთესოებს უნივერსიტეტში დავტოვებთ.

— რას ნიშნავს მოქნილი მმართველობა, რასაც ასევე ითვალისწინებს თქვენი კონცეფცია?

— პირველ რიგში ვისაუბრებ იმ ცვლილებებზე, რომელიც უშუალოდ რექტორის კომპეტენციაა — ეს არის რექტორის მოადგილეების ანუ ვიცე-რექტორების დანიშვნის თემა. დღემდე უნივერსიტეტს ორი ვიცე-რექტორი ჰყავდა, თუმცა მათი ფუნქციები სტრუქტურირებული არ ყოფილა. ჩვენი ხედვაა, რომ რექტორს ჰყავდეს სამი მოადგილე, რომელთა ფუნქციებიც მკაცრად სტრუქტურირებული იქნება. ჩვენ გვეყოლება ვიცე-რექტორი, რომელიც სასწავლო პროცესს გააკონტროლებს; იქნება ცალკე ვიცე-რექტორი, რომელიც სამეცნიერო მიმართულებას ჩაიბარებს. ასევე გვეყოლება ვიცე-რექტორი, რომელიც უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების საკითხებზე გაამახვილებს ყურადღებას და რომელმაც უნდა ჩამოაყალიბოს ხედვა — როგორი უნდა იყოს უნივერსიტეტი ხვალ? რა საერთაშორისო ურთიერთობები უნდა გაღრმავდეს? როგორი ტიპის მოდელი უნდა ჩამოყალიბდეს? (ამ მოდელში ვითვალისწინებთ როგორც მიმდინარე საკითხების გადაწყვეტას, ასევე, სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებზე ორიენტირებას); როგორ უნდა უზრუნველყოთ უნივერსიტეტის დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან? და ა.შ.

> ყველა ის ადამიანი, ვინც თავის ფუნქციას ვერ შეასრულებს, დაემშვიდობება უნივერსიტეტს. აკადემიურმა საბჭომ იმისთვის მომცა ეს მანდატი, რომ უნივერსიტეტის და საზოგადოების ნდობა გავამართლო. ამ პასუხისმგებლობით აღჭურვილი კი ვერავის ვაპატიებ მოვალეობის პირნათლად არშესრულებას.

მართვის თვალსაზრისით ვაპირებ სათათბიროს შექმნას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ფაკულტეტების დეკანები. ეს უნდა იყოს მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც ფაკულტეტებზე მიმდინარე პროცესებს კოორდინაციას გაუწევს. და რაც მთავარია, უნდა გავააქტიუროთ მუშაობა სტუდენტობასთან, რათა მათ ჰქონდეთ განცდა, რომ რექტორი სტუდენტებისთვის „ხელმიუწვდომელი" და „ხმამიუწვდომელი" არ არის.

— კონცეფციაში თქვენ საუბრობდით მართვის ონლაინ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით...

— რაც შეეხება მართვის ონლაინ სისტემას, რამდენადაც ვხედავ, ამ კუთხით სერიოზული პრობლემებია. უნივერსიტეტის თანამედროვე ტექნოლოგიური უზრუნველყოფის თემა ჩემი მხრიდან, ამ ეტაპზე, სერიოზულ კრიტიკას იმსახურებს. მე მექნება ძალიან სერიოზული მოთხოვნები IT-სამსახურთან მიმართებაში.

— უკვე დაიწყო სტუდენტთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია. თქვენ აუცილებელ პირობად მიგაჩნიათ უნივერსიტეტის ელექტრონული ბაზის სრულყოფა, რათა სტუდენტებსა და თანამშრომლებს არ გაუჩნდეთ ტექნიკური პრობლემები. ამ საკითხს დღეს ყველაზე აქტუალურ პრობლემად განიხილავს სტუდენტთა უმრავლესობაც. სხვათაშორის ამ თემასთან ხშირად იყო მიბმული ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის საკითხი. თქვენი ინფორმაციით, არის თუ არა უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახური ამ ეტაპზე მზად აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად?

— შესაბამისი სამსახურები სიტყვიერად მზადყოფნას აცხადებენ, მაგრამ თუნდაც დღეს, როდესაც ჩემგან ინტერვიუს იწერთ, ამ კუთხით გარკვეული ჩავარდნა დაფიქსირდა. IT-ის სამსახურის (ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტი) წარმომადგენელი დავიბარე და საკმაოდ მკაცრი გაფრთხილება მივეცი. არ შეიძლება ტექნიკური პრობლემების გამო აკადემიური რეგისტრაციის გავლა სირთულეებთან იყოს დაკავშირებული. ეს ტექნიკურად დაუძლეველ პრობლემად არ მეჩვენება. თუ ვინმეს კვალიფიკაცია და კომპეტენცია არ ჰყოფნის, ჩვენ ვიპოვით სხვას. ყველამ მინდა კარგად გაიგოს — აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული არც ერთი კონტრაქტისა და ხელშეკრულების გადახედვას არ ვაპირებ (არც მაქვს ამის სამართლებრივი უფლება), მაგრამ ყველა ის ადამიანი, ვინც თავის ფუნქციას ვერ შეასრულებს, დაემშვიდობება უნივერსიტეტს. ვიპოვით სხვას, უკეთეს პროფესიონალს! აკადემიურმა საბჭომ იმისთვის მომცა ეს მანდატი, რომ უნივერსიტეტის და საზოგადოების ნდობა გავამართლო. ამ პასუხისმგებლობით აღჭურვილი კი ვერავის ვაპატიებ მოვალეობის პირნათლად არშესრულებას. ამდენად, ამჯერად, ჩემი ერთ-ერთი პრიორიტეტია მსგავს ტექნიკურ საკითხებს მოვუარო.

— საინტერესოა, რა გზით აპირებთ სათანადო დაფინანსების უზრუნველყოფას თქვენი გეგმების განსახორციელებლად და ამ ეტაპზე თუ ხართ ჩამოყალიბებული, რაში მდგომარეობს მთავრობისა და ბიზნესწრეებისთვის წარსადგენად ინოვაციური წინადადებები დაფინანსების მოპოვების მიზნით?

— ამ ეტაპზე ბიუჯეტიდან ფინანსების მოზიდვის თვალსაზრისით, პრაქტიკულად, მაქსიმუმს ახერხებს უნივერსიტეტი. თუ ჩვენ ბიუჯეტიდან უშუალოდ ვიღებთ დაფინანსებას, ეს არის იმ სამეცნიერო ინსტიტუტების ფული, რომლებიც უნივერსიტეტს გადაეცა. სახელმწიფოსაგან მეტი რესურსის მიღების შესაძლებლობა აღარ გვაქვს, რადგან სტუდენტების რიცხვს ვერ გავზრდით. საქმე იმაში გახლავთ, რომ არის გარკვეული ნორმატივები — რამდენი სტუდენტი შეიძლება ჰყავდეს უნივერსიტეტს. ეს საკითხი მიბმულია, მაგალითად, თსუ-ის ფართის თემაზე, სასწავლო აუდიტორიების რაოდენობაზე და ა.შ. ჩვენ საკმაოდ შთამბეჭდავი ფართი გვაქვს, მაგრამ არსებული პირობები ზედა ზღვარს გვიწესებს, რაც ათვისებულია. უნივერსიტეტის ძირითად შემოსავლად, მაინც, სტუდენტების მიერ შემოტანილი ფული ითვლება. მაგრამ გვაქვს საკმაოდ მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა — როგორ შეიძლება ბიზნესს შევთავაზოთ ჩვენი პროდუქცია, რათა იგი მისთვისაც საინტერესო აღმოჩნდეს საქმეში ფინანსების ჩადების თვალსაზრისით. ამ მიზნით უნივერსიტეტის პროფესურისგან წინადადებებს დიდი სიამოვნებით მოვისმენ მით უფრო, რომ, რამდენადაც ვიცი, ზოგიერთ პროფესორს ამ მიმართულებით საკუთარი ინიციატივები აქვს. დიდი იმედი გვაქვს, რომ სხვადასხვა ბიზნესსტრუქტურების წარმატებულ პირებთან და ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან შეხვედრების ფორმატზე შევჯერდებით. შესაძლოა მათ შევთავაზოთ შესაძლებლობების ფარგლებში დახმარება თუნდაც უნივერსიტეტის კორპუსების გარემონტების მიზნით და ა.შ.

— როგორც გაცხადდა, იგეგმება უმაღლესი განათლების შესახებ ახალი კანონპროექტის შემუშავება და მიღება. როგორი იქნება უნივერსიტეტის როლი და მიდგომები ამ კანონპროექტის შემუშავების და მიღების პროცესში?

— განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელობას ძალიან კარგი მიდგომა აქვს ამ საკითხთან მიმართებაში. სამინისტროში თვლიან, რომ ეს კანონპროექტი არ უნდა შემუშავდეს მხოლოდ თავიანთი უწყების კაბინეტებში. არსებობს რექტორთა საბჭო, რომელშიც გაერთიანებულნი არიან სახელმწიფო უნივერსიტეტების რექტორები და რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — ქალბატონი თამარ სანიკიძე. რექტორთა ეს საბჭო პერიოდულად იკრიბება, სადაც გარკვეული მოსაზრებების გაცვლის პროცესი მიმდინარეობს. ჯერჯერობით, რაც ამ შეხვედრაზე განვიხილეთ, მხოლოდ რექტორის არჩევის წესს ეხება. პროექტი იმდენად „ნედლია", რომ ამ ეტაპზე საუბარს აზრიც არ აქვს. მინისტრის მიდგომის თვალსაზრისით რაც მომწონს, არის ის, რომ ქალბატონი თამარი თვლის, რომ უმჯობესია — ჯერ რექტორთა საბჭო შეთანხმდეს — რა და როგორ სჯობს. მხოლოდ ამის შემდეგ მოამზადებს უკვე პროექტს სამინისტროს აპარატი. სამინისტრო ცდილობს, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინოს ის შეხედულებები, რაც ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრის, მათ შორის, სტუდენტებისა და პროფესორების აზრის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა. ვფიქრობ, საინტერესო მოდელზე შევთანხმდებით. როგორც კი მე, პირადად, ხელშესახები და დაზუსტებული ინფორმაცია მექნება, რა თქმა უნდა, პროექტის განსახილველად ჩავრთავ ყველა სტრუქტურულ ერთეულს (სწორედ მსგავს ურთიერთობებს ვგულისხმობ „მოქნილ მმართველობაში"). ამ ეტაპზე კი რექტორებს შორის სამუშაო რეჟიმის პირობებში მიმდინარეობს დისკუსია, რადგან თავად სამინისტროს არ აქვს ბოლომდე ჩამოყალიბებული თავისი პოზიცია. მიდგომა კი, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა, მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია.

— თქვენ, როგორც ამას კონცეფციაში აღნიშნავდით, მიზანშეწონილად მიგაჩნიათ შემუშავდეს აკადემიურ თანამდებობებზე იმ წარმატებულ პროფესორთა მატერიალური წახალისების სისტემა, რომელთა ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები სტუდენტთა განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს, რაც შეიძლება შეფასდეს ამ პედაგოგებთან ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე სტუდენტების წინასწარ ჩაწერის სურვილის დაფიქსირებით. ამ მიმართულებით რა სამუშაოა გასაწევი?

მე-4 გვერდზე

როგორ აპირებს რექტორი გამოცხადებული ნდობის გამართლებას

ინტერვიუ თსუ-ის რექტორთან, აკადემიკოს ლადო პაპავასთან

მესამე გვერდიდან

— ამ იდეაზე უარს არ ვამბობ, მაგრამ მის განხორციელებას დრო დასჭირდება შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფის კუთხით. პირველი რიგის ამოცანად მაქვს პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის შექმნა, რათა ახალგაზრდა დოქტორები უნივერსიტეტში რაღაცნაირად დავაკავოთ. მაქვს, ასევე, იდეა, რომ სამეცნიერო პრემიები შევიმუშაოთ, თუმცა ამ თემაზე დეტალურად სასაუბროდ ჯერ მზად არ ვარ. ზოგადად, ჩემი მიდგომა ასეთია, რომ არ შეიძლება უნივერსიტეტმა არ წაახალისოს მეცნიერება, მათ შორის საუკეთესო პროფესურები და საუკეთესო სტუდენტები, რომლებიც სამეცნიერო საქმიანობას ეწევიან. ამასაც გარკვეული ფინანსები სჭირდება. ამდენად, ნელ-ნელა, ამ საკითხებს ჩვენ დავარეგულირებთ. ვფიქრობ, ინდივიდუალურ რეჟიმში ინტენსიურად ვიმუშაო ყველა ფაკულტეტთან, რათა, გარკვეულწილად, ჩამოვაყალიბო ის კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც საუკეთესო პროფესორების გამოვლენას შევძლებთ. შემდეგ კი შევეცდებით — ეს უპირატესობანი პრემირების სისტემაში გავითვალისწინოთ.

— უნივერსიტეტის ავტონომიურობის განმტკიცება თქვენი სამოქმედო გეგმის ერთერთი პუნქტია. თქვენ მიზანშეწონილად მიგაჩნიათ, რომ დაეყრდნოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის 18 ივნისის დეკლარაციას „უნივერსიტეტების ავტონომიურობისა და აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესახებ“. რამდენად შეძლებთ ამ რთული მისიის განხორციელებას იმის ფონზე, როცა უნივერსიტეტს საკმაოდ ცუდი და მწარე გამოცდილება აქვს დაგროვილი ავტონომიურობის თვალსაზრისით?

— ჩემთვის ყველაზე დიდი იმედის მომცემი არის ორი რამ (და ეს იმედი არ არის აბსტრაქტული, რადგან ეს რექტორის ბოლო არჩევნებმაც დაადასტურა): პირველი — დღევანდელი ხელისუფლება არ ჩარეულა რექტორის არჩევნებში, არ ერევა და არც აპირებს ჩარევას უნივერსიტეტის საქმეებში და მეორე — საზოგადოებიდან არის დიდი მხარდაჭერა, რომ უნივერსიტეტი იყოს წარმატებული. რაც შემეხება პირადად მე, შედარებით თავისუფალ გარემოში ჩატარებული არჩევნების გამო, არავის წინაშე ვალდებულებას არ ვგრძნობ. მხედველობაში მაქვს პოლიტიკური სტრუქტურები. ერთადერთი ვალდებულება, რასაც ვგრძნობ, უნივერსიტეტის წინაშე ვალდებულებაა. მხოლოდ აქედან გამომდინარე და უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით ვითანამშრომლებ მთავრობასთანაც და პარლამენტთანაც.

— უნივერსიტეტში წლების მანძილზე პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე ავიწროებდნენ ადამიანებს, თანამდებობის პირებს, დევნიდნენ პროფესურას. დღეს პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში შეცვლილია, მაგრამ უსამართლობის განცდაშემორჩენილ საზოგადოებას კონტრზომების მიღების მოთხოვნილება აქვს, რაც ძალიან აშკარაა. როგორ უპასუხებთ საზოგადოების ამ მოლოდინს?

— რეალურად, უნივერსიტეტი ცალკე კუნძული არ გახლავთ (პოლიტიკურ სივრცეს ვგულისხმობ), უნივერსიტეტი არის ნაწილი იმ პოლიტიკური პროცესის, რაც არის სრულიად საქართველოში. ბოლო საკანონმდებლო ცვლილებებმა განსაზღვრა ის ფუნქციები, რომელიც უნივერსიტეტმა უნდა შეასრულოს. ამიტომ ვიმოქმედებთ კანონიდან გამომდინარე. რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, მე ჯადოსნური ჯოხი არ მაქვს, რომ ყველა პრობლემა მყისიერად გადავწყვიტო — ეს შეუძლებელია, მაგრამ ყველა საკითხი ინდივიდუალურ რეჟიმში გადაწყდება იმ რესურსებიდან გამომდინარე, რაც ჩვენ გვაქვს. მაქვს სრული მზაობა და, გარკვეულწილად, მხარდაჭერასაც ვგრძნობ უნივერსიტეტის კოლექტივისგან, რომ სამართლიანი გზით ვიაროთ.

გულწრფელად უნდა გითხრათ, რომ ძალიან ბევრმა შეხვედრამ ჩემზე დამთრგუნველი შთაბეჭდილება დატოვა. ჩემთან მოდიან პროფესორები — ზოგი მოქმედი, ზოგიც ყოფილი და ერთმანეთზე ცუდს ლაპარაკობენ. მე, რა თქმა უნდა, მაქვს იმის უნარი, რომ ყველას მოვუსმინო, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველასი და ყველაფრის მჯერა. მე არ ვარ უმაღლესი ინსტანციის მსაჯული, მაგრამ მინდა, რომ ეს ვითარება შევცვალო, რათა უნივერსიტეტში სიკეთემ დაისადგუროს. მსურს, ადამიანები მხვდებოდნენ მხოლოდ სასიკეთო საქმეების კეთების მიზნით ჩამოყალიბებული გეგმებისა თუ ინიციატივების შესათანხმებლად და არა ინტრიგების მოსასმენად თუ დასმენებისთვის. ჩემი მთავარი მიზანი უნივერსიტეტის შიგნით არსებული უარყოფითი განწყობების შეცვლაა. არ ვარ უტოპისტი, რომ ერთი ხელის მოსმით ამის მიღწევის მჯეროდეს, მაგრამ მაქვს იმის განცდა, რომ ამ მიმართულებით გარკვეულ პოზიტიურ შედეგს მივაღწევ.

— თუ გაქვთ მიზნად უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან და მაღლივ კორპუსში ხელმისაწვდომ ფასებში კვებითი ობიექტების შექმნა?

— კვებითი ობიექტის გასახსნელად გამოცხადებული ერთი ტენდერი ჩაიშალა. ეს საკითხი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კანონით რეგულირდება და, ამდენად, ამ მიზნის განხორციელებას გარკვეული დრო სჭირდება. ამ საკითხთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა უკვე მქონდა და უნდა შევეცადოთ არსებული პრობლემის ოპერატიულ რეჟიმში გადაწყვეტას.

— როგორი უნდა იყოს უნივერსიტეტის გაზეთი? როგორია თქვენი მოლოდინი? რაზე გაინტერესებთ აქცენტების დასმა და ყურადღების გამახვილება, როგორც რექტორს? (ამ კითხვას, ტრადიციულად, ყველა რესპონდენტს ვუსვამთ).

— გაზეთი უნდა იყოს ინფორმაციული და ერთგვარი დამაკავშირებელი საშუალება პროფესურის, სტუდენტების, ადმინისტრაციის, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის... მომეწონა თქვენი ინიციატივა იმასთან დაკავშირებით, რომ წეროთ იმ პრობლემებზე, რაც სტუდენტებს აღელვებთ. გაზეთში მაქსიმალურად უნდა ჩანდეს ის საკითხები, რაც აწუხებს უნივერსიტეტს. არ უნდა არსებობდეს თემა, რომლის გაზეთში გაშუქებაც იქნება „ტაბუ დადებული" — ეს მიდგომა უნდა გამოირიცხოს. ყოველთვის ჯობია, ადამიანებს, სტუდენტი იქნება ის თუ პროფესორი, მივცეთ თავისი სატკივარის გამოთქმის საშუალება, რათა, ჯერ ერთი, ვფლობდეთ რეალურ ინფორმაციას და მეორე — შევეცადოთ წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტას. ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტის გაზეთს მეტად პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია. ჩემი მზაობა არის, რომ გაძლიერდეს გაზეთის ფუნქცია და დანიშნულება.

ექსპერტის აზრით

დამთავრდება თუ არა უნივერსიტეტთან საზოგადოების საინფორმაციო ომი?

ინტერვიუ სოციოლოგ იაგო კაჭკაჭიშვილთან

ნინო კაკულია

მწარე რეალობას თუ თვალს გავუსწორებთ, უნივერსიტეტს, წლებია უკვე, დაკარგული ჰქონდა საზოგადოების ნდობა. „ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის პერიოდში უნივერსიტეტის პოლიტიზირების მკაცრმა გეგმამ — ერთიმეორის მიყოლებით რექტორების ფაქტობრივი დანიშვნითა და ღირებული პროფესურის დევნით — საფუძველი შეურყია უნივერსიტეტის ავტორიტეტს. უმრავლესობა ისჯებოდა, ვინც პოლიტიკურ ლოიალობას არ გამოიჩენდა ყოფილი ხელისუფლებისადმი და ამ ტაქტიკას თსუ-სთვის მუდამ დამახასიათებელი თავისუფლების სულის დათრგუნვაც მოჰყვა. მარგინალიზებული მეცნიერებისთვის ძირითადი ფუნქციის დაკარგვით სწავლების ხარისხსაც დააჩნდა კვალი. თუკი სტუდენტები ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტს მთავარ სასწავლო ცენტრად კვლავაც მოიაზრებდნენ, ეს, ალბათ, უფრო მეტად უნივერსიტეტის წარსული იმიჯის ხიბლთან და საზოგადოებისთვის შედარებით მისაღებ სწავლების საფასურთან იყო დაკავშირებული, თუ არ ჩავთვლით უნივერსიტეტში შემორჩენილი ცალკეული მიმართულებების პრესტიჟულობასა და კვალიფიციური პროფესურის ნაწილის „მოთხოვნადობას". ამის ფონზე, მართალია თავს ბევრი იტყუებდა ან იმშვიდებდა, მაგრამ უნივერსიტეტის მამოძრავებელი მთავარი ძარღვი — საზოგადოება ერთმნიშვნელოვნად გულნატკენი იყო. პარლამენტის დღევანდელი თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის სიტყვებს თუ გავიხსენებთ, მას და მისი წრისა და შეხედულების ადამიანებს გამოხედვაც აღარ სურდათ უნივერსიტეტისკენ, რადგან რეალობისთვის თვალის შევლება „ჭრილობის ტკივილს უახლებდათ"... როგორი „პიარი" გადაარჩენდა ამ შემთხვევაში დედაუნივერსიტეტს, როცა საზოგადოების დიდი ნაწილი მის წინაშე, წლების მანძილზე, ზურგშექცევით იდგა. დასრულდა თუ არა უნივერსიტეტთან საზოგადოების საინფორმაციო ომი, ახალი ხელისუფლების მმართველობის პირობებში, 16 აგვისტოს ჩატარებული რექტორის თავისუფალი არჩევნებით? — ამ კითხვაზე პასუხი ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს, რადგან იმიჯშერყეული უნივერსიტეტის რეპუტაციის აღდგენა ქვეყნისთვისაც სასიცოცხლოდ პრინციპული საკითხია. უდავოა, რომ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, წლების შემდეგ, პირველად აღმოჩნდა არა ხელისუფლების ზეწოლის, არამედ საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედების ქვეშ. როგორც კი ხელისუფლება აღარ ჩაერია უნივერსიტეტის არჩევანში, აკადემიურმა საბჭომაც მაშინვე უგდო ყური ხალხის აზრს, პოზიციას, მოტივაციას... შედეგმაც არ დააყოვნა და საზოგადოებისათვის მისაღები არჩევანის გაკეთებით უნივერსიტეტისკენ ხალხის შემობრუნების ეტაპი დაიწყო. უნივერსიტეტში შექმნილმა ახალმა რეალობამ ახალი განწყობები წამოშალა ცხოვრების ზედაპირზე, რაც ანალიზს აუცილებლად მოითხოვს. სწორედ ამ მიზნით ვესაუბრეთ თსუ-ის პროფესორს, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელს, ექსპერტ იაგო კაჭკაჭიშვილს, რომელსაც მიაჩნია, რომ მხოლოდ ახალმა რეალობამ შესძინა აზრი უნივერსიტეტის „გაპიარებას", რადგან საზოგადოება ჩვენს მოსასმენად დღეს უკვე აშკარად განწყობილია.

— უნივერსიტეტში ახალი რექტორის მოსვლის ფაქტი რამდენად ქმნის ახალ რეალობას უნივერსიტეტის იმიჯისთვის?

— ამდენი წლის შემდეგ, ჩვენ პირველად აღმოვჩნდით ისეთ ვითარებაში, როდესაც უნივერსიტეტში ჩატარდა რეალური არჩევნები და უნივერსიტეტის რექტორი გახდა ხელისუფლების არაფავორიტი ადამიანი. ამჟამად ხელისუფლებას უნივერსიტეტში არ მოუყვანია მისი ინტერესების გამტარებელი პიროვნება — ეს, ზოგადად, ქვეყანაში სისტემური ცვლილებების ერთერთი პროდუქტია. „ნაციონალური მოძრაობის" მიერ თავის დროზე დამყარებული ავტორიტარული რეჟიმის შერყევამ უნივერსიტეტშიც იჩინა თავი – ამის დასტური იყო სწორედ რექტორად ლადო პაპავას არჩევა. ხელისუფლება უკვე აღარ აკონტროლებს სოციალური ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის, განათლების სფეროსაც და უნივერსიტეტი იწყებს დამოუკიდებელ რეჟიმში ცხოვრებას. ეს, რასაკვირველია, დადებითად აისახება ბევრ სხვა ფაქტორზეც – მომავალში აკადემიური პერსონალის შერჩევაზე, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ქვეყნის მართვის პროცესში უნივერსიტეტის როლისა და ფუნქციის დაბრუნებაზე და ა.შ. ველოდები, რომ უნივერსიტეტში განხორციელებულ კვლევებს და პროფესორთა ექსპერტიზას აქტიურად გამოიყენებს აღმასრულებელი ხელისუფლება ქვეყნის მართვისას. მიხარია, რომ ამ პროცესების დაწყებას სათავეში ჩაუდგა ადამიანი, რომელიც არის ცნობილი მეცნიერი, ეკონომისტი და რომელმაც ძალიან კარგად იცის, როგორ უნდა მოხდეს აკადემიური კვლევების კონვერტირება მართვასა და პრაქტიკაში რეალური პროცესების გასაუმჯობესებლად. ველოდები იმასაც, რომ სტუდენტების აქტიური და პროგრესული ნაწილის მოთხოვნა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით კიდევ უფრო მეტად რეალიზდება. კვალიფიციურ ადამიანებს კი, რომლებიც საუნივერსიტეტო ცხოვრების გარეთ არიან და რომელთაც უნდათ უნივერსიტეტში დაბრუნება, დღეს უნდა გაუჩნდეთ საკმარისი მოტივაცია, რათა დაუბრუნდნენ ამ კერას და მოახმარონ საკუთარი უნარები უნივერსიტეტის იმიჯის ამაღლებას. მგონია, რომ უნივერსიტეტი, ახალი რექტორის ხელმძღვანელობით, უახლოეს ხანში უზრუნველყოფს იმას, რომ აკადემიურ თანამდებობაზე შესარჩევ პირთა კონკურსების კრიტერიუმები იქნება გამჭვირვალე და ობიექტური. სამწუხაროდ, ეს კონკურსები სულ ტოვებდა თავისუფალ სივრცეს სუბიექტური გადაწყვეტილებების მისაღებად.

მე-5 გვერდზე

თსუ-ს პირველად მიეცა დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთების საშუალება

ექსკლუზიური ინტერვიუ განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან თამარ სანიკიძესთან

ნინო კაკულია

— რა სიახლეა მოსალოდნელი უმაღლესი განათლების სფეროში?

— სიახლეები ნამდვილად გვაქვს. ამ ზაფხულს განსაკუთრებით ბევრი ვიმუშავეთ. თავად სამინისტროშიც ისეთი განწყობა და შემართება იყო, რომ თანამშრომლების ნაწილმა აგვისტოში შვებულებაც კი არ აიღო.

სიახლეა ის, რომ შეიქმნა რექტორთა საბჭო, რომელშიც ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორია წარმოდგენილი. საბჭოს თავმჯდომარე მე გახლავართ. უმაღლესი განათლების რეფორმაზე მომუშავე საბჭო ყოველ კვირაში ერთხელ იკრიბება და განიხილავს სიახლეებსა და მასთან დაკავშირებულ პოზიციებს. ვცდილობ რექტორების მიერ ინიცირებული კონკრეტული მოთხოვნების დაკმაყოფილებას (ეს ეხება იურიდიულ, ექსპერტულ დახმარებას, საზღვარგარეთიდან ექსპერტების ჩამოყვანას, ინფორმაციისა თუ გამოცდილების გაზიარებას და ა.შ.) და სხვადასხვა საკითხზე მათი მოსაზრებების გათვალისწინებას. ეს პროცესი ძალიან მომწონს, რადგან აქამდე უნივერსიტეტების რექტორების ჩართულობა პრაქტიკულად არ იყო. დღეს ერთად ვმუშაობთ ისეთ თემებზე, რომელიც ყველას აწუხებს და უნივერსიტეტებისთვის აქტუალურია. ამ პროცესს შეუერთდა ბატონი ლადო პაპავაც. ჩვენ ინდივიდუალური შეხვედრაც გვქონდა და გავიზიარეთ ერთმანეთის ხედვები. ბატონი ლადო პაპავასგან პოზიტიური განწყობა და თანამშრომლობისთვის მზადყოფნა დაფიქსირდა, რაც საერთო მიზნის მისაღწევად აუცილებელია.

სიახლეა დოქტორანტურის დაფინანსების საკითხიც. წელს ჩვენ დოქტორანტებისთვის პირველად გამოვყავით სოლიდური თანხა. ტექნიკური თვალსაზრისით ამ წამოწყების მხარდამჭერია რუსთაველის ფონდი. კონკურსის წესით შერჩეული თითოეული დოქტორანტისთვის ხელმისაწვდომი იქნება თანხა 21 000 ლარის ოდენობით, რაც, ვფიქრობ, საკმარისია სადოქტორო თემაზე მუშაობისთვის და კვლევისთვის. ამ ეტაპზე დაფინანსება მოიცავს 15 თვეს, შემდეგ კი იგი სამ წლამდე გაიზრდება. შესაბამისად გაიზრდება დაფინანსების ოდენობაც.

სიახლეები გვაქვს სოციალური ფონდის ფარგლებშიც. ეს არის ფონდი, რომლითაც სარგებლობენ სოციალურად დაუცველი სტუდენტები (სოციალურად დაუცველთა 12 კატეგორია არსებობს). ეს ფონდი ჩვენ გავაორმაგეთ და გადავანაწილეთ II და III კურსელ სოციალურად დაუცველ სტუდენტებზე. აქამდე ეს ფონდი ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ I კურსის სტუდენტებისთვის, რომელთა რანჟირებაც ეროვნულ გამოცდებში მიღებული ქულების მიხედვით ხდებოდა. თავდაპირველად ფონდი 700 სტუდენტს აფინანსებდა, ახლა შეგვიძლია, 1500-ზე მეტს მოვემსახუროთ. ასევე, გავითვალისწინეთ ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური მდგომარეობა და, შესაბამისად, ვიზრუნეთ მაგისტრანტებზეც, რომელთათვისაც ცალკე ფონდი გამოიყო (ოღონდ, ამ ეტაპზე, მაგისტრანტებთან მიმართებაში სოციალურად დაუცველთა კატეგორიების მცირე რაოდენობაა გათვალისწინებული).

— ახალი პოლიტიკური ვითარების ფონზე აშკარად გამოიკვეთა, რომ თქვენი სამინისტრო ძველებურად აღარ მართავს უნივერსიტეტებს. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა თსუ-ში ჩატარებულმა რექტორის არჩევნებმა, რამაც ყოველგვარი ზეწოლისა და პროცესებში სამინისტროს ჩარევის გარეშე ჩაიარა. ეს უდავოდ დადებითი მოვლენაა უნივერსიტეტის არსებობის ისტორიაში. ამის ფონზე, საინტერესოა, დღეს რით განისაზღვრება თქვენი მხარდაჭერა უშუალოდ თსუ-ს განვითარებისთვის და წინსვლისთვის?

— ვფიქრობ, რომ ეს არის საერთოდ ჩვენი საზოგადოების დიდი მიღწევა. ეს კარგი დასაწყისია უნივერსიტეტისთვის რეალური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. გახსოვთ, ალბათ, ჩვენ როგორ გვადანაშაულებდნენ უნივერსიტეტების ავტონომიის შეზღუდვაში, როდესაც პარლამენტში შესული პროექტი („უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები) განიხილებოდა. ახლა კი ყველამ ნათლად დაინახა — რისი გაკეთებაც გვინდა. თსუ-ში რექტორის არჩევნების პერიოდში სადარაჯოზე მე თვითონ ვიდექი და პროცესს ყველანაირად შევუწყვე ხელი, რომ უნივერსიტეტს დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთების საშუალება ჰქონოდა.

— როგორ გესახებათ ურთიერთობა უნივერსიტეტის ახალ რექტორთან, ბატონ ლადო პაპავასთან? თუ იცნობთ მის გეგმებს? რა როლს შეასრულებთ იმ ინიციატივების განხორციელებაში, რაც ახალ რექტორს აქვს?

— ძალიან ზოგადი მონახაზი ვიცი იმ გეგმებისა, რაც ბატონ ლადოს აქვს, თუმცა ვფიქრობ, რომ მისი გეგმა ძალიან არ განსხვავდება ჩვენი გეგმებისგან. მუშაობის პროცესში დამატებით გამოჩნდება — რა იქნება შესათანხმებელი, რა მიმართულებით გახდება საჭირო რეკომენდაციების მიცემა და ა.შ. ინსტრუქციებს კი, როგორც ამას ყოფილი ხელისუფლება აკეთებდა, ნამდვილად არ მივმართავთ უმაღლესი სასწავლებლებისადმი. მიმაჩნია, რომ სწორი გადაწყვეტილებების მიღებას უნივერსიტეტები თავად უნდა მიეჩვიონ. ამ მხრივ თუ საჭირო გახდება განათლების სამინისტროს ჩარევა, ჩვენ მხოლოდ რეკომენდატორის ფუნქციას შევითავსებთ, რათა საერთო საქმეს დავეხმაროთ.

— როგორც გაცხადდა, იგეგმება უმაღლესი განათლების შესახებ ახალი კანონპროექტის შემუშავება და მიღება. რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია და როგორი იქნება თქვენი მიდგომები ამ კანონპროექტის შემუშავების პროცესში? რა ახალი მიდგომები იკვეთება, რასაც დაეფუძნება ახალი კანონპროექტი?

— მოგეხსენებათ, რომ დაიძლია პრეზიდენტის ვეტო უმაღლესი განათლების შესახებ იმ კანონზე, რომელიც პარლამენტმა მიიღო. ამ კანონში ჩადებულია აკადემიური პერსონალისა და მმართველი სუბიექტებისადმი აკადემიური ხარისხის ფლობის მოთხოვნა, რაც, თავის მხრივ, უნივერსიტეტებში სწავლების ხარისხს აამაღლებს (ხარისხიანი პროფესორი ნიშნავს ხარისხიან სწავლებას) — ეს ჩვენი მოლოდინებია. რაც შეეხება ახალ კანონპროექტზე მუშაობას, რექტორთა საბჭოს ფარგლებში ჩვენ დავიწყეთ ახალი პროექტის განხილვა. გავლილია ბევრი კონსულტაცია, გაზიარებულია ბევრ ქვეყანაში (დასავლეთ ევროპაში) წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება. საუბარი არ მაქვს იმაზე, რომ რომელიღაც მოდელი ავიღოთ და ,,კოპირებით" დავნერგოთ. ძალიან არ მომწონს ასეთი მიდგომა, რადგან ყველაფერი უნდა გამომდინარეობდეს იმ საჭიროებებიდან, რაც საქართველოში არსებობს. ამდენად, ახალი კანონპროექტი მომზადების პროცესშია და ვფიქრობ, რომ ნოემბრისთვის ჩვენ შევძლებთ მის წარდგენას პარლამენტისთვის განსახილველად.

— ხომ არ გამოყოფდით რაიმე პუნქტს, რაც სიახლეა?

— კანონპროექტი განათლების სამინისტროს 2013 წლის 18 ივნისის დეკლარაციაში („უნივერსიტეტების ავტონომიურობისა და აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესახებ“) მოყვანილ პრინციპებზეა აგებულია. ეს მოიცავს აკადემიური თავისუფლების, უნივერსიტეტების ავტონომიურობის უზრუნველყოფის, უწყვეტი განათლების, სწავლისა და კვლევის ერთიანობის და სხვა პრინციპებს. შეიცვლება უნივერსიტეტის შიდა მოწყობა. მიმაჩნია, რომ არ არის მართებული ვისაუბროთ ავტონომიაზე, როდესაც 5, 10 ან 12 კაცის ხელშია ამხელა დაწესებულება. თუ უნივერსიტეტების ავტონომიასა და აკადემიურ თავისუფლებაზე ვსაუბრობთ, ჯერ უნდა ვიფიქროთ დეცენტრალიზაციაზე. თუ უნივერსიტეტისთვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღებაში არ ჩაერთნენ საუნივერსიტეტო საზოგადოების დანარჩენი წევრებიც, გამორიცხულია, ნებისმიერი გადაწყვეტილების ლეგიტიმაციის ხარისხზე საუბარიც. ეს მიდგომა დაკავშირებულია უნივერსიტეტე-

მე-9 გვერდზე

დამთავრდება თუ არა უნივერსიტეტთან საზოგადოების საინფორმაციო ომი?

ინტერვიუ სოციოლოგ იაგო კაჭკაჭიშვილთან

მეოთხე გვერდიდან

ამაზე სულ ვკამათობდი, მაგრამ შედეგს ვერ ვაღწევდი. ახლა უკვე ველოდები, რომ უნივერსიტეტში მოვა კონკურენტუნარიანი კადრი, რომელიც აკადემიურ თანამდებობას რეალურად იმსახურებს. სწორედ ეს მოლოდინებია, რაც უნივერსიტეტს ნდობას უბრუნებს, თორემ სულ ახლო წარსულში ვითარება სხვანაირი იყო. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას არ უყვარდა პრობლემებზე ლაპარაკი, ცდილობდა თავიდან აერიდებინა კრიტიკა და აქცენტი მხოლოდ პოზიტიურ „პიარზე" გაეკეთებინა. ახლა, როდესაც გავიგე, რომ საუნივერსიტეტო გაზეთს უკვე დავალებაც კი მიეცა, რომ ეძებოს ის ხარვეზები, რაც საუნივერსიტეტო ცხოვრებაში არსებობს — ეს ხომ სრულიად ახალი რეალობაა... ჩვენ წლები გამოვიარეთ ერთად და ვიცით, რა რთული იყო თითოეული კრიტიკული წინადადების გატანა საუნივერსიტეტო გაზეთის ფურცლებზეც კი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით არ ვრცელდებოდა. პროფესორთა ნაწილი თსუ-ის გაზეთის ფურცლებზეც ახერხებდა კრიტიკული აზრის გამოთქმას, მაგრამ ამას ყოველთვის ახლდა აჟიოტაჟი, უსიამოვნება, დაძაბულობა, კონფლიქტებიც კი. ანუ, ეს მაინც იყო პარტიზანული ბრძოლა და არ იყო წახალისებული უნივერსიტეტში არსებული თავისუფალი გამოხატვის პოლიტიკით. მე ოპტიმისტი ვიყავი წინა წლებში და ახლა მით უფრო, როდესაც უნივერსიტეტში პროცესები „ზემოდან" კარნახით არ იმართება.

— თქვენი აზრით, დამთავრდა თუ არა საზოგადოების ბრძოლა უნივერსიტეტთან, რაც ამ წლების განმავლობაში საინფორმაციო სივრცეში აშკარად ჩანდა?

— რა კვებავდა საზოგადოებრივ პროტესტს და უნივერსიტეტის კრიტიკას? — ამ კითხვაზე პასუხი ყველასთვის ნაცნობია: ერთი — უნივერსიტეტის პოლიტიკურ ინსტრუმენტად ქცევა და მეორე — უნივერსიტეტის, როგორც მეცნიერების კერის მარგინალიზაცია. როდესაც ეს ორი ფაქტორი ნიველირებულია, მაშინ ბრძოლა უნივერსიტეტთან უსაგნოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ. თუმცა, ეს ვითარება დამშვიდების და გულხელდაკრეფილად ჯდომის საფუძველს არ გვაძლევს. უნივერსიტეტი ყოველთვის შეიძლება აღმოჩნდეს გარედან სერიოზული ზეწოლის და დიქტატის ქვეშ. ამდენად, ახლად შეძენილ და ძლივს მოპოვებულ ნდობას გამყარება სჭირდება. ეს კი მოითხოვს უნივერსიტეტის წარმატებაზე ორიენტირებული ადამიანების მუხლჩაუხრელ საქმიანობას.

ჩვენ ყველა უნდა ველოდოთ, რომ საზოგადოება იქნება მობილიზებული იმ თვალსაზრისით, რომ კრიტიკის თვალით შეხედოს — შეძლო თუ არა უნივერსიტეტმა ავტონომიურობის პირობებში საკუთარი ფუნქციის ადეკვატურად შესრულება? ასე რომ, შესაფერისი იმიჯის სტაბილურად დამკვიდრებისთვის ბრძოლა თსუ-ს პერმანენტულად მოუწევს.

> თსუ-ის ადმინისტრაცია ქვეყანაში არსებული ავტორიტარული სისტემის ნაწილი იყო და მას დამოუკიდებლად მოქმედება (განსაკუთრებით, კრიტიკულ სიტუაციებში) არ შეეძლო. დღეს ასეთი ავტორიტარული სისტემური დაკვეთა ნეიტრალიზებულია (ყოველ შემთხვევაში, ამის უტყუარი ნიშნები არსებობს), რაც იმედს მაძლევს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი შინაარსის და საზრისის ადეკვატური იქნება.

— როდესაც სანდრო კვიტაშვილის რექტორობის დროს უნივერსიტეტზე ფუნდამენტური სოციოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა, რამდენადაც მახსოვს, თქვენს მიმართულებას გვერდი აუარეს და კვლევის შედეგებიც კი არ გაგაცნეს. რატომ?

— არ გამოვრიცხავ, რომ უნივერსიტეტის ყოფილ ხელმძღვანელობას ისეთი კვლევის ჩატარება სურდა, რომელიც უნივერსიტეტში მიმდინარე ცუდ პროცესებს არ გამოამზეურებდა. მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ თუ ამას ჩვენი მიმართულება გააკეთებდა, არც ერთ შემთხვევაში არ დავხუჭავდით თვალს იმ პრობლემებზე, რასაც კვლევა აჩვენებდა და ყველაფერს სააშკარაოზე გამოვიტანდით. როდესაც უნივერსიტეტში გაქვს სოციოლოგიის მიმართულება, გყავს კვალიფიციური ადამიანები, ვისაც კვლევების ჩატარება შეუძლია, ხომ შეიძლება ისინი გამოიყენო თუნდაც საუნივერსიტეტო საზოგადოების აზრის შესასწავლად? ჩვენი სამსახურისთვის ამ თხოვნით არასოდეს მოუმართავთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენგან მზაობა არსებობდა. გარდა ამისა, თუ საჭირო იყო სხვა, არასახელმწიფო არხის გამოყენება, აქაც არსებობდა გამოსავალი – უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ დაფუძნებული კვლევითი ორგანიზაცია „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი" (ამ ორგანიზაციის ერთერთი დამფუძნებელი ედუარდ კოდუა გახლდათ). სამწუხაროდ, ამ რესურსისა და პოტენციალის გვერდის ავლით ხდებოდა უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებზე სოციოლოგიური კვლევების წარმოება. არადა კვლევები და რეალური შედეგების დადება იმისთვის არის საჭირო, რომ პრობლემა დაინახო და მის მოგვარებაზე იზრუნო. ამის გარეშე უნივერსიტეტის იმიჯზე ზრუნვა შეუძლებელია. რასაკვირველია, გვახსოვს უნივერსიტეტის წინა რექტორების მხრიდან პოზიტიური თანამშრომლობის მაგალითები (არ ივარგებს ამის დავიწყება), თუმცა, თსუ-ის ადმინისტრაცია ქვეყანაში არსებული ავტორიტარული სისტემის ნაწილი იყო და მას დამოუკიდებლად მოქმედება (განსაკუთრებით, კრიტიკულ სიტუაციებში) არ შეეძლო. დღეს ასეთი ავტორიტარული სისტემური დაკვეთა ნეიტრალიზებულია (ყოველ შემთხვევაში, ამის უტყუარი ნიშნები არსებობს), რაც იმედს მაძლევს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი შინაარსის და საზრისის ადეკვატური იქნება.

ფაკულტეტების მოლოდინები და ინიციატივები

ახალი რეალობა, ახალი რექტორი, ახალი ინიციატივები და მოლოდინები — ამ მოცემულობით ხვდება უნივერსიტეტი ახალ სასწავლო წელს. საინტერესოა, რა სიახლეს ახვედრებს თითოეული ფაკულტეტი სტუდენტობას? რა განსახორციელებელი გეგმები აქვთ დეკანებს და რამდენად უბამს მხარს თითოეული მათგანი ახალ რეალობას?

დარეჯან თვალთვაძე,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

მზადდება ახალი სამაგისტრო პროგრამები მულტიკულტურული და მულტილინგვური განათლების სპეციალისტების მოსამზადებლად

— ახალი სასწავლო წლის დაწყება ყოველთვის ახლის მოლოდინს უკავშირდება. ხართ თუ არა კმაყოფილი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით? როგორი განწყობით ხვდებით ახალ სასწავლო წელს?

— პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ წელსაც თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა კარგად მომზადებული სტუდენტების დიდი რაოდენობა მიიღო — ძალიან გაგვახარა იმ შედეგებმა, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შემდეგ გამოქვეყნდა. სასიამოვნო ფაქტია, რომ ჩვენი ფაკულტეტი თავის სასურველ ფაკულტეტად, დაახლოებით, 14 ათასზე მეტმა აბიტურიენტმა აირჩია, მათგან 1 000 საუკეთესო მონაცემების მქონე ახალგაზრდა გახდა სტუდენტი.

— რა სიახლეებს შესთავაზებს ფაკულტეტი სტუდენტებს?

— თამამად შეიძლია ვთქვა, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის ეს სასწავლო წელი მართლაც განსაკუთრებული იქნება იმ თვალსაზრისითაც, რომ წელს პირველად მივიღეთ სტუდენტები სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ 5 პრიორიტეტულ საბაკალავრო პროგრამაზე. ასეთი სულ 425 სტუდენტია, მათგან 200 ქართული ფილოლოგიის, 150 ისტორიის, 25 არქეოლოგიის, 25 ფილოსოფიის და 25 დაწყებითი განათლების სპეციალობაზე ჩაირიცხა. უნდა აღინიშნოს, რომ ისინი მაღალი კონკურსის შედეგად შეირჩნენ, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათი ცოდნის დონე და მზაობა, გააგრძელონ სწავლა არჩეულ სპეციალობაზე, მაღალია. კარგი ნაკადი მივიღეთ (575 სტუდენტი) ფაკულტეტის იმ სპეციალობებზეც, რომლებიც სახელმწიფოს მიერ პროგრამულად არ ფინანსდება, თუმცა ამ პროგრამებზე ჩარიცხულთა შორისაც ბევრია საკმაოდ მაღალი შეფასებებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტი.

ამ ეტაპზე ჩვენთვის მნიშვნელოვანია ახალი სასწავლო წლისთვის მზადების პროცესი. მოგეხსენებათ, ეს პერიოდი განსაკუთრებით გადატვირთული და რთულია ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის — მიმდინარეობს მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სტუდენტთა მიღება, გამოცდები, გასაუბრებები, ვემზადებით აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციისთვის — სამუშაო ბევრია, მაგრამ იმედია, ყველაფერს თავს გავართმევთ, ისევე, როგორც წინა წლებში.

გარდა იმისა, რომ წელს გავაგრძელებთ წინა წელს დაწყებულ სამეცნიერო და სასწავლო პროექტებს, ვამზადებთ ახალ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელიც ტემპუსის გრანტის ფარგლებში დაიგეგმა. მათ შორის, იქნება საბაკალავრო პროგრამა — მულტილინგვური განათლება (დაწყებითი განათლების საფეხური), რომელსაც აკრედიტაციის მისაღებად მალე წარვადგენთ. მოგეხსენებათ, საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ (მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში), უმწვავესად დგას პედაგოგთა პრობლემა: რეგიონის სკოლებში არა მხოლოდ ქართული ენის პედაგოგთა, არამედ საგნობრივი მასწავლებლების დიდი დეფიციტია. სწორედ ამ პრობლემის მოგვარების ეფექტური გზაა მულტილინგვური განათლების საბაკალავრო პროგრამა, რომელიც ორენოვანი (მშობლიური და სახელმწიფო ენა / მშობლიური და ინგლისური ენა) მასწავლებლების მომზადებას უზრუნველყოფს დაწყებითი კლასებისთვის. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს საშუალება მიეცემა, ჩააბაროს სასერტიფიკაციო გამოცდები და დასაქმდეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საჯარო და კერძო სკოლაში, მათ შორის საჯარო და კერძო ბილინგვურ და საერთაშორისო სკოლებში დაწყებითი კლასების მასწავლებლად, სადაც I-IV კლასებში შეიძლება ასწავლოს როგორც კონკრეტული საგანი, ასევე საგნობრივი ჯგუფი ორ ენაზე. ტემპუსის პროექტის ფარგლებში, ასევე, მზადდება ახალი სამაგისტრო პროგრამები მულტიკულტურული და მულტილინგვური განათლების სპეციალისტების მოსამზადებლად, სასწავლო წლის მეორე ნახევარში დაგეგმილია ახალი სასწავლო კურსების და სილაბუსების პილოტირება, რომელიც, იმედია, წარმატებით დასრულდება.

ცხადია, სისტემატურად ხდება არსებული და უკვე აკრედიტებული პროგრამების დახვეწაც, ხარვეზების გასწორება, მოდიფიცირება — ეს პერმანენტული პროცესია.

რაც შეეხება სამეცნიერო სფეროს, ბუნებრივია, კვლავ აქტიური მუშაობა იგეგმება ამ მიმართულებით: გაიმართება მნიშვნელოვანი სამეცნიერო ღონისძიებები, მათ შორის, კონფერენციები, სიმპოზიუმები, სემინარები; ოქტომბერში ჩატარება კავკასიოლოგთა მორიგი საერთაშორისო კონგრესი, ასევე ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო კონფერენცია; დეკემბერში დაგეგმილია შალვა ნუცუბიძის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული ღონისძიებები და სხვა. რასაკვირველია, გაგრძელდება ჩვენი ფაკულტეტის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალების: „სპეკალის“, „ქართველოლოგის“ „ჰუმანიტარული კვლევების წელიწდეულის“ და სხვ. გამოცემაც. ჩატარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები და გამოიცემა სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულები. ასე რომ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი სრულ მზადყოფნაშია, დაიწყოს ახალი სასწავლო წელი.

— დღეს უნივერსიტეტი ახალი რეალობის წინაშე დგას. რა მოლოდინები და რა ახალი ინიციატივები გაქვთ ახლად არჩეული რექტორის მიმართ?

— ახალ რეალობას, რა თქმა უნდა, იმედით ვხვდებით. ახალი რექტორისგან ველით იმ პროგრამებისა და პროექტების მხარდაჭერას, რომლებიც ფაკულტეტზე ახლა იგეგმება ან უკვე ხორციელდება.

ირაკლი ბურდული,
თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი

წელს თსუ-ის იურიდიულმა ფაკულტეტმა ყველა რეკორდი მოხსნა

— უნივერსიტეტმა ახალი რექტორი აირჩია, შესაბამისად ახალი სასწავლო წლიდან ახალი რეალობა გვაქვს – რამდენად აისახება ეს ფაქტი იურიდიული ფაკულტეტის საქმიანობაზე?

— ძალიან მცირე დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ახალი რექტორი ავირჩიეთ. ამდენად, რთულია საუბარი იმაზე, რა და როგორ შეიცვლება უნივერსიტეტში და, მათ შორის, ჩვენს ფაკულტეტზე. თუმცა, ვფიქრობ, ყველაფერი უკეთესობისკენ წავა იმ თვალსაზრისით, რომ ლადო პაპავას აქვს დიდი გამოცდილება და სანდო ავტორიტეტი. ჩვენთან, დეკანებთან უკვე გაიმართა შეხვედრა, სადაც, ძირითადად, საუბარი იყო ორგანიზაციულ საკითხებზე. იწყება სასწავლო წელი და, პირველ რიგში, რექტორი დაინტერესებულია იმით, რომ სწავლის პროცესი კარგად დაიწყოს. ამაში, ძირითადად, სტუდენტების რეგისტრაცია, საგნებისა და ლექტორების არჩევა იგულისხმება.

— სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით თუ გეგმავს ფაკულტეტი სპეციალურ ღონისძიებებს?

— 16 სექტემბერს 12 საათზე ტრადიციულად გაიმართება შეხვედრა უნივერსიტეტის I კორპუსთან, ამის შემდეგ ჩვენ შევხვდებით ფაკულტეტის პირველკურსელებს ფიზიკის აუდიტორიაში. ასევე, 16 სექტემბერს, დილის 10 საათზე, გაიხსნება ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც შეეხება საჯარო მმართველობას. წარმოდგენილი იქნება საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და, თავისთავად ცხადია, გერმანია, რადგან ჩვენ ძალიან კარგად ვთანამშრომლობთ გერმანულ ინსტიტუციებთან. ამ თანამშრომლობის ფარგლებში წელს შევქმენით ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სწორედ ამ ინსტიტუტის ეგიდით გაიმართება ეს კონფერენცია.

აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ამ წელს ჩვენმა ფაკულტეტმა ყველა რეკორდი მოხსნა. ძალიან ბევრმა აბიტურიენტმა პირველ ნომრად ჯავახიშვილის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი შემოხაზა.

— ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ფლაგმანის როლს კვლავ ინარჩუნებთ სხვა სასწავლებლების იურიდიულ ფაკულტეტებთან შედარებით?

— თუკი ადრე ფლაგმანის როლი გვქონდა, მაგრამ კიდევ იყვნენ სხვა იურიდიული სკოლები, ახლა უკვე თავისუფლად შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენი ფაკულტეტი უპირობო ფლაგმანია ამ სფეროში და კონკურენტი არ ჰყავს როგორც ბაკალავრიატის დონეზე, ისე მაგისტრატურის მხრივ, სადაც წელს ძალიან დიდი მიღება გვაქვს. ერთ ადგილზე ხუთი კანდიდატია წარმოდგენილი, ეს მაშინ, როდესაც სხვა სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტები სამაგისტრო პროგრამებს ვერ ავსებენ.

— უშუალოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებით თუ დახვდებათ სტუდენტებს რამე სიახლე?

— სიახლეა ის, რომ ფაკულტეტის მომსახურების ოთახები გარემონტდა და ინფრასტრუქტურა გაიმართა. რამდენადაც სტუდენტს პირველი შეხება აქვს მომსახურების სამსახურთან და მისგან იღებს ყველა საჭირო ინფორმაციას, ამ მხრივ ინფრასტრუქტურა და მიდგომები შევცვალეთ და მომსახურების სისტემა კიდევ უფრო დავხვეწეთ.

— ახალი პროგრამები თუ შემოდის ახალი სასწავლო წლიდან?

— ჯერჯერობით არა, თუმცა, ვმუშაობთ ამ მიმართულებით და კარგი სიახლე და, შეიძლება ითქვას, ისტორიული ამბავი იქნება ამ მუშაობის შედეგი. კერძოდ, ფაკულტეტზე 2010 წლიდან გვაქვს საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტთან თანამშრომლობის შედეგად შევქმენით. ეს პროგრამა სამი წლის განმავლობაში მთლიანად ფინანსდებოდა ფოლკსვაგენის ფონდის მიერ, ახლა შევიტანეთ ხელახლა განაცხადი და დაფინანსება გაგრძელდება კიდევ 2 წლის განმავლობაში, მაგრამ ამ გაგრძელებას ერთი წინაპირობა აქვს: ფონდმა მოითხოვა, რომ ამ სამაგისტრო პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაცია მივიღოთ. აქამდე საქართველოში არც ერთ პროგრამას არ ჰქონია საერთაშორისო აკრედიტაცია. ჩვენ დავიწყეთ ამ მიმართულებით მუშაობა. უკვე არის თანხმობა უნივერსიტეტის დონეზე იმასთან დაკავშირებით, რომ მოხდება აკრედიტაციისთვის აუცილებელი თანხის გადახდა, თუმცა ის უპირატესობა, რაც შეიძლება ამ აკრედიტაციის შემდეგ უნივერსიტეტს ჰქონდეს, გაცილებით მეტია, ვიდრე ეს თანხა. ამ სემესტრში ჩემი ძირითადი მიზანი სწორედ ეს არის, რომ ამ აკრედიტაციისთვის ძალიან კარგად მოვემზადოთ, რადგან უნდა ჩამოვიდნენ ევროპელი ექსპერტები და დაიწყონ პროგრამის შემოწმება. ეს არ არის ერთდღიანი პროცესი, თუმცა, თუკი მივიღეთ საერთაშორისო აკრედიტაცია, ამ პროგრამაგავლილი სტუდენტისთვის ევროპის ყველა დაწესებულების კარი ღია იქნება.

ასევე, წელსაც გაგრძელდება უცხოენოვანი საგნების სწავლება. იცით, რომ უცხოენოვანი პროფესორები ჩამოდიან ჩვენთან ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე და სრულ კურსს კითხულობენ ამა თუ იმ საგანში.

სიახლეა ისიც, რომ ჩვენთან 2010 წელს ამერიკელებთან ერთად ე.წ. JILEP-ის (სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის რეფორმის სისტემის მხარდაჭერა საქართველოში) პროგრამის ფარგლებში დაფუძნდა დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი. 2014 წელს უნდა დასრულდეს ეს პროექტი, თუმცა ვმუშაობთ იმაზე, რომ პროექტი გაგრძელდეს და ჩვენ ამერიკელებთან ერთად დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდებში ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამა გავაკეთოთ. საბოლოო ჩანაფიქრი არის ის, რომ ამ პროგრამამ მიიღოს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის სტატუსი, რაც ითვალისწინებს პროგრამის აკრედიტაციას ABA-ს მხრიდან (ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია), რომელიც არის ერთერთი, თუ ერთადერთი არა, პრესტიჟული ინსტიტუცია სამართლის სფეროში. ამის მიღება არის რთული და ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს, მაგრამ ეს იქნება სერიოზული მიღწევა ჩვენი ფაკულტეტისა და უნივერსიტეტისთვის. ამას გარდა, იგეგმება სპეციალური პერიოდიკისა და სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემები ფაკულტეტის სახელით.



რამაზ ბოჭორიშვილი,
თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

დეკემბერში სტუდენტური ნაშრომებისა და ინოვაციების კონკურსი გაიმართება

— როგორ ხვდებით ახალ სასწავლო წელს?

— ახალ სასწავლო წელს თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი მომზადებული ხვდება. წელსაც, ისევე როგორც გასულ წლებში, ძალიან კარგი პირველკურსელები მივიღეთ. საქართველოს მასშტაბით ერთიან ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შედეგების მქონე ათეულიდან 4 მათგანი ჩვენი სტუდენტი გახდა. ეს ძალიან სასიხარულო ფაქტია. წელს პირველად ფაკულტეტის 4 პროგრამაზე სტუდენტები პირდაპირი სახელმწიფო დაფინანსებით ჩაირიცხნენ. მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მიმართულებებზე 380 სტუდენტი 100%-იანი პროგრამული დაფინანსებით ისწავლის. ამ ფაქტმა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართ კიდევ უფრო გაზარდა სტუდენტების ინტერესი. ფაკულტეტზე გამოცხადებულ 900 ადგილზე 8727 განაცხადი იყო შემოსული, ასეთი დიდი კონკურსი აქამდე არ გვქონია. პროგრამების განახლება და სილაბუსების დახვეწა

მე-7 გვერდზე

ფაკულტეტების მოლოდინები და ინიციატივები

მეექვსე გვერდიდან

ფაკულტეტზე უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. ამ მხრივ ყველაზე დიდი ცვლილება მათემატიკის მიმართულებით მოხდა, სადაც საგნების 30 კრედიტიანი ახალი კონცენტრაცია გაჩნდა სახელნოდებით – მათემატიკური მეთოდები ეკონომიკაში, რაც საინტერესო იქნება იმ სტუდენტებისთვის, ვისაც მათემატიკა და ეკონომიკა აინტერესებს.

— ***სამეცნიერო კვლევების მხრივ რა ვითარებაა ფაკულტეტზე?***

— სამეცნიერო კვლევების მხრივ ფაკულტეტი ყოველთვის აქტიურია და მისი პერსონალის მიერ საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. გაიზარდა სტუდენტთა ინტერესიც სამეცნიერო კვლევების მიმართ. წელს, პირველად, გასული სემესტრის ბოლოს, ჩატარდა სტუდენტური კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. აღსანიშნავია, რომ კონფერენციის ფორმატში იყო ინტეგრირებული საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვა, რაც საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. სტუდენტურ კონფერენციაში ბაკალავრიატის სტუდენტების მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია. წარდგენილი სამეცნიერო მოხსენებები მათ სტიპენდიების მოპოვებაშიც დაეხმარებათ. სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში საკმაოდ დიდი რაოდენობით მონაწილეობდნენ ჩვენი დოქტორანტებიც. ვფიქრობთ, ამ ფორმატში მუშაობას გავაგრძელებთ. შემოდგომის სემესტრის ბოლოს გაიმართება საფაკულტეტო კონფერენცია, სადაც ფაკულტეტის ყველა თანამშრომელი კოლეგების წინაშე წარმოადგენს გასული წლის განმავლობაში კვლევებში მიღებულ შედეგებს. ამ კონფერენციაში მონაწილეობა საინტერესო მეცნიერული კვლევების მქონე სტუდენტებსაც შეუძლიათ. დეკემბერში სტუდენტური ნაშრომებისა და სტუდენტური ინოვაციების კონკურსები ჩატარდება, გამარჯვებულს ფულადი ჯილდო გადაეცემა, რომელიც ერთი წლის სწავლების საფასურს უდრის. კონკურსში მონაწილეობის მიღება სწავლების სამივე საფეხურის სტუდენტებს შეუძლიათ და ვიმედოვნებთ, რომ ამით ხელს შევუწყობთ სტუდენტების ჩართვას სამეცნიერო კვლევებში. ტრადიციულად ფაკულტეტი მრავალ კონფერენციას ატარებს. ერთერთი საინტერესო ღონისძიება გაიმართება ნოემბერში, რომელიც უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის და გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ვიქტორ კუპრაძის ხსოვნას ეძღვნება. ამავე ღონისძიების ფარგლებში მოხდება ახალი სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის პრეზენტაცია.

— ***რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ უკვე შეხვდით თსუ-ის ახალ რექტორს, ბატონ ვლადიმერ პაპავას. როგორ ჩაიარა შეხვედრამ და რა საკითხები განიხილეთ?***

— დეკანებთან პირველ შეხვედრაზე განხილული საკითხები სასწავლო პროცესს და მეცნიერებას შეეხებოდა – აკადემიური რეგისტრაცია, სახელმძღვანელოების შექმნა და თარგმნა, გამოცემული ჟურნალები და ა.შ. ახალ რექტორთან პირველი შეხვედრა ძალიან საქმიანი და საინტერესო გახლდათ.

სტუდენტთა რაოდენობის ზრდის პირობებში მხარდასაჭერი ამოცანაა ფაკულტეტის პროფესორთა შტატის გაზრდა

— ***რა სიახლეებით ხვდება თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს?***

— მნიშვნელოვანია, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეთავაზებულ პროგრამებზე სწავლის სურვილი წელს საკმაოდ დიდი რაოდენობით აბიტურიენტმა დააფიქსირა. იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომელმაც ფაკულტეტზე სწავლის სურვილი ნომერ პირველ პრიორიტეტად დაასახელა, 3 352-ია, ხოლო ფაკულტეტის მიერ შემოთავაზებულ პროგრამებზე სწავლის სურვილი, ყველა პრიორიტეტის გათვალისწინების პირობებში, 21 522 აბიტურიენტმა დააფიქსირა. ფაკულტეტზე მისაღები კონტინგენტის — 850 სტუდენტის პირობებში, აღნიშნული ციფრები საკმაოდ შთამბეჭდავია.

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელ

ნანი მაჭარაშვილი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი

850 სტუდენტს შორის 100 %-იანი დაფინანსებით სარგებლობს 170 სტუდენტი, 70 %-იანი დაფინანსება ეხება 252 სტუდენტს, 50 %-იანი დაფინანსებით ისარგებლებს 267 სტუდენტი. დანარჩენი სტუდენტი თვითდაფინანსების საფუძველზე დაეუფლება ფაკულტეტის მიერ შეთავაზებულ პროგრამებს.

რაც შეეხება სიახლეებს: 2013-2014 წლის ახალ სასწავლო წელს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი მნიშვნელოვანი სიახლეებით ხვდება, რაც, პირველი რიგში, უკავშირდება, ერთი მხრივ, მთარგმნელობით, მეორე მხრივ, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დასაფინანსებელი პროექტების ინიცირებას.

მთარგმნელობითი პროგრამა, რომლის ბიუჯეტის საერთო მოცულობა 2013 წლისათვის 126 000 ლარია, პირველ რიგში, გულისხმობს ფაკულტეტზე მოქმედი საბაკალავრო პროგრამების სავალდებულო ლიტერატურის, შემდგომში კი, არჩევითი საგნების ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო მასალების თარგმნას, რაც, ვფიქრობთ, მნიშვნელოვნად გააადვილებს ამ მხრივ ფაკულტეტზე წლების განმავლობაში არსებულ მდგომარეობას. საერთო ჯამში, დაგეგმილია, დაახლოებით 3000 გვერდის მოცულობის სასწავლო მასალების თარგმნა.

რაც შეეხება სამეცნიერო კვლევითი პროექტების დაფინანსებას — ბიუჯეტი შეადგენს 100 000 ლარს, რაც საკმაოდ მცირეა, თუმცა, საწყის ეტაპზე შესაძლებელი იქნება ფაკულტეტის მიმართულებების მიხედვით თითო-თითო მცირებიუჯეტიანი კვლევითი პროექტის განხორციელების პროცესის დაწყება და 1 ინტერდისციპლინური პროექტის დაფინანსება. წახალისებულია თითოეულ პროექტში დოქტორანტი სტუდენტების ჩართვა, რაც მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს სადოქტორო პროგრამების სტუდენტებს კვლევითი გამოცდილების მიღებაში.

სიახლეებში აუცილებლად უნდა აღინიშნოს ამერიკის საელჩოს მიერ დაფინანსებული მულტიმედია პროექტი მომავალი ჟურნალისტებისთვის. მულტიმედია ცენტრი აღიჭურვა თანამედროვე სატელევიზიო აპარატურით, გაკეთდა ნიუსრუმი, შეიქმნა ვებ-გვერდი. ცენტრი მთლიანად მოემსახურება ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტებს. ასევე მნიშვნელოვანია სტუდენტური ელექტრონული ჟურნალის პროექტი, რაც ნებისმიერი დონის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტს მოუხსნის გამოქვეყნებული სტატიების წარმოდგენის პრობლემას, თუნდაც სტიპენდიების დანიშვნის დროს. სტატიების მიღება დაექვემდებარება „ბრმა შეფასების“ სისტემას, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული წარდგენილი ნაშრომების ობიექტური შეფასება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს ყველაფერი ელექტრონულ სისტემაში, მარტივ რეჟიმში, მხოლოდ ნაშრომის ატვირთვის დონეზე განხორციელდება.

2013-2014 წელს, პირველად წლების განმავლობაში, განხორციელდება ინგლისურ ენაში პირველკურსელთა ტესტირება, რაც ემსახურება ფაკულტეტისთვის პრიორიტეტული ენის გაცილებით ეფექტურად სწავლებას და სტუდენტების შესაბამისი ჯგუფების მიხედვით განაწილებას დონეების მიხედვით. სიახლეა ისიც (ეს საბაკალავრო პროგრამის ყველა სტუდენტს ავტომატურად შეეხება), რომ ინგლისური ენის სავალდებულო 10-კრედიტიანი სწავლების ვალდებულებისგან თავისუფლდებიან ის სტუდენტები, რომლებიც წარმოადგენენ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ შესაბამის სერტიფიკატებს.

იმ ინიციატივებს შორის, რომელიც პირადად ჩემი ხელმძღვანელობის პირობებში იქნა წამოწყებული, არის სტუდენტთა მომსახურეობის სისტემის გაუმჯობესება. სასწავლო მასალები აიტვირთება თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში /www.sms.tsu.ge/, რაც სტუდენტს გაუადვილებს მათზე ხელმისაწვდომობას. აქვე შესაძლებელია მივუთითოთ, რომ განსაზღვრულია უშუალოდ პირველკურსელებისთვის სწავლების პირველ ეტაპზე ყველა საფაკულტეტო საგნის ელექტრონული მასალების საჩუქრად გადაცემა.

— ***ახალ სასწავლო წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალი რეალობით ხვდება. რა მოლოდინები გაქვთ ახალი რექტორის საქმიანობიდან, როგორც ამ ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს და როგორც დეკანის მოვალეობის შემსრულებელს?***

— უნივერსიტეტის რექტორის, ბატონი ლადო პაპავას საზოგადოებრივი ავტორიტეტი, ისევე, როგორც პროფესიული გამოცდილება, საკმაოდ პოზიტიურ და უნივერსიტეტის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების იმედებსა და პერსპექტივებს ბადებს. ამ შემთხვევაში, როგორც ფაკულტეტის ხელმძღვანელმა, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ანალოგიური განწყობა და მოლოდინებია ფაკულტეტის როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ პერსონალში და მნიშვნელოვანი წარმატების საფუძველს ქმნის.

— ***რა ინიციატივებს შესთავაზებთ რექტორს იმისთვის, რომ ფაკულტეტზე სწავლისა და სწავლების პროცესი უფრო მოქნილი და სტუდენტთათვის ხელსაყრელი გახდეს?***

— იმ ინიციატივათა შორის, რომელიც ჩემთვის, როგორც დეკანის დროებითი მოვალეობის შემსრულებლისთვის, მნიშვნელოვანია ის, რომ გაგრძელდეს ყველა ის პოზიტიური წამოწყება, რომელიც დღემდე ფაკულტეტზე არსებობდა. ამავე დროს, ნიშანდობლივია ფაკულტეტის არსებული საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვა და იმ პრობლემების გადაწყვეტა, რომელიც დღეს ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება. ამ შემთხვევაში აქცენტი უნდა გაკეთდეს შედეგზე ორიენტირებულ სისტემაზე, რაც გულისხმობს სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების დანერგვას.

ინიციატივები, რომელიც ჯერ სისტემურ დონეზეა განსახილველი და მხარდასაჭერი, უკავშირდება სტუდენტთა რაოდენობის ზრდის პირობებში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორთა შტატის გაზრდას, ასევე, პროფესორთა ანაზღაურების სისტემაში ისეთი აქტივობების გათვალისწინებას, როგორიცაა კვლევითი და ადმინისტრაციული საქმიანობა, რაც რეალურად ქმნის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, როგორც კვლევითი უნივერსიტეტის სახეს. იმავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ გაგრძელდეს ფაკულტეტების დეცენტრალიზაციის პროცესი და ფაკულტეტის მიერ მოზიდული თანხები საფაკულტეტო ბიუჯეტში გაცილებით მეტი ადეკვატურობით აისახოს.

ალექსანდრე ცისკარიძე,
თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი

ვფიქრობთ, პრინციპული მუშაობა დაიწყება საუნივერსიტეტო კლინიკის პროგლემის გადასაჭრელად

— ***რა სიახლეებით ხვდება ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს?***

— მედიცინის ფაკულტეტზე უცხოელი სტუდენტებისთვის ინგლისურენოვანი სასწავლო პროგრამა ავამოქმედეთ, სადაც 150-მდე უცხოელი სტუდენტი ისწავლის. პირველ და მეორე კურსზე საბაზისო დისციპლინებს მათ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებიც წაუკითხავენ. აღნიშნული პროგრამის დანერგვა, ვფიქრობთ, რამდენიმე დადებით შედეგს მოგვიტანს — პედაგოგები, ახალგაზრდა მკვლევრები, რომლებიც მასში არიან ჩართულნი, უფრო მობილიზებულნი იქნებიან, რათა მედიცინის მიმართულებით თანამედროვე მონაცემებს გაეცნონ. ასევე ველით, რომ საფუძველი ჩაეყრება მნიშვნელოვან საერთაშორისო თანამშრომლობას, რადგან ამ სტუდენტების უკან მათი ქვეყნებია, სადაც, რამოდენიმე წლის შემდეგ, მათი სახით ჩვენი „წარმომადგენლები“ გვეყოლება.

ინგლისურენოვანი პროგრამის ამოქმედება დამატებითი ფინანსური შემოსავლის მიღებასაც ნიშნავს. იმედი გვაქვს, რომ მოვახერხებთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, რაც სასწავლო პროცესისთვის და სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად აუცილებელია.

— ***თსუ-ს ახალი რექტორი ჰყავს. რა ცვლილებებს ელით მედიცინის ფაკულტეტზე?***

— ბატონ ვლადიმერ პაპავას საზოგადოებაში დადებითი რეპუტაცია აქვს როგორც მეცნიერს და ინტელიგენტ პიროვნებას. ასევე აქვს ორგანიზაციული მუშაობის დიდი გამოცდილებაც. ეს ყოველივე უნივერსიტეტისთვის სასიკეთო სიახლეების შემოთავაზების მოლოდინს ქმნის. სხვათაშორის, თსუ-ს ბოლო წლებში განვითარების კარგი დინამიკა ჰქონდა. გაიზარდა დაფინანსება, სასწავლო პროცესი გაუმჯობესდა, გაიზარდა მოპოვებული სამეცნიერო გრანტების რაოდენობა. დარწმუნებული ვარ, ეს დინამიკა უფრო მეტად განვითარდება.

ვფიქრობ, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია შეიქმნას უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევების დაფინანსების შიდა პროგრამა იმავე პრინციპით, როგორითაც ეს ბევრ ქვეყანაშია ორგანიზებული. სამწუხაროდ, რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარდგენილი პროექტების დიდი ნაწილი წარმოადგენს თუმცა საინტერესო გეგმებს, მაგრამ არა ყოველდღიურად მიმდინარე კვლევების (და ამ კვლევების წინასწარი ან შუალედური შედეგების) განვითარების შეთავაზებას. მნიშვნელოვანია, ხელი შეეწყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სისტემურ კვლევით საქმიანობას, რაც მომავალში აუცილებლად აისახება მაღალბიუჯეტიანი საგრანტო პროექტების მომზადების ხარისხზე. კვლევების შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსება ასევე შეუწყობს ხელს დოქტორანტების პროფესიულ განვითარებას და, შესაბამისად, ახალი კადრების ჩამოყალიბებას.

— ***რექტორთან თუ გისაუბრიათ ამ თემაზე?***

— ჯერჯერობით არა, თუმცა ბატონი ლადოს წინასაარჩევნო პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მეცნიერების ხელშეწყობას უკავშირდება. აუცილებელია განვითარდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც, რადგან მეცნიერება ამის გარეშე წარმოუდგენელია. ამასთანავე, მნიშვნელოვანია — სტუდენტები ბაკალავრიატის საფეხურიდანვე ჩაერთონ კვლევის პროცესში. სხვათა შორის, ამ მხრივ, გარკვეული სიახლე ფაკულტეტზე უკვე წელსვე დაიწყება. ტემპუსის გრანტის ფარგლებში ჩვენ შევიმუშავეთ სილაბუსი — „კვლევის უნარები“. ეს სილაბუსი უცხოელ კოლეგებთან კონსულტაციებით მომზადდა. ახალი დისციპლინა 10-კრედიტიანია. იგი საშუალებას მისცემს სტუდენტებს სამეცნიერო კვლევისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება II-III სემესტრებიდან დაიწყონ, გაეცნონ სამეცნიერო ბაზებში მუშაობას. სილაბუსის მიხედვით IX-X სემესტრებში სტუდენტმა უნდა შეძლოს წინასწარ შერჩეულ პრობლემაზე სრულფასოვანი რეფერატის მომზადება, ხოლო XI-XII სემესტრებში — მომავალი კვლევის პროექტის ნიმუშის წარმოდგენა.

მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელდება ერთი საინტერესო ინიციატივაც: მედიცინის ფაკულტეტის თითოეულ „მე-2 წლის“ დოქტორანტს მიემაგრება ორი სტუდენტი, რაც, ამ სტუდენტებს კვლევის უნარების გამომუშავებაში პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს.

ბატონ ლადოსთან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წინასაარჩევნო შეხვედრაზე აქტიურად ვიმსჯელეთ ფაკულტეტის კლინიკური ბაზების განვითარების თაობაზე. იმედი მაქვს, რომ პრინციპული მუშაობა

მე-8 გვერდზე

ფაკულტეტების მოლოდინები და ინიციატივები

მეშვიდე გვერდიდან

დაიწყება საუნივერსიტეტო კლინიკის პრობლემის გადასაჭრელად. ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაო ჩატარებული გვაქვს, არის რამოდენიმე საინტერესო შესაძლებლობა და ვფიქრობთ, მიზანმიმართული ძალისხმევით ეს საკითხი შეიძლება წარმატებით გადაიჭრას.

— რომელ კლინიკასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება?

— ამჟამად მეტი დაკონკრეტება მიზანშეწონილი არ იქნება. მაგრამ არსებობს რამოდენიმე კლინიკა, რომელსაც შესაბამისი პირობების შემთხვევაში ექნება უნივერსიტეტთან „აფილირების" სურვილი.

აკაკი ხელაძე,
თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი

აქტიურად ვმუშაობთ სასწავლო ლიტერატურის თარგმნის მიმართულებითაც

— როგორ ხვდება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს?

— თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ადმინისტრაცია ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის ყოველთვის ითვალისწინებს გასული წლის სტატისტიკას და გამოცდილებას და, აქედან გამომდინარე, მცირდება ის პრობლემებიც, რაც სტუდენტთა რეგისტრაციასა და ბაზების გახსნას ეხება. წელს მივიღეთ გადაწყვეტილება ბაზები ორ ეტაპად გაიხსნას, რომელიც შეძლებისდაგვარად გამორიცხავს ადგილების შეზღუდვასა და არქონას. აქვე მოვუწოდებ სტუდენტებს, ყველანაირი პრობლემის მოსაგვარებლად დროულად მოგვმართონ! ჩვენ ეფექტური მუშაობისთვის ინფორმაციულ მხარდაჭერასაც უზრუნველვყოფთ — სწორედ ამან განაპირობა გასულ წელს რეგისტრაციის გარეშე დარჩენილ სტუდენტთა განცხადებების სიმცირე. ახალ სასწავლო წელს დროულად მომზადდა ცხრილებიც.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წელს ჩვენს ფაკულტეტზე მოთხოვნა საკმაოდ გაიზარდა. ამან გამოიწვია კონკურენცია და გაზარდა კონტინგენტის ხარისხი. ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებითაც კარგი მდგომარეობაა. პრაქტიკულად, გაცილებით მეტია ერთ ადგილზე კონკურსანტთა რაოდენობა. ფაქტობრივად, ყველა მიმართულებით ტენდენცია კარგია. აბიტურიენტების გაზრდილ მოლოდინს შესაბამისი რესურსი უნდა დავახვედროთ, როგორც ადმინისტრაციული, ასევე, აკადემიური თვალსაზრისით.

ფაკულტეტის დოქტორანტურაზეც გაზრდილია მოთხოვნა. უკვე 70 აპლიკანტია დარეგისტრირებული, როცა შარშან ეს ციფრი შედარებით ნაკლები იყო. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დოქტორანტურა არც ერთ პრესტიჟულ, უცხოურ უნივერსიტეტში არ არის ფინანსური რესურსის მოდინების წყარო, იგი გრძელვადიან, ხარისხიან სტრატეგიაზეა გათვლილი, ამიტომ მივესალმები — თუ სწავლა აქ უფასო გახდება. მთავარია ხარისხი და არა რაოდენობა. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება ოპტიმალური რაოდენობის დოქტორანტი მივიღოთ, მაგალითად, თითო კათედრაზე 2 ან 3 დოქტორანტი.

მზარდი ტენდენცია შეიმჩნევა ერთობლივი სამაგისტრო პროგრამებით დაინტერესების მხრივ. წელს, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ორმაგი ხარისხის ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე დაინტერესებულია 60-65 აპლიკანტი, ჩვენ კი მხოლოდ 20-25 სტუდენტის მიღების საშუალება გვაქვს. ეს პრაქტიკულად მესიჯია, რომ პროგრამაზე მოთხოვნა არსებობს და აქაც უნდა გავამართლოთ სტუდენტების ხარისხიანი სწავლების კუთხით.

გარდა ამისა, ვიზრუნეთ ინფრასტრუქტურის მოწყობის თვალსაზრისითაც. თსუ-ის ადმინისტრაციის მხარდაჭერით მესამე სართულის დიდი ნაწილი გავარემონტეთ, სადაც სტუდენტთა მომსახურეობის ცენტრი, ადმინისტრაცია და ხარისხის სამსახური გადავიყვანეთ, რომელიც, ფაქტობრივად, ერთი ფანჯრის პრინციპზე ავაგეთ და მაქსიმალურად გავმიჯნეთ ის ადგილი, სადაც სასწავლო და ადმინისტრაციული საქმიანობაა განსაზღვრული, რათა ერთმანეთისთვის ხელის შეშლა არ მოხდეს.

— სამეცნიერო მუშაობის მხრივაც ხომ არ უნდა ველოდოთ სიახლეებს? რა გეგმები გაქვთ ამ მიმართულებით?

— შემოდგომაზე დაგეგმილია დიდი საერთაშორისო კონფერენციის გამართვა, რომელსაც ბევრი უცხოელი სტუმარი და მომხსენებელი ეყოლება. ასევე აქტიურად ვმუშაობთ სასწავლო ლიტერატურის თარგმნის მიმართულებითაც. ამ ეტაპზე გამოსაცემად ვამზადებთ სტატისტიკის, მენეჯმენტის, საერთაშორისო ბიზნესის, მიკროეკონომიკის, მარკეტინგის და ეკონომიკური პოლიტიკის სახელმძღვანელოებს. სასწავლო ლიტერატურის თარგმნის აუცილებლობის შესახებ თსუ-ის რექტორს, ბატონ ლადოს თავის კონცეფციაშიც ჰქონდა რამდენიმე ასეთი ინიციატივა, რომელსაც, რა თქმა უნდა, მივესალმებით.

გავაძლიერებთ მუშაობას სამეცნიერო კვლევების მიმართულებითაც. ჩვენი პროფესორები აქტიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო-სამეცნიერო პროექტებში, კვლევებში. ფაკულტეტი გამოსცემს ჟურნალს, სადაც ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების ნაშრომები ქვეყნდება. ასევე, აქტიურად ვთანამშრომლობთ თსუ-ის ჟურნალთან — „თსუ მეცნიერება".

— თსუ-ის ახალ რექტორს თუ შესთავაზეთ რაიმე ინიციატივა ან წინადადებები?

— ბატონი ლადოს კონცეფციაში ძალიან ბევრი რამე თანამედროვე და აქტუალურია, თუმცა ერთი შეხედვით — რთულად განსახორციელებელი. აბსოლუტურად ვეთანხმები მას სასწავლო ლიტერატურის თარგმნის, ასევე, სტუდენტებთან დამოკიდებულების საკითხებშიც — აუცილებელია, მოვუსმინოთ სტუდენტებს, გავითვალისწინოთ მათი მოთხოვნები, შეფასებები, რათა სწავლის ხარისხი გაიზარდოს და ჯანსაღი კონკურენცია იყოს. ჩვენ მზად ვართ, საინტერესო ინიციატივები და წინადადებები განვახორციელოთ და ახლებური, პროგრესული ხედვით უფრო მეტად წარმატებული და კონკურენტუნარიანი გავხადოთ ჩვენი ფაკულტეტი.

ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდენტები თსუ-ში ჩაირიცხნენ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების თანახმად ყველაზე რეიტინგულ უმაღლეს სასწავლებლად დასახელდა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარების სურვილს, როგორც ირკვევა, 13 562 აბიტურიენტი გამოთქვამდა, თუმცა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად თსუ-ში მხოლოდ 5 185 აბიტურიენტი ჩაირიცხა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლიდერია 100%-იანი, 70%-იანი და 50%-იანი სახელმწიფო დაფინანსების მქონე სტუდენტების რაოდენობის მხრივაც. ერთიან ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შედეგების მქონე პირველი ათეულიდან 4 სტუდენტი თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულებაზე მოხვდა, რომელთა შორის თათია შარიამ საქართველოს მასშტაბით ყველაზე მაღალი ქულები მიიღო. ქულების მაღალი მაჩვენებლებით მას მოსდევენ ლაშა ფანცხავა, რომან კუტუბიძე და ვაჟა ლოლაძე.

100%
570 სტუდენტს
70%
757 სტუდენტს
50%
1550 სტუდენტს

თათია შარია,
თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელი:

— რატომ აირჩიე თსუ სწავლის გასაგრძელებლად?

— მე ილია ვეკუას სახელობის თბილისის №42 საჯარო სკოლა დავამთავრე. ფიზიკის სპეციალობა თავიდანვე მაინტერესებდა და ამიტომ გადავწყვიტე ამ მეცნიერების უფრო ღრმად შესწავლა. ვფიქრობ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩემი მოლოდინი გამართლდება — პროფესიონალი ლექტორები წაგვიკითხავენ ლექციებს. თანაც, თსუ-ს სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან შედარებით დიდი ტრადიციები და უფრო მეტი გამოცდილებაც აქვს. ბაკალავრიატს ფიზიკის სპეციალობით აუცილებლად დავამთავრებ, თუმცა, შემდეგ გავაგრძელებ თუ არა ამ პროფესიის შესწავლას, ჯერ არ გადამიწყვეტია.

— რატომ გადაწყვიტე ფიზიკის შესწავლა? დღეს, გარკვეულწილად, მიიჩნევენ, რომ ამ პროფესიის ადამიანებს საქართველოში დასაქმების ნაკლები პერსპექტივა აქვთ...

— ჩემი არჩევანის ძირითადი მოტივი მაინც ის იყო, რომ ვერ გადავწყვიტე — სად ჩამებარებინა და ბოლოს არჩევანი ფიზიკაზე შევაჩერე. სხვათაშორის, სპეციალობის შერჩევისას მშობლები ჩემს არჩევანში არ ჩარეულან, თუმცა არც მომიწონეს, რადგან მათაც მიაჩნიათ, რომ ფიზიკის სპეციალობის ადამიანებს პერსპექტივა საქართველოში ნაკლებად აქვთ. მე მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი.

ვაჟა ლოლაძე,
თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელი:

— რა გახდა შენთვის სტიმული, რომ ეს მეცნიერება სიღრმისეულად შეისწავლო?

— სტიმულია ის ქართველი ფიზიკოსები, რომლებმაც საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწიეს. სხვათაშორის, თითქმის ყველა მათგანს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული, მეც სწორედ ამიტომ ჩავაბარე თსუ-ში. ჩემი ოჯახის მხრიდანაც ვგრძნობ თანადგომას. მიმაჩნია, რომ პერსპექტივა აუცილებლად მექნება. უბრალოდ, ძალიან მინდა ვისწავლო ფიზიკა. თავისუფალ დროსაც, ძირითადად, კომპიუტერთან ვატარებ და დიდ დროს ვუთმობ ფიზიკის მეცნიერების შესახებ სხვადასხვა ინფორმაციის მოძიებას.

რომა კუტუბიძე,
თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელი:

— რატომ გადაწყვიტე თსუ-ში ჩაბარება?

— უნივერსიტეტის შესახებ ბევრი მსმენია, აქ ბევრი ნაცნობიც მყავს, ამიტომაც პირველ უმაღლეს სასწავლებლად ავირჩიე.

— კონკრეტულად რა გსმენია უნივერსიტეტის შესახებ, რისი მოლოდინი გაქვს?

— ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ პირადად მეც მქონდა. თსუ-ში ფიზიკის წრე მოქმედებდა, სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორები გვიკითხავდნენ ლექციებს. აქ ძალიან ბევრი რამ ვისწავლე და დიდი ცოდნა მივიღე. ფიზიკის მეცნიერებითაც უფრო მეტად დავინტერესდი, ამიტომ მაგისტრატურასა და დოქტორანტურაშიც ვგეგმავ ჩაბარებას. შევეცდები უფრო ღრმად შევისწავლო ეს მეცნიერება.

— საქართველოში ფიზიკის სპეციალობა ნაკლებად პერსპექტიულად მიიჩნევა...

— ვფიქრობ, რომ უფრო მეტად ჩემზე იქნება დამოკიდებული — როგორ განვვითარდები და რას მივაღწევ. სხვათაშორის, ახლობლებიც იგივეს მეუბნებოდნენ, მაგრამ მაინც ჩავაბარე. ძალიან კარგი შეგრძნებაა სტუდენტობა.

ლაშა ფანცხავა,
თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელი:

— რატომ აირჩიე თსუ?

— კომაროვის სკოლა დავამთავრე და, აქედან გამომდინარე, გამიჩნდა სურვილი, რომ ფიზიკის მიმართულებაზე ჩამებარებინა. სხვათაშორის არ ველოდი, რომ პირველ ათეულში მოვხვდებოდი. ბოლო სემესტრი ექსტერნად ჩავაბარე, რეპეტიტორებთან ვემზადებოდი. ვერ გეტყვით, რომ სულ სწავლაში ვიყავი ჩაფლული, რასაც მავალებდნენ – ვაკეთებდი. რაც შეეხება უნივერსიტეტს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ავირჩიე, რადგან სახელმწიფოა, თუმცა თავიდან თავისუფალ უნივერსიტეტში ვგეგმავდი ჩაბარებას. თსუ იმიტომაც ვარჩიე, რომ როგორც მითხრეს, აქ საშუალება მომეცემა — გაცვლით პროგრამებშიც მივიღო მონაწილეობა. სხვათაშორის, უნივერსიტეტის შესახებ ბევრი ცუდი და ბევრი კარგიც მსმენია, მაგრამ მოლოდინი უფრო მეტად კარგი მაქვს.



— რატომ აირჩიე ფიზიკის სპეციალობა?

— ფიზიკა ძალიან საინტერესო საგანია, ბიოლოგიაც მომწონს და ქიმიაც, თუმცა ფიზიკამ გადაწონა. ბებიაც ფიზიკოსი მყავდა — ლეილა ჩიქოვანი, რომელიც ცერნში მუშაობდა. მე ჯერ არ გადამიწყვეტია — ფიზიკის მეცნიერებას უფრო ღრმად შევისწავლი თუ არა. ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ, შესაძლოა, მათემატიკის ან კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებაზე გავაგრძელო სწავლა. თუმცა, ზოგადად, სწავლის პარალელურად ვგეგმავ სპორტშიც ვცადო ჩემი ძალები. ძალიან მიყვარს კალათბურთი. ვიცი, რომ თსუ-ს კალათბურთის გუნდიც ყავს, ამიტომ აუცილებლად ვცდი ბედს.

***მოამზადა* ნატო ოგოლაძემ**

თსუ-ს პირველად მიეცა დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთების საშუალება

ექსკლუზიური ინტერვიუ განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან თამარ სანიკიძესთან

პირველი გვერდიდან

ბის შიდა მოწყობასთან. საბჭოსთან ერთად განვიხილავთ უნივერსიტეტების ახალ სტრუქტურას და შიდა მოწყობის ისეთ სქემას, რომელიც უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო საზოგადოების მეტ ჩართულობას და იმ დემოკრატიული პრინციპების განხორციელებას, რაც ესოდენ გვჭირდება.

— ***ახალი კანონის მიღების შემთხვევაში თსუ-ის რექტორის ხელახალი არჩევნები ხომ არ დაინიშნება?***

— ვფიქრობ, რომ ახალი არჩევნების აუცილებლობა თსუ-ში, დღესდღეობით, არ დგას. ჩემს მიერ დასახელებული თემები და დეტალები აქტიურად მუშავდება რექტორთა საბჭოს ფარგლებში, რომ მივიღოთ ერთობლივი გადაწყვეტილებები. არის წინააღმდეგობები, განსხვავებული მოსაზრებები, შენიშვნები, რაც ერთობლივად იქნება გააზრებული და დამუშავებული.

— ***მითითებულია თუ არა პროექტში პუნქტი, რომლის თანახმადაც რექტორს 7 მოადგილე უნდა ჰყავდეს?***

— კონკრეტულ რაოდენობაზე ჯერ არ ვსაუბრობთ. მთავარია შევთანხმდეთ სტრუქტურულ ქვედანაყოფებზე — როგორი უნდა იყოს ფაკულტეტური მოწყობა; როგორ უნდა ფუნქციონირებდეს ადმინისტრაცია; ვინ უნდა მართავდეს ამ ორგანიზაციას — იქნება ეს აკადემიური საბჭო, სენატი თუ სხვა... როგორი იქნება მმართველი რგოლების შემადგენლობა და ა.შ. — ეს არის ის საკითხები, რომლებზედაც ამ ეტაპზე ვმსჯელობთ.

— ***უნივერსიტეტების სსიპ-ად გარდაქმნის პროცესი როდის დასრულდება და უშუალოდ რა ცვლილებებია მოსალოდნელი უნივერსიტეტების სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებით?***

— 15 სექტემბერს დამთავრდება სსიპ-ად გარდაქმნის პროცესი. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ყველა უმაღლესი სასწავლებელი იქნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი. იურიდიული სტატუსის შეცვლას არაფერი საერთო არ აქვს სახელშეკრულებო პირობებთან და არც შიდა მოწყობასთან. (სახელშეკრულებო ურთიერთობა ჩვენი პრეროგატივა არ არის. რაც შეეხება შიდა მოწყობას, ეს საკითხი რეგულირდება უმაღლესი განათლების შესახებ კანონით). სტატუსის შეცვლით დაცული იქნება სახელმწიფო ქონება, რომელიც არ უნდა გასხვისდეს და განიავდეს, რადგანაც მას ჰყავს თავისი ბენეფიციარი — სრულიად საზოგადოება. მწარე წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე მივიღეთ სწორედ უნივერსიტეტების სსიპ-ად გარდაქმნის გადაწყვეტილება, რათა მაქსიმალურად დავიცვათ ის, რაც საზოგადოებას ეკუთვნის.

— ***რამდენად ეწინააღმდეგება სახელმწიფო უნივერსიტეტების სტატუსის ეს ცვლილება ავტონომიურობის პრინციპს?***

— აღნიშნული ცვლილება საერთოდ არ ეხება ავტონომიურობის თემას. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ახალ ეტაპზე ექნებათ მოთხოვნები საშტატო განრიგისა და ბიუჯეტის შეთანხმებასთან დაკავშირებით, რაც, ნაწილობრივ, რეგენტთა საბჭოს ფუნქცია იყო. „უმაღლესი განათლების შესახებ" ახალი კანონის მიღებამდე, გათვალისწინებულია დამატებითი საკანონმდებლო ცვლილებები, რათა სსიპ-ს მიენიჭოს სპეციალური სსიპ-ის სტატუსი, ანუ უნივერსიტეტებს განესაზღვროთ ის აუცილებელი ფაქტორები, რასაც თავად უნდა არეგულირებდნენ — ეს ეხება საბიუჯეტო საქმიანობას, საშტატო განრიგს...

— ***ანუ ამას უნივერსიტეტი თავად დაარეგულირებს?***

— რა თქმა უნდა. სახელმწიფოს არანაირი ინტერესი არ აქვს, რომ უნივერსიტეტებს უკარნახოს — როგორ გადაანაწილოს თანხები. ფულის რაციონალურ გადანაწილებაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს თავად უნივერსიტეტი.

— ***წინა ხელისუფლება მეცნიერების მიმართ გულგრილობას იჩენდა და ამ მიმართულებით ბევრი სირთულე გამოიკვეთა. საინტერესოა თქვენი ხედვები – რას გეგმავთ მეცნიერების განვითარებისთვის?***

— განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტმა ბევრი იმუშავა ამ თემაზე. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ რაღაც ნაბიჯები ამ მიმართულებით უნდა გადავდგათ. სავარაუდოდ, ვგეგმავთ ისეთი ინსტიტუციის ჩამოყალიბებას, საიდანაც მოხერხდება სამეცნიერო კვლევების გაძლიერება და განვითარება საქართველოში. ამჟამად არსებობს პროექტის მონახაზი, რომელზეც მიმდინარეობს მსჯელობა. ვგულისხმობ კვლევითი ცენტრის დაფუძნებას, რომელიც იმუშავებს ქვეყნისთვის აქტუალურ და საჭირო მეცნიერულ მიმართულებებზე. ასევე, ამ კვლევითმა ცენტრმა უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტებში კვლევითი პოტენციალის გაძლიერება, სრულყოფა... ეს იქნება ორგანიზაცია, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ მიმართულებების, ამა თუ იმ გრძელვადიანი პროექტების და სამეცნიერო კვლევების დაფინანსებაზე. მას ასევე ექნება გრანტის გაცემის ფუნქცია და ვფიქრობთ, რომ ამ ცენტრის საშუალებით მოხდეს აკუმულირება, გადარჩენა ჯერ კიდევ არსებული პოტენციალისა, რაც ჩვენ დღეს მეცნიერებაში გვაქვს. განათლების კანონთან ერთად ამ პროექტსაც ვამზადებთ, რათა შემდეგ დავიწყოთ მათი განხილვა საზოგადოებრივ წრეებში.

— ***თუ არის გათვალისწინებული სახელმწიფო უნივერსიტეტების დაფინანსების გაზრდა?***

— დაფინანსების გაზრდა, სავარაუდოდ, მოსალოდნელია. უნივერსიტეტების სსიპ-ად გარდაქმნა უმაღლეს სასწავლებლებში ინვესტიციების გაზრდის შესაძლებლობას გვაძლევს. მთავარია შევთანხმდეთ იმ პრიორიტეტებზე, რის მიხედვითაც გადანაწილდება ეს რესურსები. ჩვენ დავიწყეთ ამ თემაზე უნივერსიტეტებთან მუშაობა და ახალი საბიუჯეტო წლიდან ყველა ფაქტორი გათვალისწინებული იქნება ბიუჯეტში. ამ პერიოდში უნივერსიტეტებს აქვთ შანსი, რომ დაგვანახონ — რაში მდგომარებს დამატებითი თანხების მობილიზების საჭიროება. ანუ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომავალ წელს უნივერსიტეტების დაფინანსება გაიზრდება.

— ***მოგეხსენებათ, რომ ჯავახიშვილის უნივერსიტეტს წლების მანძილზე შელახული ჰქონდა რეპუტაცია იმ თვალსაზრისით, რომ უნივერსიტეტი აღარ იყო თავისუფლების ის კერა, როგორ უნივერსიტეტსაც ეთაყვანებოდა ქართველი კაცი. წინა ხელისუფლების პირობებში უნივერსიტეტში პოლიციური რეჟიმის დამყარებამ, პოლიტიკური ნიშნით ღირებული პროფესურის დევნამ იმიჯი შეურყია უნივერსიტეტს, რაც პრესის ფურცლებზე თითქმის ყოველდღიური განხილვის საგანი იყო. თქვენი აზრით, ზაფხულში ჩატარებულმა თსუ-ის რექტორის არჩევნებმა და არჩევნების შედეგმა რამდენად იქონია გავლენა საზოგადოების განწყობებზე?***

— რექტორის პიროვნება დიდწილად განსაზღვრავს უნივერსიტეტის იმიჯს. ის, ვინც უნივერსიტეტს რეალურად არ აურჩევია, როგორ შეიძლება წარმოადგენდეს მის სახეს? გადავხედოთ — 2004 წლიდან რა მოხდა უმაღლესი განათლების კანონში? რექტორს (და არა მოვალეობის შემსრულებელს) ნიშნავდა ჯერ პრეზიდენტი, მერე მთავრობა; შემდეგ ჩატარდა რეფორმა — ყველა „გადანიშნეს" და მხოლოდ ამის შემდეგ შემოდის საბჭოს მიერ რექტორის არჩევის პრინციპი. შემდეგ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რექტორის არჩევნების პროცესებს კურირებდა განათლების მინისტრის მოადგილე და პირადადაც ერეოდა ხოლმე ამ პროცესში. როდესაც არჩევნების დროს მინისტრის მოადგილე აქტიურობს, მაღალ ლეგიტიმაციას ვერც მიანიჭებ იმ აკადემიურ საბჭოს, რომელიც არჩევნებს ატარებს. სახელმწიფოს ინტერესი, რა თმა უნდა, ახლაც არის და ჩვენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია — ვინ იქნება წამყვანი სახელმწიფო უნივერსიტეტების პირველი პირი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვუკარნახოთ — ვინ აირჩიონ. ამდენად, ვფიქრობ, ზაფხულში ჩატარებული რექტორის თავისუფალი არჩევნების შემდგომ საზოგადოება კმაყოფილი იქნება.

შეხედეთ სტუდენტების ნაკადს — რამდენი სტუდენტი და როგორი ნაკადია წელს ... ეს, ალბათ, იმ გადაწყვეტილებითაც არის განპირობებული, რომ უკვე 17 მიმართულებას სახელმწიფო აფინანსებს. ჯავახიშვილის უნივერსიტეტში წელს ყველაზე მეტი 100%-იანი დაფინანსების მქონე სტუდენტი მოხვდა. რეიტინგების მიხედვით წელს პირველად არის თსუ პირველ ადგილზე და ამით ძალიან ვიამაყე. რექტორის დამოუკიდებელი არჩევნები ამ ეფექტს გააძლიერებს. სტუდენტები უპირატესობას კვლავ თსუ-ს ანიჭებენ. უფასო მიმართულებებზე წამოვიდა დიდი ნაკადი და, საბოლოო ჯამში, მივიღეთ უპრეცედენტოდ რაოდენობა სტუდენტებისა (მათ შორის ყველაზე მაღალქულიანი სტუდენტების) თსუ-ში.

ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲙᲣᲠᲡᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲡ! ᲛᲘᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ. ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲛᲘᲕᲣᲚᲝᲪᲝ ᲛᲐᲗ ᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲔᲡ — ᲒᲐᲮᲓᲜᲔᲜ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ! ᲕᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑ, ᲛᲐᲗ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲗᲕᲘᲗᲠᲔᲐᲚᲘᲖᲔᲑᲐᲡ ᲘᲛ ᲯᲐᲜᲡᲐᲦ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲨᲘᲪ ᲩᲕᲔᲜᲪ ᲨᲔᲕᲣᲬᲧᲝᲑᲗ ᲮᲔᲚᲡ. ᲕᲣᲠᲩᲔᲕ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲔᲧᲔᲜᲔᲑᲘᲜᲝᲗ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲔᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲜᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲔᲑᲘ!

სენსაციური აღმოჩენა და თვალსაზრისები

პირველი გვერდიდან

მაია ტორაძე

რამდენიმე წლის წინ ქართველმა და გერმანელმა მეცნიერებმა, რომელთა შორის იყვნენ საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო ლაბორატორიის ხელმძღვანელი ირინა ღამბაშიძე, ბოხუმის გერმანიის სამთო მუზეუმისა და რურის უნივერსიტეტის პროფესორი თ. შტოლნერი და სხვა მეცნიერები, ფოლკსვაგენის ფონდის, გერმანიის სამეცნიერო ფონდისა და საფრანგეთის სამეცნიერო ცენტრის დაფინანსებით საყდრისი-ყაჩაღიანის მაღაროში აწარმოეს არქეოლოგიური გათხრები, რომლის შედეგადაც სენსაციური განცხადება გაავრცელეს. კერძოდ, მათ განაცხადეს, რომ საყდრისი-ყაჩაღიანში იპოვეს მსოფლიოში უძველესი ოქროსმომპოვებელი მაღარო, რომელიც ძვ. წ. აღ-ის IV ათასწლეულს ეკუთვნის.

ამ აღმოჩენის მსოფლიო სენსაციად მონათვლას წინ არაფერი ედგა, რომ არა ამ საკითხზე არსებული საწინააღმდეგო მოსაზრებები, რომელთა ავტორები დამაჯერებელი არგუმენტების მოშველიებით ცდილობენ დაასაბუთონ, რომ საყდრისში არსებობდა არა ოქროს, არამედ სპილენძის მომპოვებელი მცირემასშტაბიანი მაღარო და რომ მსოფლიოში უძველესი ოქროს საბადოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებობას მეცნიერული საფუძველი არ აქვს.

მეცნიერთა გერმანულ-ქართული ჯგუფი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება და აცხადებს, რომ იმ მეცნიერთა უკან, რომლებსაც საყდრისის აღმოჩენისა არ სჯერათ, კომპანია „ერ ემ ჯი" დგას. სწორედ ამ კომპანიას აქვს ნაყიდი საყდრისის ტერიტორიაზე ოქროს მოპოვების ლიცენზია. ისინი ამ კომპანიის ლობირებაში ადანაშაულებენ მეცნიერთა ჯგუფს, რომელთა დასკვნის საფუძველზეც მიმდინარე წლის 5 ივლისს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას ბრძანებით (№03/108) საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტისთვის 2006 წელს მინიჭებული კულტურული ძეგლის სტატუსი ბათილად სცნეს. პარალელურად გავრცელდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის ტერიტორია ინარჩუნებს არქეოლოგიური დაცვის ზონის სტატუსს. შესაბამისად, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „არქეოლოგიური დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც გამოიწვევს ზონაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის დაზიანებას, განადგურებას, მისი აღქმის გაუარესებას, ან ხელს შეუშლის მასზე სრულფასოვანი მეცნიერული კვლევის ჩატარებას". აქედან გამომდინარე, არქეოლოგიური სამუშაოების დასრულებამდე და არქეოლოგიური დაცვის ზონის არსებობის პირობებში, საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის უსაფრთხოება კანონით არის სრულყოფილად დაცული."

საყდრისის არქეოლოგიურ ობიექტზე

საყდრისის ობიექტისთვის კულტურული ძეგლის სტატუსის ჩამორთმევას ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაწილის უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა. 13 აგვისტოს ქართულ მედიასაშუალებებში გავრცელდა გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, დოქტორ სვენდ ჰანსენის წერილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისადმი, რომელშიც იგი ბატონ გურამ ოდიშარიას საყდრისის არქეოლოგიური ძეგლის დაცვისკენ მოუწოდებდა. საპასუხოდ, 26 აგვისტოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა საყდრისი-ყაჩაღიანის საკითხთან დაკავშირებით შეხვედრა გამართა. შეხვედრას ქართულ-გერმანული საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის წევრები, საქართველოში გერმანიის საელჩოს წარმომადგენლები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგები, გეოლოგები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ. შეხვედრის შემდეგ, 10 სექტემბერს, ექსპერტთა ჯგუფმა ბოლნისის არქეოლოგიური ობიექტი მოინახულა.

სანამ მეცნიერები საბოლოოდ შეჯერდებიან, მანამ კიდევ ერთხელ შევეცადეთ მოგვესმინა მეცნიერთა არგუმენტები, რომ საზოგადოებისთვის მიგვეცა საშუალება თავად გამოიტანონ დასკვნა — საყდრისის არქეოლოგიური ობიექტი ოქროს მომპოვებელი უძველესი საბადოა თუ მეცნიერთა გარკვეული ჯგუფის მიერ შექმნილი იაფი სენსაცია?

მე-15 გვერდზე

რომელ ინსტიტუტს სურს დარჩენა თსუ-ის ქოლგის ქვეშ?

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისთვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ჩამოშორებით ქვეყანაში მეცნიერების ყველა დარგი სერიოზული დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა. ხსენებული ინსტიტუტები ჯერ მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიყვანეს, ხოლო შემდეგ გადაანაწილეს — ზოგი ტექნიკურ უნივერსიტეტში, ზოგი სამედიცინო უნივერსიტეტში, ნაწილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში და ნაწილიც — ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. ოფიციალურ ვერსიად სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია დასახელდა. საზოგადოებაში კი გაჩნდა ეჭვი, რომ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების უნივერსიტეტებთან მიერთება მიმართული იყო ინსტიტუტების შენობების სარფიანად გაყიდვაზე, რადგან თითქმის ყველა ეს შენობა ქალაქის ცენტრალურ რაიონში მდებარეობს. მიუხედავად ყველაფრისა, ზოგიერთმა ინსტიტუტმა სახე და კოლექტივი მაინც შეინარჩუნა: ეკონომიკის, ფიზიკის, ქიმიის და მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა გაუძლეს შექმნილ მდგომარეობას და მოღვაწეობას დღესაც წარმატებით აგრძელებენ. ილიას უნივერსიტეტში გაერთიანებული ინსტიტუტებიდან, ხელმძღვანელობის ზეწოლით, მეცნიერთა ძირითადი შემადგენლობა დაითხოვეს. მართალია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიერთებული ინსტიტუტებიდან მეცნიერები არ დაუთხოვია, მაგრამ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს დღემდე არ აქვთ განსაზღვრული სტატუსი, არ გააჩნიათ დამტკიცებული დებულება. როგორც ამბობენ, ინსტიტუტების ბედი მიმდინარე წლის შემოდგომაზე უნდა გადაწყდეს.

დღეს უკვე აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ, შესაძლოა, ეს ინსტიტუტები მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში დაბრუნდნენ. ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოდის ინიციატივით, შეიქმნას სამეცნიერო კვლევათა ეროვნული ცენტრი და ინსტიტუტებს, რომელიც დღეს უნივერსიტეტების შემადგენლობაში შედიან, მიეცემათ საშუალება ამ ცენტრში გაერთიანდნენ. თსუ-ის ახალი რექტორიც, ბატონი ლადო პაპავა დაინტერესებულია ინსტიტუტების გადაწყვეტილებით — თუ ვისი ქოლგის ქვეშ ისურვებენ ისინი დარჩენას. მხოლოდ ამ პოზიციების გაცნობის შემდეგ დაიწყება, ალბათ, ინსტიტუტებთან მიმართებაში თსუ-ის თანამშრომლობის გაღრმავება. რა არჩევანს აკეთებენ ინსტიტუტების ხელმძღვანელები? ვის შემადგენლობაში ისურვებენ დარჩენას? — ამ კითხვებით მივმართეთ თსუ-ს დაქვემდებარებაში მყოფი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლებს მათი პოზიციების გასარკვევად.

არჩევანის წინაშე რომ დადგეს ინსტიტუტი, ვის შემადგენლობაში ისურვებდით ყოფნას — უნივერსიტეტის დაქვემდებარების ქვეშ თუ კვლავ მეცნიერებათა აკადემიას დაუბრუნდებოდით?

რა წინადადებებს, ინიციატივებს სთავაზობთ თსუ-ის ახალ რექტორს, რომელიც თქვენი ინსტიტუტის პრობლემებთანაა დაკავშირებული?

რამდენად არსებობს თქვენი მხრიდან მზაობა – ჩაერთოთ უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში?



გრიგოლ ტატიშვილი,
რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი:

— დღესდღეობით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ჩაკეტილი, კლუბური ტიპის ორგანიზაციაა და ამ ეტაპზე თეორიულადაც კი შეუძლებელია — განვიხილავდეთ მის დაქვემდებარებაში ინსტიტუტის დაბრუნების საკითხს, ვინაიდან, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმატებული და ქვეყნის ეკონომიკისთვის სასარგებლო განვითარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ღია, კონკურენტულ და მიუკერძოებელ სივრცეში. 2010 წლის ზაფხულში, მთავრობის იმპერატიული გადაწყვეტილებით, ჩემდამი რწმუნებული ინსტიტუტი ყოველგვარი იურიდიული სტატუსის გარეშე მიუერთდა თსუ-ს, მიუხედავად ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ წინასწარ მიღებული ცალსახად უარყოფითი დადგენილებისა ასეთი შესაძლო განვითარების მიმართ. ოფიციალურ მოტივაციად დასახელდა თითქოსდა სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია (არადა, ყოვლად შეუძლებელია ბაკალავრიატის საფეხურზე ჩვენნაირი სპეციფიკის და ბაზის მქონე ინსტიტუტის ჩართვა სწავლების პროცესში, ვინაიდან საფრთხეა, რომ ჯერ მოუმზადებელმა სტუდენტებმა თავიც დაიზიანონ და სხვებიც დააზარალონ. ბაკალავრებმა ელემენტარული ცოდნა და პრაქტიკა უნივერსიტეტების სასწავლო ლაბორატორიებში უნდა მიიღონ და სწავლების უფრო მაღალ საფეხურებზე გადაინაცვლონ კვლევით ლაბორატორიებში.). განვლილმა სამმა წელმა კი, მეცნიერების ენაზე რომ გითხრათ, ექსპერიმენტულადაც დაადასტურა ის თეორიული მოსაზრება, რომელსაც ჩვენ იმთავითვე ვავრცელებდით, რომ ჩვენნაირი პროფილის და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებული ამოცანების მქონე ინსტიტუტის არსებობა ასეთი ფორმულის ქვეშ შეუძლებელია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებლად მეჩვენება ჩემდამი რწმუნებული ინსტიტუტის ყოფნა მომავალი სახელმწიფო სამეცნიერო ცენტრის ქოლგის ქვეშ, რომელიც უნდა იყოს მოქნილი და მობილური სტრუქტურა, რითაც გარანტირებული იქნება, როგორც ქვეყნის ეკონომიკასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, ასევე, სახელმწიფო უნივერსიტეტებთან მჭიდრო კონტაქტებიც მომავალი სპეციალისტების მომზადების საკითხებში.

არ გამოვრიცხავ, რომ ინსტიტუტთან დაკავშირებულ საკითხებზე შეხვედრები გვქონდეს უნივერსიტეტის რექტორთან, ბატონ ლადო პაპავასთან, მაგრამ არ მგონია, რომ თსუ-ის რექტორი ჩემგან მიღებულ წინადადებებს საჭიროებდეს.

ჩემდამი რწმუნებული ინსტიტუტი წარსულშიც ყოველთვის თანამშრომლობდა უმაღლეს სასწავლებლებთან კადრების გაზრდის და ერთობლივი სამეცნიერო თემების შესრულების ასპექტშიც. ზემოთ ნახსენებ მომავალი ცენტრის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს კანონის ძალითაც კი უნდა დაევალოთ, რომ რესურსების გარკვეული პროცენტი მაგისტრანტების და დოქტორანტების მომზადებას მოახმარონ.

გელა გელაშვილი,
ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი:

— ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაქვემდებარებაში გადასვლის საკითხს არ განიხილავს. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ 2009 წელს მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად, ინსტიტუტი მომავალში მხოლოდ სსიპ-ად მოიაზრება. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ, პირველ რიგში, ინსტიტუტს უნდა აღუდგეს სსიპ-ის სტატუსი და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება მიზანშეწონილი მისი გაერთიანება ფუნდამენტური კვლევების ეროვნულ ცენტრში. ასეთი ცენტრის შექმნა ხელს შეუწყობს კვლევითი ინსტიტუტების კოორდინაციას და, ზოგადად, მეცნიერების განვითარებას საქართველოში. ამიტომ, ამ პასუხიდან გამომდინარე, მოცემულ მომენტში თავს ვიკავებთ ინიციატივების შეთავაზებისგან. რაც შეეხება თსუ-თან თანამშრომლობას, 2008 წელს ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი გააფორმა. იგი ითვალისწინებს მჭიდრო თანამშრომლობას როგორც სამეცნიერო, ასევე, აკადემიურ სფეროში. ფუნდამენტური კვლევების ეროვნული ცენტრის შექმნა გაზრდის ამ თანამშრომლობის ეფექტურობას.

რამაზ აბესაძე,
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი:

— ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ალბათ გამიჭირდება იმ თემასთან დაკავშირებით, თუ ვის შემადგენლობაში ვისურვებდით ყოფნას. ზოგადად, ორივე ვარიანტი მისაღებია, მაგრამ გასარკვევია, რა პირობები შეიქმნება ინსტიტუტებისთვის. ეს პირობები გულისხმობს: გარკვეულ ავტონომიას, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, შრომის ანაზღაურებას და ა.შ. საერთოდ, საკითხი უნდა გადაწყდეს ინსტიტუტების სამეცნიერო კოლექტივების მიერ.

თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა ამ პრობლემას ძალიან კარგად იცნობს და ამიტომ დაწვრილებითი პასუხი საჭიროდ არ მიმაჩნია. ზოგადად, ეს არის სტატუსთან (ინსტიტუტების დებულება დიდი ხანია შემუშავებულია, მაგრამ დამტკიცება ვერ მოხერხდა), ავტონომიურობასთან, შრომის ანაზღაურებასთან, სასწავლო პროცესში ჩართულობასთან და ა.შ. დაკავშირებული საკითხები. სამეცნიერო-კვლევით პროცესში კი დიდი ხანია ჩართულები ვართ, საკმაოდ კარგი შედეგებიც გვაქვს, რის შესახებ უნივერსიტეტის გაზეთის რედაქციაც ინფორმირებულია. რაც შეეხება სასწავლო პროცესებში ჩართვას (რაც უნივერსიტეტთან შეერთების მთავარი მიზანი იყო), ჩვენ ამისათვის დიდი ხანია მზად ვართ, მაგრამ უნივერსიტეტში ამ მიმართულებით აქამდე არაფერი კეთდებოდა.

ვლადიმერ ციციშვილი,
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი:

— პირველ რიგში, უნდა მივიღოთ პასუხი შემდეგ კითხვებზე – რატომ არ შეასრულა უნივერსიტეტმა 2010 წლის დაპირებები (ინსტიტუტის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის სტატუსის შენარჩუნება, წესდების მიღება, ფინანსური და იურიდიული დახმარება და ა.შ.), რატომ არ მიიყვანა ბოლომდე განათლების სამინისტრომ 2006 წლის რეფორმა (შენობა-ნაგებობებისა და სხვა ქონების საკითხები) და რატომ არ აინტერესებდა მეცნიერებათა აკადემიას ბოლო ათი წლის განმავლობაში ინსტიტუტის ბედი? იმედია, რომ ინსტიტუტის მომავალი არ შემოიფარგლება გაზეთის მიერ დასახული ალტერნატივებით – ვიარსებოთ ან „უნივერსიტეტის დაქვემდებარების ქვეშ“ ან „კვლავ მეცნიერებათა აკადემიას დავუბრუნდეთ“. მინდა მოგახსენოთ, რომ პეტრე მელიქიშვილის ქიმიის ინსტიტუტისათვის ყველაზე წარმატებული 2010 წელი იყო. საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა ჩვენი ინსტიტუტის დამოუკიდებელი სსიპ-ის სტატუსის აღდგენას. იმ შემთხვევაში, თუ ეს საკითხი არ იქნება გადაჭრილი აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, უნივერსიტეტის რექტორს შეუძლია 2010 წლის „შეერთების პირობები” შეასრულოს – დაამტკიცოს ინსტიტუტის წესდება და საშტატო განრიგი (დროებითი). არსებობს სხვა კონკრეტული, მათ შორის, ფინანსური საკითხებიც. აქვე მოგახსენებთ იმასაც, რომ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი ყოველთვის მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების, მათ შორის, თსუ-ის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესებში და მომავალშიც ვაპირებთ აქტიურად თანამშრომლობას.

თამარ წუწუნავა,
ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი:

— ინსტიტუტი რომ არჩევანის წინაშე დადგეს, ვის შემადგენლობაში ისურვებდა ყოფნას — უნივერსიტეტის დაქვემდებარების ქვეშ თუ კვლავ მეცნიერებათა აკადემიას დაბრუნებოდა, ვთვლი, რომ მსგავსი მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტა დაუშვებელია ერთი პიროვნების, თუნდაც ინსტიტუტის დირექტორის მიერ. ეს ძალიან სერიოზული საკითხია და გულისხმობს ინსტიტუტის შემდგომი განვითარების ბედს, იქნებ ყოფნა-არყოფნასაც კი. ამიტომ, ასეთი მნიშვნელობის არჩევანის გაკეთება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სერიოზული მსჯელობის საგანია.

რაც შეეხება ჩემს პირად აზრს, მოგახსენებთ, რომ არჩევანს გავაკეთებდი მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაირკვევა, თუ რას გვთავაზობს ორივე მხარე – უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემია. თუმცა, მწარე იმედგაცრუება ერთხელ უკვე გამოვიარეთ.

რაც შეეხება წინადადებას და ინიციატივებს, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს ინსტიტუტების სტატუსი, გაირკვეს მათი დამოუკიდებლობის ხარისხი, დაიწეროს დებულება, რომელიც არ იქნება მორგებული მხოლოდ უნივერსიტეტის ინტერესებს (2010 წლიდან დღემდე დებულება არ არსებობს!), მოხდეს ინსტიტუტების წარმომადგენელთა ჩართვა უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში, აღდგეს ინსტიტუტებთან არსებული დარგობრივი სადისერტაციო საბჭოების ფუნქციონირება და გაიზარდოს დაფინანსება. რაც შეეხება კონკრეტულად ჩვენი ინსტიტუტის პრობლემებს, რომლებიც დღემდე ვერ გადაწყდა, მოგახსენებთ, რომ ინსტიტუტი, ფაქტობრივად, ლიკვიდაციის წინაშეა — ეს ცალკე საკითხია და გადაუდებელ ქმედებებს საჭიროებს. მიუხედავად ამისა, ჩვენი ინსტიტუტი, გარკვეულწილად, ჩართულია უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესებში, თუმცა ბევრად მეტს ვისურვებდი...

ნუგზარ ღლონტი,
მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი:

— სამეცნიერო საზოგადოება უნდა იყოს თვითრეგულირებადი და, შესაბამისად, თვითმართვადი ორგანიზმი, რაც საუკეთესო პირობას უქმნის სამეცნიერო ინსტიტუტებს — ჩაა-

მე-11 გვერდზე

რომელ ინსტიტუტს სურს დარჩენა თსუ-ის ქოლგის ქვეშ?

მეათე გვერდიდან

ტარონ ფართომასშტაბიანი კვლევები და პარიტეტულ დონეზე დაამყარონ ურთიერთობა სხვადასხვა საგანმანათლებლო-სამეცნიერო ორგანიზაციასთან. ინსტიტუტმა დამოუკიდებლად უნდა განკარგოს კუთვნილი ბიუჯეტი და კანონით გათვალისწინებული დამატებით მოზიდული თანხები, რითაც გაცილებით ეფექტური გახდება ინსტიტუტის როგორც სამეცნიერო, ისე სამეურნეო საქმიანობის მართვა. ამჟამად ინსტიტუტი, დაპირების მიუხედავად, არანაირი „დამოუკიდებელი სამეცნიერო ერთეული“ არ არის (მას საკუთარი წესდებაც არ გააჩნია). თუმცა, არსებული მწირი დაფინანსების პირობებში, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ვის შემადგენლობაში იქნება იგი.

ბატონმა რექტორმა, პირველ რიგში, უნდა უზრუნველყოს ინსტიტუტის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო ერთეულის ფუნქციონირება; მაქსიმალურად უნდა იზრუნოს ინსტიტუტის ბიუჯეტის გაზრდაზე, რაც ახალგაზრდა კადრების მოზიდვის გარანტია იქნება და რითაც გათანასწორდება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის შესაბამისი რანგის თანამშრომელთა ანაზღაურება; უნდა უზრუნველყოს ინსტიტუტის სარგებლობაში მქონე სამეცნიერო ბაზების (დუშეთის გეოფიზიკური და ბაკურიანის სეისმური ობსერვატორიები, რუისპირის სამეცნიერო ტექნიკური პოლიგონი, თბილისში აკურისა და ნუცუბიძის ქუჩებზე არსებული თერმობარო-კამერისა და კოსმოფიზიკური ობსერვატორიები) ინსტიტუტის მფლობელობაში გადმოცემა, რაც აუცილებელია მათი ეფექტური მართვისთვის.

გეოფიზიკის ინსტიტუტი, ტრადიციულად, მზად იყო და არის, ჩაერთოს უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ, ინსტიტუტის დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2013-14 სასწავლო წლიდან გაიხსნა მაგისტრატურა გეოფიზიკის სპეციალობით, სადაც შესაბამის კურსს წაიკითხავენ გეოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები. ასევე, აუცილებლად მიგვაჩნია მაღალკვალიფიციური კადრების მოსამზადებლად ამავე ფაკულტეტზე სწავლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) ისწავლებოდეს გეოფიზიკური სპეციალობის საგნები, რომელთა სილაბუსები შემუშავებულია ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ.

ვაჟა კიკნაძე,
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი:

— თავისუფალი არჩევანის შემთხვევაში, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა უმრავლესობის, და არა მხოლოდ ჩემი აზრით, უკეთესი იქნება ინსტიტუტის დამოუკიდებლად ფუნქციონირება (ანდა ავტონომიური უფლებით, ქართველოლოგიურ ცენტრში). ამის შესახებ მსჯელობა გვქონდა როგორც ინსტიტუტის თანამშრომელთა საერთო კრებაზე, ასევე, სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე; მაგრამ, თუ ასეთი არჩევანი არ არის შესაძლებელი, მაშინ პრიორიტეტულად მიგვაჩნია ინსტიტუტის თსუ-ის შემადგენლობაში ყოფნა მართვის ავტონომიური უფლების შენარჩუნებით და მეტი თავისუფლებით. კერძოდ, ინსტიტუტისთვის ბეჭდის დაბრუნება, სპეციალური საბანკო ანგარიშის გახსნა და ა.შ

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა ყოფილ რექტორს ალექსანდრე კვიტაშვილს შესთავაზა ერთობლივი პროექტების განხორციელება, კერძოდ, ინსტიტუტის მდიდარი ისტორიულ-ეთნოლოგიური არქივის მასალებისა და იქ არსებული პირადი ფონდების ერთობლივი გამოცემა და ა.შ. ამასთან ერთად, აუცილებლად მიგვაჩნია ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება შესაბამისი პროფილის სტუდენტების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მომზადების საქმეში. ისტორიულ-ეთნოლოგიურ არქივში დაცულია უნიკალური ეთნოგრაფიული, ხელოვნებისა და მუსიკალური მასალები არა მარტო მთელი საქართველოს, არამედ ჩრდილო კავკასიის რეგიონებიდანაც.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ჩვენი მიმართვის თაობაზე თსუ-ის ხელმძღვანელობისადმი ერთობლივი პროექტების განხორციელების შესახებ, რაც ადასტურებს ისტორიის ინსტიტუტის რეალურ მზაობას — ჩაერთოს უნივერსიტეტის სასწავლო თუ კვლევით პროცესებში. მიგვაჩნია, რომ ჩვენი მხრიდან პროცესებში ჩართვის არანაირი ხელშემშლელი პირობა არ არსებობს. პროცესის შეფერხება კი განპირობებულია თსუ-ის სასწავლო-კვლევითი პროცესის თავისებურებების გამო, რომელშიც იგულისხმება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორები.

ნანა ბოლაშვილი,
ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი:

— არჩევანს ამ ეტაპზე ვერ გავაკეთებთ, რადგან არ ვფლობთ ინფორმაციას შემოთავაზებული წინადადებების შესახებ. უნდა დადგინდეს სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სტატუსი; მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ინსტიტუტების დაფინანსება; ინსტიტუტებს უნდა ჰქონდეთ: კადრების, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების მართვის დამოუკიდებლობა; ალტერნატიული ფინანსური წყაროების (შემოწირულობები, გრანტები, ინვესტიციები) მოზიდვის უფლება; ისეთი კერძო სტრუქტურების (არასამთავრობო და კომერციული ორგანიზაციები) დაარსების უფლება, რომლებიც მათ ინსტიტუციურ მიზნებს მოემსახურება; მეცნიერ-მკვლევართა მომზადების ფუნქცია; საექსპერტო და საკონსულტაციო საქმიანობის ფუნქცია; უნდა შემუშავდეს ეროვნული დარგების სპეციფიკასთან შესაბამისი მეცნიერთა ატესტაციის სისტემა. ხოლო რაც შეეხება უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში ჩართვას, ამისთვის მზად ვართ.

მანანა კაკაბაძე,
ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი:

— მსგავსი არჩევანის წინაშე ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი ერთხელ უკვე იდგა 2010 წელს. არჩევანი მაშინ უნივერსიტეტთან ინტეგრაციის სასარგებლოდ გაკეთდა. ამჟამად მორფოლოგიის ინსტიტუტის შენობებში ინსტიტუტის კვლევითი დეპარტამენტების გარდა განთავსებულია თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანატი, ფარმაკოლოგიის, პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის დეპარტამენტები. ამავე შენობებში ხორციელდება თსუ-ის ტემპუსის პროექტი, დოქტორანტთა სემინარები... დაწყებულია ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) ღეროვანი უჯრედების ექსპერიმენტული ლაბორატორიის ფილიალის მოწყობა. მორფოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები ინტენსიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მორფოლოგიის ინსტიტუტში უნივერსიტეტის სხვა თანამშრომლებთან ერთად მომზადდა ხუთი პროექტი და წარდგენილ იქნა საგრანტო დაფინანსებაზე. სამმა პროექტმა დაფინანსება მოიპოვა. ყოველივე აღნიშნულის გამო, ძნელი საფიქრებელია, ინსტიტუტის თანამშრომლებმა შეცვალონ სამი წლის წინანდელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, ყველა არჩევანის გაკეთება ხდება ვითარებისა და არჩევანისათვის შემოთავაზებული პირობების გათვალისწინებით. კითხვაში მოცემულია მხოლოდ არჩევანი და არა პირობები. ამდენად, ამ საკითხის უფრო ღრმად განხილვა არ მიმაჩნია ჯერ მიზანშეწონილად.

თსუ-ის უნივერსიტეტის ახალ რექტორს ვთავაზობთ: მორფოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნას ფუნდამენტური და ტრანსლაციური მედიცინის სასწავლო-კვლევითი ცენტრი („ტექნოპარკის” პრინციპით), რაც მაქსიმალურად ეფექტურად განავითარებს, ერთი მხრივ, სამეცნიერო-კვლევით პოტენციალს, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად აამაღლებს სტუდენტთა მომზადების დონეს. ასევე, მივმართავთ თხოვნით, დაგვეხმაროს მორფოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა რამდენიმე ნოვატორული იდეის (რომელთაც უკვე აქვთ საერთაშორისო საექსპერტო აღიარება) რეალიზაციასა და კომერციალიზაციაში.

ინსტიტუტის თანამშრომლები დღეს უკვე ინტენსიურად არიან ჩართული თსუ-ის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში.

ოთარ გამყრელიძე,
თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:

— ჩემი სურვილია ინსტიტუტი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემადგენლობაში დაბრუნდეს. ეს, პირადად, ჩემი აზრია და არა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების. არ ვიცი, ისინი ამაში დამეთანხმებიან თუ არა. ეს აზრი გამყარებულია იმით, რომ აკადემიური მეცნიერება აღდგეს და გაძლიერდეს საქართველოში და ჩემი არჩევანი, ამ შემთხვევაში, სწორად მიმაჩნია.

ნინო ფარცვანია,
ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი:

— სამწუხაროდ, ინსტიტუტი ხელოვნურად არის გარიყული საუნივერსიტეტო ცხოვრებიდან: მისი თანამშრომლები არ მონაწილეობენ უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების არჩევნებში, არც საფაკულტეტო საბჭოებში, არც სასწავლო პროგრამების შედგენაში, არც სადისერტაციო საბჭოებში. აქედან გამომდინარე, თუკი ჩვენი ინსტიტუტი არჩევანის წინაშე დადგება, უნივერსიტეტის დაქვემდებარების ქვეშ ყოფნას არ ვისურვებდით. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, იგეგმება სამეცნიერო კვლევათა ეროვნული ცენტრის შექმნა, სადაც გაერთიანდება რამდენიმე წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება და ჩვენი ინსტიტუტი სწორედ ამ ცენტრში გაერთიანებაზე გააკეთებდა არჩევანს. იმ შემთხვევაში, თუ მაინც უნივერსიტეტის დაქვემდებარების ქვეშ დავრჩებით, მაშინ თსუ-ის ახალ რექტორს მივმართავდით თხოვნით ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით.

ჩვენი მხრიდან ნამდვილად არსებობდა მზაობა და ახლაც არსებობს, რომ ჩავრთულიყავით უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში, ვინაიდან ჩვენი ინსტიტუტი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური მეცნიერ-თანამშრომლებით, რომელთა სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავს მათემატიკის თითქმის ყველა თანამედროვე მიმართულებას და რომელთაც გააჩნიათ ახალგაზრდებთან მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება. მაგრამ, სამწუხაროდ, უნივერსიტეტის მხრიდან არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა იმისათვის, რომ ინსტიტუტი ჩართულიყო სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამებში.

რევაზ კვატაშიძე,
კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორი:

— ყოველგვარი ხშირი ცვლილებები (თუნდაც კეთილი სურვილებით განპირობებული) უარყოფითად მოქმედებს ადამიანებზე, რაც უეჭველად პოვებს ასახვას მათ შრომისუნარიანობაზე, ამიტომ უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში დავრჩებოდით. მეცნიერებათა აკადემიაში დაბრუნება ჩვენ არ გვეხება, ვინაიდან ინსტიტუტი არასოდეს ყოფილა ამ სისტემაში.

თსუ-ის რექტორს ვთავაზობთ, პირადად გაეცნოს ინსტიტუტის დაარსებისა და მისი საქმიანობის მოკლე ისტორიას, გადაათვალიეროს ინსტიტუტის მიერ ბოლო წლებში შესრულებული სამუშაოების, სახელშეკრულებო სამუშაოებისა და გრანტების ნუსხა. გაეცნოს საქართველოს მინერალურ-რესურსული სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციას, ინსტიტუტის მოსაზრებებს და კონკრეტულ წინადადებებს საქართველოს გეოლოგიის დარგში უფლებამოსილი სამთავრობო დაწესებულების შექმნის თაობაზე. ასევე, მოვუწოდებთ გააუქმოს ზედმეტი ბიუროკრატია ინსტიტუტებთან ურთიერთობაში, მაგალითად, შვებულების გრაფიკები, თანამშრომელთა მიმართ წამახალისებელი და დამსჯელი ღონისძიებების კომპლექსი, საბუღალტრო ურთიერთობა.

ინსტიტუტი მზადაა — თსუ-ის სტუდენტებისთვის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის მოამზადოს და ჩაატაროს მეცადინეობები, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ამ თუ იმ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ პროექტების შემუშავებაში. ასევე, გამოთქვამს მზაობას ყურადღებით მოისმინოს და შეასრულოს ინსტიტუტის საქმიანობასთან დაკავშირებული წინადადებები.

P.S. ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა ირმა რატიანმა პოზიციის გამოხატვისაგან თავი შეიკავა, რადგან ამ თემაზე საუბარი ცოტა ნაადრევად მიიჩნია.

მოამზადა თამარ დადიანმა

გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები

მაია ტორაძე

4 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა უნივერსიტეტის დაარსებიდან 95 და თსუ-ის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 45 წლისთავისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო კონფერენცია — „გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები“.

კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, რომლის საგრანტო დაფინანსებითაც გაიმართა აღნიშნული კონფერენცია.

კონფერენციის გახსნას ესწრებოდნენ თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამაზ მარსაგიშვილი და რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი სულხან სისაური.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ მეცნიერები იტალიიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან, არაბთა გაერთიანებული ემირატებიდან, პოლონეთიდან, თურქეთიდან. გარდა ამისა, კონფერენციის საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის (თავმჯდომარე გიორგი ჯაიანი) მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მეცნიერები აშშ-დან, კანადიდან და პორტუგალიიდან, რამაც განაპირობა კონფერენციის მუშაობაში უცხოელი მეცნიერების აქტიური მონაწილეობა — წარმოდგენილი 80-მდე მოხსენებიდან 20 უცხოელი მეცნიერებს ეკუთვნოდა.

ილია ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ გიორგი ჯაიანის თქმით, კონფერენციაზე მეცნიერები იმ მიმართულებებით იყო მოწვეული, რომელთაც დღეს გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი ავითარებს. გათვალისწინებული იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსებში გამარჯვებული პროექტები, რომლებიც ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტში სრულდება. ეს მიმართულებებია: უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა; დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია; ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა. „უნდა აღვნიშნო, რომ კონფერენციაში უმაღლესი დონის მეცნიერები მონაწილეობენ, მათ შორის არის ესპანეთის ქალაქ ვალენსიის უნივერსიტეტის ვიცერექტორი ოლგა ხილ-მედრანო და მათემატიკის სფეროში მსოფლიოში ცნობილი ჟურნალის „გამოყენებითი მათემატიკა და მექანიკა“ (ZAMM – Zeitschrift fur angewandte Mathematik und Mechanik), რედაქტორი ჰოლმ ალტენბახი“, — განაცხადა გიორგი ჯაიანმა ჩვენთან საუბარში.

კონფერენციის მონაწილეებმა მაღალი აკადემიური შეფასება მისცეს მონაწილეთა მოხსენებებს და აღნიშნეს, რომ ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი ტრადიციულად მაღალ სამეცნიერო კლასს ინარჩუნებს, რის გამოც მისი ეგიდით მოწყობილ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა მეცნიერთათვის საინტერესო და პრესტიჟულია.

ოლგა ხილ-მედრანო,
ვალენსიის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი:

„კონფერენცია ძალიან კარგადაა ორგანიზებული და კმაყოფილი ვარ, რომ გამომსვლელები არ შემოიფარგლებიან მათემატიკის მხოლოდ ერთი ვიწრო მიმართულებით“.

ჰოლმ ალტენბახი,
ჟურნალის „გამოყენებითი მათემატიკა და მექანიკა“ (ZAMM – Zeitschrift fur angewandte Mathematik und Mechanik) რედაქტორი, მაგდებურგის უნივერსიტეტის საინჟინრო მექანიკის ფაკულტეტის პროფესორი:

„კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებებიდან უმეტესობა წმინდა მათემატიკას ეხება, მაგრამ არის მოხსენებები მექანიკის და სხვა მონათესავე სფეროების შესახებაც, რაც ჩემთვის საინტერესოა. ასეთი კონფერენცია ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის ხელს უწყობს მეცნიერთა შორის კონტაქტების დამყარებას. სწორედ ასეთ შეხვედრებზე უნდა იქნას განხილული ყველა სამეცნიერო პრობლემა, უნდა გაიმართოს სამეცნიერო დისკუსიები, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მივიღოთ“.

ალბერტო ჩალდეა,
იტალიის პოტენცას უნივერსიტეტის პროფესორი:

„იტალიისა და საქართველოს მათემატიკოსებს შორის სამეცნიერო ურთიერთობების დიდი ტრადიცია არსებობს, რასაც საფუძველი საქართველოს მხრიდან ჩაუყარეს ილია ვეკუამ, ვიქტორ კუპრაძემ და ნიკოლოზ მუსხელიშვილმა. ჩემი მასწავლებელიც საქართველოს დიდი მეგობარი იყო. თბილისში პირველად არ ვარ, აქ ადრეც ვყოფილვარ. ამჯერად ჩემი ორი სტუდენტით ჩამოვედი, რომელთაც ასევე აქვთ მოხსენებები. აქ წარმოდგენილი თემატიკა ჩემთვის ძალიან საინტერესოა. ეს არის ერთგვარი გაგრძელება იმ დიდი ტრადიციის, რასაც ქართველმა მათემატიკოსებმა ჩაუყარეს საფუძველი.“

ბოგდან ბოიარსკი,
პოლონეთის ქალაქ ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი, ილია ვეკუას მონაფე, თსუ-ის საპატიო დოქტორი:

„ჩემთვის საქართველო ძალიან ახლობელი ქვეყანაა, რადგანაც ბატონ ილია ვეკუას მოწაფე ვიყავი მაშინ, როცა მოსკოვის უნივერსიტეტის ასპირანტი გახლდით. დისერტაცია — საკანდიდატოც და სადოქტოროც, მოსკოვში დავიცავი. ამის შემდეგ წლების განმავლობაში ვიყავი დაკავშირებული მეცნიერთა იმ ჯგუფთან, რომელიც მოსკოვში მასწავლიდა. ესენი იყვნენ დიდი მათემატიკოსები: სერგეი სობოლევი, ალექსანდრე ლავრენტიევი, ილია ვეკუა და სხვები. საქართველოშიც ხშირად ჩამოვდიოდი და ბატონი ილიას ოჯახს, მის შვილებს და შვილიშვილებსაც კარგად ვიცნობდი. ამდენად, აქ „შინაური“ კაცი ვარ. დღესაც მაქვს კონტაქტები ქართველ მეცნიერ გია გიორგაძესთან, რომელთანაც აქტიურად ვმუშაობ. რაც შეეხება ამ სამეცნიერო კონფერენციას, იგი მორიგი სამეცნიერო შეხვედრაა მათემატიკოსებს შორის და მიხარია, რომ აქ იმ დიდი მათემატიკოსების მონაფეებს ვხვდები“.

 აღსანიშნავია, რომ კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობაში მეცნიერებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართული მათემატიკის მიმართულების დოქტორანტები და მაგისტრანტები. საორგანიზაციო კომიტეტს ხელმძღვანელობდა ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ნატალია ჩინჩალაძე.

კავკასიის მე-3 საერთაშორისო სიმპოზიუმი

მაია ტორაძე

1-დან 4 სექტემბრამდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პოლიმერებსა და მოწინავე მასალებში კავკასიის მე-3 საერთაშორისო სიმპოზიუმს უმასპინძლა. წელს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერ-ქიმიკოსებს მესამედ მიეცათ შესაძლებლობა თანამედროვე სამეცნიერო კვლევებს და სიახლეებს საქართველოში გაცნობოდნენ.

სიმპოზიუმის მუშაობაში, ქართველების გარდა, 7 ქვეყნის 26 უცხოელი მეცნიერი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ ქიმიკოსები საფრანგეთიდან, პოლონეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ყაზახეთიდან, რუსეთიდან და ირანიდან.

როგორც სიმპოზიუმის ერთერთმა ორგანიზატორმა, საფრანგეთის მონპელიეს უნივერსიტეტის ემერიტუსმა პროფესორმა მარკ აბადიმ ჩვენთან საუბარში განაცხადა, სიმპოზიუმის გამართვის იდეა 2007 წელს გაჩნდა და ქართველ მეცნიერებთან — ომარ მუკბანიანთან და ვაჟა ცხოვრებაშვილთან ერთად, მას საფუძველიც ჩაეყარა. კავკასიის საერთაშორისო სიმპოზიუმის მიზანი იყო თავი მოეყარათ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში მოღვაწე მეცნიერებისთვის და გაცნობოდნენ პოლიმერებსა და მოწინავე მასალებში მიმდინარე კვლევებს და სიახლეებს.

სიმპოზიუმი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და თსუ-ის ყოფილი რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის მხარდაჭერით ჩატარდა. რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა კი მის ჩასატარებლად საკონფერენციო გრანტი გამოყო.

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორის ომარ მუკბანიანის თქმით, ამ მხარდაჭერამ დიდად განაპირობა სიმპოზიუმის მაღალი სამეცნიერო დონე და ის პერსპექტივები, რაც სიმპოზიუმზე სამომავლოდ დაისახა. „პოლიმერებსა და მოწინავე მასალებში საქართველოში გარკვეული მიღწევები გვაქვს. როცა წინა სიმპოზიუმებზე ჩვენმა კოლეგებმა ნახეს, რა პირობებში ვმუშაობდით და სად იქმნებოდა ჩვენი შრომები, გაოცდნენ, რადგან ხშირად ვიბეჭდებით ციტირებად და მაღალი რეიტინგის მქონე იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში და ვერ წარმოიდგინეს, თუ ამ პირობებში ასეთი ნაშრომების შექმნა შეიძლებოდა. უნდა აღვნიშნო, რომ სიმპოზიუმის მასალები წიგნის სახით დაიბეჭდება ამერიკაში — გამომცემლობა NOVA SCIENCE FABLITION – ის მიერ“, — განაცხადა ომარ მუკბანიანმა.

აღსანიშნავია, რომ სიმპოზიუმის მუშაობაში ახალგაზრდა მეცნიერები და დოქტორანტებიც მონაწილეობდნენ. მათი წახალისების მიზნით საორგანიზაციო კომიტეტმა პრემიები დააწესა, ხოლო უცხოელ სტუმართათვის გათამაშდა ერთგვარი ლატარეა, რომლითაც მათ საშუალება მიეცათ, თავიანთ ქვეყანაში სამახსოვრო სუვენირები წაეღოთ.

სიმპოზიუმს მაღალი შეფასება მისცეს უცხოელმა მეცნიერებმაც. უკრაინის ქალაქ ლვოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის კათედრის გამგემ მიხეილ ბრატიჩაკმა კმაყოფილება გამოთქვა წარდგენილი მოხსენებების სამეცნიერო დონის გამო და განაცხადა, რომ რამდენიმე საინტერესო მოხსენებას ლვოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალშიც გამოაქვეყნებს. „მიმაჩნია, რომ ასეთი სიმპოზიუმები აერთიანებს ყოფილი საბჭოთა ქვეყნების სამეცნიერო სკოლებს. სიმპოზიუმში წინა წლებში უკვე მონაწილეობდნენ მეცნიერები აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ყაზახეთიდან... წელს მასში პირველად ჩაერთო უკრაინა — კიევისა და ლვოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფი. სიმპოზიუმისადმი ინტერესი იმითაცაა გამოწვეული, რომ იგი ასეთ შესანიშნავ ქალაქში ტარდება. ჩემდა სამარცხვინოდ, უნდა ვთქვა — მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მეცნიერებთან ძალიან მჭირდო კავშირები მაქვს, პირველად ვარ საქართველოში. მსიამოვნებს იმის აღნიშვნა, რომ, რასაც საქართველოზე ამბობენ, მართალი ყოფილა — თქვენი სტუმართმოყვარეობა გასაოცარია. მადლობა უნდა ვუთხრა პროფესორ ომარ მუკბანიანს, რომელმაც შეძლო და, ფინანსური პრობლემების მიუხედავად, მოახერხა — ორგანიზება გაეწია ასეთი შესანიშნავი სამეცნიერო სიმპოზიუმისთვის. უკრაინაშიც ტარდება კონფერენციები, მაგრამ მათში ძირითადად დასავლეთის მეცნიერები მონაწილეობენ, აქ კი შევხვდი სომხებს, აზრებაიჯანელებს, ყაზახეთის წარმომადგენლებს – ანუ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მეცნიერები გავერთიანდით და ერთმანეთის კვლევებს გავეცანით. პირადად მე ბევრი სიახლე და საინტერესო მონაცემი გავიგე, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ“, — აღნიშნა მიხეილ ბრატიჩაკმა. მან იმედი გამოთქვა, რომ შემდგომში მეტი სტუდენტი, დოქტორანტი და მეცნიერი დაინტერესდება ამგვარი სამეცნიერო ღონისძიებით.

სიმპოზიუმის მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ 2015 წელს ასეთივე ღონისძიება უფრო მასშტაბური და წარმომადგენლობითი ფორმით კვლავ საქართველოში, ბათუმში გაიმართება.

ახალი პოლიტიკა – სტუდენტების პოლიტიკური ნეიტრალიტეტი

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროში მომწიფებული იდეა

ადამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა თვითმმართველობისათვის; საინტერესო და აქტუალური პროექტებისა და ინიციატივების წახალისება; სტუდენტური ჩართულობის გაზრდა როგორც სახელმწიფო, ისე საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და, რაც მთავარია, ფასდაკლებული სერვისები სტუდენტებისთვის როგორც საქართველოში, ისე ევროპაში – ასეთია ძირითადი სიახლეები, რომლებსაც ახალი სასწავლო წლიდან გეგმავს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო. დაწვრილებით სიახლეების შესახებ მინისტრის მოადგილე, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული **რატი ბრეგაძე** *გვესაუბრა:*

— პირველ რიგში, ყველას მინდა მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება.

რაც შეეხება სიახლეებს, უკვე სექტემბრის ბოლოს მივიღებთ ევროპის ახალგაზრდული ბარათის ლიცენზიას. ეს არის ფასდაკლების ბარათი სხვადასხვა სერვისებზე, მათ შორის ტრანსპორტზე, რომელიც მოქმედებს ახალგაზრდებისთვის მთელი ევროპის მასშტაბით. ვფიქრობთ, ევროპის ახალგაზრდული ბარათი მიუერთდეს სტუდენტის ბარათს, რომელიც უკვე არსებობდა. შესაბამისად, სტუდენტები სხვადასხვა მომსახურებაზე ფასდაკლებას მიიღებენ როგორც საქართველოში, ისე მთელ ევროპაში.

გარდა ამისა, ოქტომბრისთვის ყველა უმაღლეს სასწავლებელში დაიდგმება ორიგინალური ფორმის საინფორმაციო ბანერი, რომელზეც გაწერილი იქნება ამონარიდები სტუდენტის უფლებების დეკლარაციიდან. ამით ვიწყებთ სტუდენტური უფლებების შესახებ სტუდენტების ინფორმირების ფართომასშტაბიან კამპანიას, რომელიც ბანერების დადგმის გარდა სხვა ღონისძიებებსაც ითვალისწინებს. ამ კამპანიის ფარგლებში თითოეულ სტუდენტამდე მივიტანთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უფლებები გააჩნიათ მათ და რა მექანიზმებით შეუძლიათ ამ უფლებების დაცვა და რეალიზაცია. სტუდენტის უფლებათა დეკლარაცია შეიმუშავა სპეციალურმა კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა ყველა უნივერსიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენელი და უნივერსიტეტებში არსებული სტუდენტური ორგანიზაციების წევრები. კომისიის მიზანია სტუდენტური თვითმმართველობების საქმიანობის თანამედროვე დასავლურ სტანდარტებთან დაახლოება. რამდენადაც სტუდენტური თვითმმართველობები, წინა ხელისუფლების მმართველობის სტილიდან გამომდინარე, პოლიტიკური კონტროლისთვის გამოიყენებოდა, გადაწყდა, რომ მაქსიმალურად უზრუნველვყოთ მათი პოლიტიკისგან დამოუკიდებლობა და სანაცვლოდ — გაძლიერდეს თვითმმართველობების შიდა დემოკრატია. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა პრობლემათა კატალოგი და სპეციალური კომისიაც. კომისიის წევრები პრაქტიკისთვის გავაგზავნეთ გერმანიაში, ზაარლანდის უნივერსიტეტში და ესტონეთში, სადაც მათ საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ იქაური თვითმმართველობების მუშაობას და დასავლურ სტანდარტებს. დღეს სამინისტროს ამოსავალი პრინციპია, ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს როგორც სახელმწიფოს, ისე სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის ჩარევა და კონტროლი სტუდენტურ თვითმმართველობებზე, ამის უზრუნველსაყოფად კომისიის წევრებმა შეიმუშავეს სპეციალური შეთანხმება იმასთან დაკავშირებით, რომ სტუდენტურმა თვითმმართველობებმა შეინარჩუნონ პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, რასაც ხელი მოანერა კომისიის ყველა წევრმა.

შეიქმნა და უკვე ოქტომბრიდან ამოქმედდება სპეციალური საიტი თვითმმართველობისათვის, სადაც ყველა მათგანია დარეგისტრირებული. საიტის მეშვეობით ნებისმიერ სტუდენტს საშუალება ექნება — აბსოლუტურად გამჭვირვალედ მიიღოს ინფორმაცია როგორც თავისი სასწავლებლის თვითმმართველობაში მიმდინარე პროექტების და დაგეგმილი აქტივობების, ისე ნებისმიერი უნივერსიტეტის თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ.

პრობლემათა კატალოგის საშუალებით გამოვლინდა, რომ საკმაოდ დიდი პრობლემებია თვითმმართველობებსა და სტუდენტებს შორის კომუნიკაციაში და შერყეულია მათ შორის ნდობა. ამის გამოსასწორებლად წლის ბოლომდე მომზადდება ეთიკის კოდექსი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც ვალდებულნი იქნებიან, დაიცვან ქცევის ეს წესები სტუდენტებთან ურთიერთობაში. ასევე, განათლების სამინისტროსთან გვაქვს კონსულტაციები, რათა უმაღლესი სასწავლებლების შესახებ კანონში გაიწეროს ვალდებულება თვითმმართველობებისთვის სემესტრში მინიმუმ ერთი საერთო კრების ჩატარების თაობაზე. რეგულარული შეხვედრები აუცილებელია თვითმმართველობის შიგნით დემოკრატიის ხარისხის გასაზრდელად. ასეთ კრებაზე თვითმმართველობის ხელმძღვანელები ვალდებულნი იქნებიან, მოისმინონ თვითმართველობის წევრების პრობლემები, მიიღონ ინფორმაცია მათგან, რომელსაც შემდეგ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წინაშე დააყენებენ. ასევე, გვინდა საკანონმდებლო დონეზე გაიწეროს სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირების თანამდებობიდან გადაყენების საკითხი იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

— ბოლო წლებში თვალშისაცემი იყო, რომ სტუდენტების გარკვეული ჯგუფი ჩართული იყო ყველა აქტივობაში, მაშინ, როდესაც მათი გაცილებით დიდი ნაწილი იგნორირებული იყო ამ პროცესებიდან. რა კეთდება საიმისოდ, რომ გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა?

— ჩართულობის პრობლემა იყო და არის. ამის ერთერთი მთავარი მიზეზია წინა ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა: არსებობდნენ დაახლოებული ჯგუფები, რომლებიც სარგებლობდნენ სახელმწიფო მხარდაჭერით, სხვებისთვის კი სახელმწიფო სახსრებზე წვდომა შეზღუდული იყო. ჩვენთან, სამინისტროში არსებობს „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი“, სადაც არსებობდა რეესტრი და მხოლოდ ამ რეესტრში დარეგისტრირებულ ორგანიზაციებს შეეძლოთ წარმოედგინათ საგრანტო განაცხადები და მიეღოთ დაფინანსება. ჩვენი პირველი საკანონმდებლო ინიციატივა სწორედ აღნიშნული რეესტრის მოშლას უკავშირდებოდა. დღეს ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელსაც პროექტის განხორციელება სურს ახალგაზრდობის მიმართულებით, შეუძლია წარმოადგინოს თავისი პროექტი სამინისტროში. ამავე დროს, პროექტების მიღებაც გაადვილდა, გადავედით ონლაინ რეჟიმზე და უფრო მარტივი გახდა საგრანტო ფორმების შევსება. მინდა გითხრათ, რომ სისტემის გახსნამ ძალზე გაზარდა შემოსული პროექტების რაოდენობა და უკვე საკმაოდ ბევრი საინტერესო პროექტიც დაფინანსდა. ჩვენი ნებისმიერი ღონისძიება იქითკენ არის მიმართული, რომ გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა როგორც საუნივერსიტეტო, ისე სახელმწიფოს ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მოამზადა
ლელა კურდღელაშვილმა

სამოქალაქო პოზიცია

სტუდენტები საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის დათხოვნას ითხოვენ

აქცია საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობასთან

სტუდენტური ჯგუფი „სტუდენტები საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ სამეთვალყურეო საბჭოს დათხოვნას ითხოვს. ახალგაზრდები აქტიურად ჩაებნენ სამოქალაქო მოძრაობაში, რომლის მიზანიც არხზე მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარებაა, მათ შორის ბორდის შეცვლა, მენეჯმენტის გაუმჯობესება და სხვადასხვა აქტუალური სოციალური თემების წინა პლანზე წამოწევა. სტუდენტები მიიჩნევენ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდი „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს ახორციელებს და ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელიც ქართულ საზოგადოებას გააჩნია. ახალგაზრდებმა, მათ შორის, თსუ-ის სტუდენტებმა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად აქტიური სამოქალაქო კამპანია უკვე წამოიწყეს.

ნატო ოგოლაძე

საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდმა გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი თანამდებობიდან 6 სექტემბერს გადააყენა. ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზი საბჭოს წევრმა გიორგი მელაძემ განმარტა: „სამეთვალყურეო საბჭო ბოლო 3 თვეა, უკვე აქტიურად ცდილობს მენეჯმენტისგან გაიგოს სამომავლო გეგმები, რომლებიც ტელევიზიის ბედზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ და პროგრამულ საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა ნორმალური სამუშაო პირობების შექმნა ვერ მოხერხდა“. საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის სხდომის პარალელურად ტელევიზიის შენობასთან სტუდენტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქცია მიმდინარეობდა. მათ შორის იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც, ამავე დროს, ჯგუფის „სტუდენტები საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ წევრებიც არიან. ახალგაზრდები შეძახილებით — „არ გაბედო!“ სხდომაზე გენერალური დირექტორის გადაყენების საკითხის განხილვას აპროტესტებდნენ და საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მისი მთავარი ფუნქციის აღდგენას ითხოვდნენ. მათ სპეციალური განცხადებაც გაავრცელეს, სადაც ბოლო წლების განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციონირება შეაფასეს და მათი სამოქალაქო მოძრაობის ძირითადი მიზნები ჩამოაყალიბეს.

„წლების განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებელი არ ემსახურებოდა საზოგადოებრივ ინტერესს. იგი წარმოადგენდა „ნაციონალური მოძრაობის” რუპორს. მას დაკარგული ჰქონდა ის ფუნქცია, რაც საზოგადოებრივ მაუწყებელს გააჩნია: საზოგადოების ინფორმირება, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესების გამოხატვა მედია-სივრცეში და ყველაზე აქტუალური და მტკივნეული სოციალური თემების წინა პლანზე წამოწევა.

„ნაციონალური მოძრაობა” კვლავ ცდილობს მის მიმართ ლოიალურად განწყობილი პირების, ამჟამინდელი ბორდის წევრების, ჟურნალისტების და ორგანიზაციების მიერ შეინარჩუნოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე პოლიტიკური გავლენა.

ტელევიზია უნდა გამოვიდეს ხელისუფლების ინსტრუმენტული გამოყენების სფეროდან. ამისათვის ჩვენ არ უნდა დავუშვათ ნებისმიერი ელიტის მხრიდან გაფილტრული თუ მანიპულირებადი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც რადიკალურად მოწყვეტილი არის თუ იქნება ჩვენი რეალობიდან“, — აღნიშნულია განცხადებაში.

გიორგი ბარათაშვილის გადაყენების შემდეგ, სტუდენტებმა და აქციაზე შეკრებილმა უფლებადამცველებმა ბორდის გადაწყვეტილება პოლიტიკურად მართულ ვითარებად შეაფასეს. მათი განცხადებით, აღნიშნული ფაქტი საზოგადოებრივ მაუწყებელზე გავლენის მოპოვების მიზნით პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ იყო ინსპირირებული და არხის სამეთვალყურეო საბჭოს უნდობლობა გამოუცხადეს.

„მთავარი ის კი არ არის, იქნება თუ არა გიორგი ბარათაშვილი გენერალური დირექტორი, მთავარია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებმა საზოგადოებრივ მაუწყებელზე გავლენა ვერ მოიპოვონ. მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობაზე” არ ვსაუბრობ... ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში ინფორმაციით საზოგადოების მანიპულირების საშუალება არავის არ უნდა მივცეთ. ასევე ვფიქრობ, რომ აუცილებელია საზოგადოებრივ მაუწყებელში თავისი წარმომადგენელი სტუდენტებსაც ჰყავდეთ. ერთი გადაცემა მაინც უნდა არსებობდეს, რომელიც სტუდენტობას და სოციალურ პრობლემებს შეეხება. ვითხოვთ სამეთვალყურეო საბჭოს შეცვლას და მის დაკომპლექტებას სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებით“, — განაცხადა აქციის მონაწილე თსუ-ის სტუდენტმა ალექსანდრე ცაგარელმა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს დათხოვნის მიზნით სტუდენტებმა და უფლებადამცველებმა უკვე მოამზადეს სპეციალური პეტიციაც. დაწყებულია ხელმოწერების შეგროვების პროცესიც.

თუ როგორი იქნება სტუდენტური ჯგუფის „სტუდენტები საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ და უფლებადამცველთა სამომავლო სამოქმედო გეგმა, ეს ეტაპობრივად გახდება ცნობილი. თუმცა, როგორც ისინი 6 სექტემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ გამართულ აქციაზე აცხადებდნენ, მიზნის მისაღწევად პროტესტის უკიდურესი ზომების გამოყენებასაც არ გამორიცხავენ.

იგი ზედმეტად ფილოსოფოსი იყო და ზედმეტად უყვარდა ჭეშმარიტება

15 სექტემბერს ფილოსოფოს მერაბ მამარდაშვილის დაბადებიდან 83 წელი შესრულდა

კანონი არ იცვლება და რადგან შემოქმედი გამანადგურებელ დარტყმას სწორედ საკუთარი კულტურული ექვივალენტიდან იღებს, გამონაკლისი ვერც მერაბ მამარ-დაშვილი იქნებოდა. როგორც ამბობენ, სწორედ ამ დარტყმას და პირველი ეროვნული მთავრობის მიერ ეროვნული ინტერესების ღალატში ბრალდებას მოჰყვა გულის მესამე, საბედისწერო შეტევა 1990 წლის 25 ნოემბერს. ასე შეიქმნა ტრაგიკული ლეგენდა ფილოსოფოსზე, რომელიც სამშობლოზე წინ ჭეშმარიტებას აყენებდა.

თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, რადგან ძნელად მოინახება საზოგადოება, სადაც ფილოსოფოსი თავს შინაურად გრძნობდეს, მით უმეტეს, ისეთი ფილოსოფოსი, როგორიც მერაბ მამარდაშვილი იყო, რომელსაც ბედისწერამ დაბადებით განუსაზღვრა უცხოდ ყოფნა საკუთარ ქვეყანასა და საკუთარ ქალაქში: დაიბადა გორში, 1930 წლის 15 სექტემბერს – უკვე ყველაფერი ნათქვამია, რადგან დღემდე გორის მაცხოვრებლების უმეტესობისთვის უცნობია კაცი, რომლის ბიუსტიც მათი ქალაქის შესასვლელს ამშვენებს. გორმა სტალინი აირჩია, მამარდაშვილმა კი ფილოსოფია, რომელიც იმ პერიოდში მთლიანად მარქსისტულ-ლენინური და იდეოლოგიზირებული გახლდათ. საკუთარ პროფესიაშიც ის შფოთისა და ახალი იმპულსის შემტანი უცხო იყო, რომელიც ე.წ. „კეთილი დამთხვევის" შედეგად გაჩნდა. საბჭოთა სივრცეში მამარდაშვილი „მიიჩნეოდა ერთადერთ ადამიანად, ვინც ფლობდა დასავლური ფილოსოფიური აზროვნების სრულ აპარატს. 60-იანი წლების შუა პერიოდიდან იგი უკვე საკუთარ ფილოსოფიას ასწავლის უნივერსიტეტში და ყველგან, სადაც კი შესაძლებელია" (ალ. პიატიგორსკი). სწორედ ეს – საჯარო საუბრები და ღია სააზროვნო პროცესი განასხვავებდა მას მეცნიერ-ფილოსოფოსებისგან და ამსგავსებდა აგორის ფილოსოფოსებს; სწორედ ამიტომ, თანამედროვეებმა მე-20 საუკუნის სოკრატე უწოდეს კაცს, რომელიც ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებოდა მზა კლიშეებს და ყველაზე დიდ ფასეულობად აზროვნების ცოცხალ პროცესს აღიარებდა.

* * *

რას წარმოადგენს მამარდაშვილის მემკვიდრეობა და რამდენად აქტუალურია იგი დღევანდელი საზოგადოებისთვის? – ამ კითხვით „მერაბ მამარდაშვილის კლუბის" დამფუძნებელს, ფილოსოფოს **ზაზა ფირალიშვილს** მივმართეთ:

— პირადად ჩემთვის უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ მერაბ მამარდაშვილმა ჩემშიც და ბევრ სხვა ადამიანშიც აღძრა რეზონანსი, რომელიც დღემდე მუშაობს და იმუშავებს მანამ, სანამ ჩვენი



მერაბ მამარდაშვილი:

„არსებობს კულტურის ერთი, უგედურების მომტანი კანონი: საკმარისია რაიმე შექმნა, რომ მყისვე ჩნდება შენი კულტურული ექვივალენტი, შენს ხატებასა და სხეულს რომ გამოჰყოფია და შენგან დამოუკიდებლად იწყებს კულტურაში ცირკულაციას. ჭკვიანი ადამიანები შენზე აზრის გამოთქმას დაიწყებენ, გაქებენ, ან გაძაგებენ, მაგრამ ყოველივე ამას შენთან საერთო აღარაფერი ექნება. იყვირებ, შეეცდები საკუთარ რაობას დაუბრუნდე, მაგრამ ამაოდ, რადგან იგი შენ უკვე აღარ გეკუთვნის".

ლექციები პრუსტის შესახებ

კულტურა, სულიერება, როგორც ორგანული საკომუნიკაციო ველი, საკუთარ მეტაფორებსა და საკომუნიკაციო იმპერატივების სისტემაში არ აღმოაჩენს ამ რეზონანსის კვალს და არ გაიაზრებს განსხვავებულ სააზროვნო ფორმათა წარმოების გარდაუვალობას. დადგება თუ არა ეს მომენტი, ვერ ვიტყვი. ჩვენი სულიერების ჰერმეტულობის სწრაფი ცვლილება მოცემულ ეტაპზე ძნელი წარმოსადგენია. სააზროვნო ინერციას დიდი ძალა აქვს, იმდენად დიდი, რომ იგი ხშირად სიცოცხლის ინსტინქტსაც აჩლუნგებს, ცდილობს შექმნას ჰერმეტული სივრცე და მისი ფარგლებით შემოისაზღვროს. ამას აგრესიულ ჰერმეტულობასაც დავარქმევდი. მას ისიც ახასიათებს, რომ მისი საკომუნიკაციო პარადიგმები ლამის მთიანად იმ მეტაფორათა სისტემაზეა აგებული, რომელიც ბოლშევიზმის წლებში შემუშავდა, როგორც ერთგვარი თავდაცვის ფორმა, ერთგვარი თვითდაკონსერვების პროდუქტი. საბოლოოდ, ჩამოყალიბდა იდენტობის მკაცრად განსაზღვრული სისტემა, რომელსაც დღეს ხშირად მოიხსენებენ, როგორც „ეროვნულს", „პატრიოტულს" და ა.შ. ყველაფერი, რაც ამ ჩაკეტილ წრეში არ თავსდება, პერიფერიაზე განიდევნება. ამ სისტემას არაფერი აქვს საერთო სულის იმ დინამიკასთან, რომელიც სიკვდილთან, როგორც ზღვრულ პერსპექტივასთან თანაობის უნარს განსაზღვრავს, რომელშიც აზრის ის რისკია, ასე ხშირად რომ ახსენებდა მერაბ მამარდაშვილი.

ჩვენი კულტურა გადაჯერებული აღმოჩნდა მზამზარეული მეტაფორებით, რომლებიც მას განსაზღვრავენ არა როგორც გზასა და ჭეშმარიტებასთან მოთანავეს, არამედ იდენტობის სასაზღვრო ინტენსივობის მქონეს, როდესაც წარსული, როგორც საკუთარი ხატი, გიპყრობს, გასაქანს არ გაძლევს და უჰაერობის ამ მდგომარეობაში ხარ გახევებული. ვფიქრობ, სწორედ ამ თვითდაკონსერვების ვნებაში მიმალული სუიციდის წინააღმდეგ იყო წარმოთქმული მამარდაშვილის ცნობილი სიტყვები: „ეს სიბნელე და უვიცობა გამოხატულებაა იმ ფაქტისა, რომ დანგრეულია თვით აზროვნების შესაძლებლობის ენობრივი ველი", ან კიდევ უფრო ცნობილი: „ჩემთვის, როგორც ქრისტიანისთვის, ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას. ჭეშმარიტება" ამ გამონათქვამში სწორედ სიცოცხლის სინონიმურია. ეს სიტყვები, რომლებმაც ესოდენ მძაფრი რეაქცია გამოიწვია, პასუხი გახლდათ წმინდა ვიტეს იმ როკვაზე, ერთი და იმავე ფორმების დაუსრულებელ და უსაზრისო განმეორებაზე, რომელშიც ჩართული აღმოჩნდა ჩვენი სულიერება, ერთი და იმავე მოძრაობებისა და ფორმების შიზოფრენიულ განმეორებაზე. რეაქცია, რომელიც ამ განაცხადს მოჰყვა, სწორედ შიზოფრენიული ბოდვის მხილების, შერყვნილი იდენტობის განცდამ გამოიწვია. იგი სწორედ კონკრეტულ ფორმებთან საკუთარი თავის ისტერიული გაიგივებისა და ამით პასუხისმგებლობისაგან გაქცევის შანსის დაკარგვის შიშს შეიძლება მოჰყოლოდა. მამარდაშვილი თითქოს შეეხო იმ საკრალურობას, რომელიც, როგორც ვთქვი, თვით დაკონსერვების გზით თავის გადარჩენისკენ იყო მიმართული.

მიუხედავად ამისა, როგორც ფილოსოფოსმა ზაზა შათირიშვილმა უწოდა, მამარდაშვილმა შექმნა თანამოაზრეთა, განდობილთა ფორმალურ გარკვეულობას მოკლებული საძმო, რომელიც დღემდე იმ რეზონანსით განაგრძობს არსებობას, რომელიც აღიძრა 80-იანი წლების მეორე ნახევარში უნივერსიტეტის 93-ე, თუ ფიზიკის დიდ აუდიტორიაში, სადაც მის ლექციებს ვისმენდით. მას ჩვენთვის არ მოუცია პასუხები, მან ჩვენ იმპულსები მოგვცა საიმისოდ, რომ ცნობიერების

> **მას ჩვენთვის არ მოუცია პასუხები, მან ჩვენ იმპულსები მოგვცა საიმისოდ, რომ ცნობიერების ახალი ჰორიზონტის მოქალაქეებად გვეგრძნო თავი და ისე გვეძია პასუხები.**

ახალი ჰორიზონტის მოქალაქეებად გვეგრძნო თავი და ისე გვეძია პასუხები.

ის, რასაც მერაბ მამარდაშვილი და მასთან რეზონანსში მოქცეულნი აკეთებდნენ და აკეთებენ საქართველოში, არის ერთგვარი ეგზორციზმი: მომხიბვლელ მეტაფორებს ამოფარებული მახინჯი საკომუნიკაციო დემონების, თვითკონსერვაციის წლების განმავლობაში გამოკვებილი ერთგვარი კოლექტიური ავსულების განდევნა. რა არის დემონი? იგი ტკბობით და გატაცებით გვამეტყველებს უცნაურ, ჭეშმარიტებისა და ზნეობის ინსტინქტებისათვის გაუგებარ ენაზე. რომელიღაც მითოლოგიურ სიბრტყეზე განგვათავსებს და შთაბეჭდილებას გვიქმნის, რომ კოსმოგენიის მონაწილენი ვართ და როგორც ყველა მითოლოგიური პერსონაჟი, თავისუფალნი ვართ ზნეობრივი და ინტელექტუალური იმპერატივებისგან. სწორედ მეტაფორაში შეფარებული დემონი იყო დრამატურგი 1989 წლის 9 აპრილის, 1991 წლის 2 სექტემბრის, 2011 წლის 26 მაისისა. თავის დროზე მერაბ მამარდაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება სახალხო ფრონტის თავყრილობაზე ჭეშმარიტებისა და სამშობლოს შესახებ, სხვა არაფერი იყო, თუ არა ეგზორციზმის გულუბრყვილო მცდელობა. ასეთივე მცდელობა იყო მისი განცხადება: „უნდა ვიბრძოლოთ არა ენის დასაცავად, არამედ იმის გამო, რაც ამ ენაზე ითქმის".

„კარტეზიანულ განაზრებებში" მამარდაშვილი იხსენებს დეკარტეს სიტყვებს: „ვაპირებ რა ამა ქვეყნის თეატრის სცენაზე ასვლას – თუმცა კი აქამდე მხოლოდ მაყურებელი ვიყავი – მე ნიღბით წარვდგები!" ამ სიტყვებს მამარდაშვილი ასე იაზრებდა: ყოველი ფილოსოფოსი ჯაშუშია, სხვებისთვის უცნობი სამშობლოს, რაღაც განსხვავებული რეალობის ჯაშუში. ყველაფერს, რის გარემოცვაშიც უწევს არსებობა, ფილოსოფოსი შორიდან უცქერს, სხვა რეალობის პრიზმიდან ლამობს იმ უცხო რეალობის ნიშნები წაიკითხოს ყოველდღიურ არსებობაში, თუმცა კი იძულებულია ატაროს ის ქუდი, რომელსაც იმ ქვეყანაში ატარებენ, სადაც ცხოვრობს. მიუხედავად ამისა, ჯაშუშს ერთი უბედურება სჭირს – იგი იმთავითვე მხილებულია, რადგან, როგორი ოსტატური ნიღაბიც არ უნდა გაიკეთოს, როგორც არ უნდა შეეცადოს, რომ გარემომცველებივით გამოიყურებოდეს, მის თვალებში მაინც იციალებს თითქმის შეუმჩნეველი ნაპერწკალი, რომლითაც იგი ამოიცნობა. ისიც უნდა ვაღიარო, რომ მამარდაშვილი ვერ იყო კარგი ჯაშუში: იგი ზედმეტად ფილოსოფოსი იყო და ზედმეტად უყვარდა ჭეშმარიტება საიმისოდ, რომ ამ ქვეყნის ქუდი მოერგო. ასეთები კი, ცხადია, სოციალურად ყოველთვის წარუმატებლები არიან.

ზაზა ფირალიშვილი



თუმცა, სწორედ მარადი განახლების იმ პათოსის წყალობით, რომელსაც მამარდაშვილი ატარებდა, როგორც თავისი სულის უარსებითეს მარცვალს, მავანთა აზრის საპირისპიროდ, იგი უაღრესად ქართული ფენომენია. ვფიქრობ, მისი მსგავსი ადამიანების წყალობით, უკვე მოინიშნა ის თავწყაროები, რომლებიც ჩვენი კულტურისა და სულიერების ახალ ისტორიულ გზად შეიძლება გადაიქცეს.

სენსაციური აღმოჩენა და თვალსაზრისები

მეცხრე გვერდიდან

ალექსანდრე თვალჭრელიძე: „მე ვლობირებ საქართველოს ინტერესებს“

ალექსანდრე თვალჭრელიძე,
გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი:

— ***ბატონო ალექსანდრე, რა არგუმენტები არსებობს იმის დასადასტურებლად, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის საბადო არ არის უძველესი ოქროს მომპოვებელი საბადო და მხოლოდ არქეოლოგიური ობიექტია?***

— დავიწყებ იმით, რომ ხსენებული არქეოლოგთა ჯგუფი საკმაოდ კარგად მუშაობდა მანამ, სანამ ცოცხალი იყო ძალიან დიდი მეცნიერი ოთარ ლორთქიფანიძე. მაშინ ის არ აძლევდა არქეოლოგებს უფლებას, ოდნავ მაინც დაერღვიათ სამეცნიერო ეთიკის ძალიან ხისტი ნორმები.

საყდრისის ის ძეგლი, რასაც დღეს უძველეს ოქროს მაღაროს ეძახიან, 80-იანი წლების დასაწყისში იქნა აღმოჩენილი, მაგრამ მაშინ ძიება მიდიოდა არა ოქროს, არამედ სპილენძის მადნების აღმოსაჩენად. ოქროს შესახებ ჩემმა კოლეგამ, ღვაწლმოსილმა მეცნიერმა ბენო გოგიშვილმა მხოლოდ 1976 წელს გამოაქვეყნა პირველი შრომები, სადაც თქვა, რომ ბოლნისში შესაძლოა ოქრო იყოს. მაშინ არავინ იცოდა ბოლნისში ოქროს არსებობის შესახებ.

საყდრისში მაშინ მიდიოდა სპილენძის ძიება. სპილენძის ძარღვების შემცველი ქანებისთვის, სადაც ოქრო იყო განაწილებული, ყურადღება არავის მიუქცევია, რადგან მაშინ ჩათვალეს, რომ ეს არარენტაბელური იყო.

90-იანი წლების შუა პერიოდში ავსტრალიურ-ქართულმა კომპანიამ ჩაატარა პირველი რევერსული ბურღვა და საყდრისში ოქრო აღმოაჩინა. 90-იანი წლების ბოლოს ცნობილი გახდა, რომ საყდრისის საბადოზე დაახლოებით 20 ტონა ოქროა კვარციტულ ქანებში გაბნეული. ეს მონაცემები უცვლელად რჩება დღესაც.

2006 წელს აქ მუშაობა დაიწყო არქეოლოგთა ჯგუფმა. ქართველმა მეცნიერებმა, გერმანელ მეცნიერებთან — შტლონერთან, კაუფმანთან და სხვებთან ერთად, გადაწყვიტეს, რომ შეექმნათ „ბუმი“ - თითქოს საყდრისში არის უძველესი (პირველი) ოქროს მაღარო — ყველაზე ძველი მსოფლიოში, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ავხსნი, რატომაც:

პირველი: მონოგრაფიაში, რომელიც მეცნიერთა ამ ჯგუფმა (ქალბატონი ირინე ღამბაშიძის, ბატონი თ. შტონერის და სხვათა ავტორობით) გამოსცა, ჩვენ ვხედავთ აშკარა ფალსიფიკაციას. მონოგრაფიაში მოცემულ სურათზეც ჩანს და რეალობაშიც ასეა, რომ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ დაჟანგული რკინის და სპილენძის მინერალები. ასე რომ, მოსაზრება, რომ საყდრისში არის მსოფლიოში უძველესი ოქროს მაღარო, არ დასტურდება.

მეორე: ამ ქანებში ოქროს შემცველობები ძალიან მცირეა — 3-5 გრამი ერთ ტონა ქანზე. თქვენ წარმოგიდგენიათ, რომ უძველეს ადამიანებს, ქვის იარაღით, რომელიც გაცილებით რბილია, ვიდრე ოქროს შემცველი ქანები, გაეტეხათ 5 ტონა ქანი იმისთვის, რომ 15-20 გრამი ოქრო მოეპოვებინათ?

მესამე: XIX საუკუნის შუა ხანებამდე (1843 წლამდე), სანამ ჩვენმა დიდმა თანამემამულემ და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთერთმა დამფუძნებელმა პეტრე ბაგრატიონმა (გენერალ პეტრე ბაგრატიონის ძმისწული) მეცნიერულად არ დაამტკიცა ოქროს მიღების ციანიდური ხერხი და არ დაასაბუთა ნატრიუმის ციანიდის მეშვეობით ოქროს ამოღების ტექნოლოგია, ასეთი მაღაროებიდან თვალით უხილავი ოქროს ამოღება შეუძლებელი იყო. სხვათა შორის, მაშინ ამ აღმოჩენას არავინ მიაქცია ყურადღება. პირველად მხოლოდ 1874 წელს გააკეთა შოტლანდიურ-ირლანდიურმა შერეულმა ჯგუფმა სამრეწველო ცდები ოქროს ამ ხერხით მიღებაზე (მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ დაივიწყეს ამ მეთოდის აღმომჩენი და აღნიშნეს, რომ მეთოდი პეტრე ბაგრატიონის მიერაა გამოგონილი). ამ მეთოდმა შეცვალა, ამალგამირების მეთოდი (ამალგამირების მეთოდი ცნობილია XVI საუკუნიდან) და დღესაც უალტერნატივოდ ითვლება.

— ***როგორც ვიცით, ქართულ-გერმანულმა ექსპედიციამ ჩაატარა ექსპერიმენტი და ამ საბადოდან ოქრო მიიღო. ეს არ არის დამადასტურებელი ფაქტი იმისა, რომ ძვ.წ.აღ-ით IV ათასწლეულში აქ ნამდვილად შეიძლებოდა ოქროს მომპოვებელი საბადო ყოფილიყო?***

— რაც ჩამოვთვალე, ეს არის ძალიან ძლიერი სამეცნიერო, ობიექტური და ჭეშმარიტი არგუმენტები. მეცნიერთა ზემოთ აღნიშნულ ჯგუფს კი ამ ფაქტების გაქარწყლება სჭირდებოდა. ამისთვის მათ მიმართეს არამეცნიერულ ხრიკს და ჩაატარეს ექსპერიმენტი — შეიძლებოდა თუ არა ოქროს ამოღება ძარღვებიდან. ამ ექსპერიმენტის შედეგად მათ ოქრო მიიღეს, მაგრამ ეს ექსპერიმენტი არასწორი და არაკორექტული იყო. აგიხსნით, რატომ:

როდესაც 80-იანი წლების დასაწყისში ძარღვი გაიხსნა, ის დაჟანგული არ იყო. ის შედგებოდა სულფიდური მინერალებისაგან. დაჟანგვის სისწრაფე სეისმურად აქტიურ ზოლში ძალიან დიდია. მე ბოლნისში ჩამოსულ მეცნიერთა ჯგუფს ვანახე შარშან გაჭრილი ნიადაგის შრე, რომელიც ერთი მეტრის სიღრმეზე უკვე დაჟანგულია. დაჟანგვის ასეთი სისწრაფის შედეგად, ცხადია, 30 წლის განმავლობაში მადანი მთლიანად დაიჟანგებოდა.

როცა საბადოს ოქროს მოპოვებისთვის ამზადებენ, აკეთებენ ოქროს ფაზურ ანალიზს. ეს გულისხმობს იმის დადგენას, თუ რა ფორმით გვხვდება საბადოში ოქრო — სულფიდებშია მოქცეული, თვითნაბადია, თავისუფალია და ა.შ. საყდრის იმ ძარღვებში, რომელსაც არქეოლოგთა ჯგუფი უძველეს ოქროს მაღაროდ მიიჩნევენ, აღმოჩნდა, რომ ოქროს 85 პროცენტი სულფიდების კრისტალურ მესერშია განთავსებული. როცა დაჟანგვა მოხდა, სულფიდები დაიშალა და ეს ოქრო გამოთავისუფლდა, რადგანაც ის გაიხსნა გოგირდმჟავაში. ამდენად, მეცნიერთა ჯგუფს ამ მადნიდან ოქროს ამოღება დღეს და ამ პირობებში (როცა მადანი დაჟანგულია) არ გაუჭირდებოდა. სანამ სულფიდური მადანი არსებობდა, მასში თავისუფალი ოქროს შემცველობა იყო 0,5-0,6 გრამი ტონაზე, რაც ტექნოლოგიურად, სულფიდური მადნებიდან, ქიმიური მეთოდებითაც კი, ახლაც ამოუღებადია და გამორეცხვით — მით უფრო.

ასე რომ, აქ საქმე გვაქვს ფალსიფიკაციასთან. საბადოს ბედი ბეწვზე ჰკიდია (1 ოქტომბრამდე აქვთ არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების და ოქროს მოპოვების დაწყების ვადა), მოსასწრებია არქეოლოგიური სამუშაოების დასრულება და იმ ტერიტორიაზე ჩვენი ოპონენტი მეცნიერების მხრიდან არავინ გვინახავს. ისინი მხოლოდ პიარ-მეთოდების გამოყენებით არიან დაკავებული, დგანან ფუღუროსთან და ატარებენ აქციებს „გადაარჩინეთ უძველესი ძეგლი!“ ვიმეორებ, ეს გამოქვაბული არ არის პრეისტორიული – ეს არის „შტოლნა“, რომელიც XX საუკუნის ბოლოს გაიყვანა გეოლოგიურმა სამსახურმა. მადლობა ღმერთს, ნორმალური, პატიოსანი არქეოლოგები დამიკავშირდნენ გერმანიიდან და მე მათ ობიექტური ინფორმაცია მივაწოდე.

— ***ცნობილია, რომ მეცნიერთა ნაწილი ემხრობა ობიექტის დროებით კონსერვაციას, მანამ, სანამ აქ არქეოლოგიური სამუშაოები არ დასრულდება. თქვენ რა აზრის ხართ?***

— რაც შეეხება დროებით კონსერვაციას, ამას არ უნდა დიდი დრო. იმ „შტოლნებში“ თითო-ოროლა არტეფაქტია ნაპოვნი. სინამდვილეში იქ გარეთ ნაპოვნი არტეფაქტებია შეტანილი და მათ გამოტანას ერთი დღე უნდა.

სხვა გზებიც არსებობს. მაგალითად, მუზეუმი შეიძლება გაკეთდეს. ისიც შეიძლება, რომ მოიჭრას გორაკის ნაწილი და განთავსდეს მუზეუმში. სხვათაშორის, მე მოვიწვიე საქართველოში ერთერთი საუკეთესო ლანდშაფტური დიზაინერი. მან შეიმუშავა მუზეუმის იდეა, რომელსაც მართლა ექნება ტურისტული დატვირთვა და რომელშიც გადმოვა ამ ძეგლის ფასეული ნაწილი თავის მასშტაბით.

მსოფლიოში არც ერთხელ არ მომხდარა, რომ არქეოლოგიურ გათხრებს სამრეწველო საქმიანობა შეეჩერებინოს. მოგიყვანოთ რამდენიმე მაგალითს: ათენის სინტაგმას მეტრო — ამ მეტრომ გაიარა კულტურულ შრეში და იქ ჩანს არა მხოლოდ არტეფაქტები, არამედ, ადამიანის ჩონჩხებიც, ანუ ბერძნებმა ნამარხიც არ დაინდეს... აი, ეს მეტროსადგური არის ძალიან საინტერესო მუზეუმი; თუ გერმანელები ამბობენ, რომ არქეოლოგიური ძეგლის გადატანა არ შეიძლება, მაშინ პირეუსის გათხრებიდან, კვიპროსიდან, რატომ გადაიტანეს ზევსის საკურთხეველი ბერლინში? მეტროპოლიტენ-მუზეუმი ნახეთ, რამდენი არტეფაქტი და ისტორიული ძეგლია გადატანილი? მაშინ ხმა არავის ამოუღია და როცა საქართველოს შეეხო ანალოგიური რამ, ატეხეს ამბავი, რომ არ შეიძლება მხოლოდ იმიტომ, რომ ბატონმა შტოლნერმა 800 000 ევროიანი გრანტი არ დაკარგოს... ეს მაშინ, როცა ამას ჩვენ უნდა შევწიროთ კომპანია, რომელმაც 250 მილიონად იყიდა ლიცენზია და 3200 ადამიანს ასაქმებს.

— ***ბატონო ალექსანდრე, თქვენს ოპონენტებს უჩნდებათ აზრი, რომ თქვენ და მეცნიერთა გარკვეული ნაწილი თავგამოდებით იცავთ კომპანია „ერ ემ ჯი“-ს და ლობირებთ მას. უფლება არ გვაქვს, ჩვენც არ დავსვათ ეს კითხვა — ხომ არ ეწირება ოქროს მომპოვებელი კომპანიის ინტერესებს ქართული კულტურის ძეგლი?***

— მე ვლობირებ საქართველოს ინტერესებს. მომპოვებელ კომპანიასთან მე არავითარი საქმე არა მაქვს, მაგრამ ამ ხალხს ვიცნობ. სანამ ეს ჯგუფი შემოვიდოდა, იქ მუშაობდა რუსული კომპანია, რომელსაც მხოლოდ მოგება აინტერესებდა. მოხდა ჩანაცვლება და დღეს ამ კომპანიაში 100 პროცენტი ქართველები არიან დასაქმებული. სააქციო საზოგადოება მადნეული არის ყველაზე დიდი კომპანია საქართველოში, რომელიც მუშაობს. რასაკვირველია, მე მათ ინტერესებს ვიცავ, მინდა, რომ საქართველოს ყველაზე დიდმა სპილენძისა და ოქროს საბადომ საქართველოს მოგება მოუტანოს.

კიდევ ერთი — არსებობს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ოფიციალური დასკვნა, რომელშიც ნათქვამია, რომ, თუ აქ სამთო საქმიანობა გაჩერდება, ეს რაიონისთვის ეკოლოგიურ კატასტროფას გამოიწვევს. ამდენად, რახან ეს საბადო გაიხსნა, აქედან მადნის ამოღება უნდა დასრულდეს. რატომ? როცა მადანი დახურულია, ის წონასწორობაშია ბუნებასთან. როგორც კი გაიხსნება, იწყებს დაჟანგვას და თუ ეს მადანი საბადოდან არ ამოიკვეთა, მავნე მეტალები გადავა გრუნტის წყლებში. მადნეულის კომბინატი სამი წელი არ მუშაობდა და ნახეთ რა მოხდა? მთელი ეს მავნე მეტალები მდინარე მაშავერაში ჩავიდა, რისი გაწმენდა და ზიანის გამოსწორებაც დღემდე ვერ ხერხდება. ადამიანებზე მავნე ზემოქმედებაც მხოლოდ ახლა გახდა შესამჩნევი.

რატომღაც როცა ექსპერტი სიმართლეს ამბობს, ადვილად აბრალებენ მას, რომ ვიღაცას ლობირებს, არადა, მე ვლობირებ საქართველოს კულტურულ და ეკონომიკურ ინტერესებს.

გურამ ლორთქიფანიძე: „კომპრომისი აუცილებლად უნდა მოიძებნოს“

მეცნიერთა ის ჯგუფი, რომელმაც საყდრისის ექსპერტიზა ჩაატარა, დღეს უკვე დასკვნაზე მუშაობს, მათ შორისაა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე, რომელსაც აუცილებლად მიაჩნია პრობლემის გადაწყვეტა ისე, რომ არც არქეოლოგიური ძეგლი დაზარალდეს და არც სამრეწველო წარმოება. ჩვენ მას ბოლნისის მონახულებიდან მეორე დღეს ვესტუმრეთ.

— ***ბატონო გურამ, თქვენ როგორც დამოუკიდებელი ექსპერტი, მიიჩნევთ თუ არა, რომ საყდრისი არქეოლოგიური ძეგლია და მის ტერიტორიაზე ოქროს წარმოება უნდა შეწყდეს?***

— თანამედროვე მსოფლიოში ეს პრობლემა ძალზე აქტუალურია: ინდუსტრიალიზაციის განვითარებასთან ერთად ხდება არქეოლოგიური ძეგლების განადგურება და ამის სტატისტიკის მოყვანაც შეიძლება. ურბანიზაციის ძალიან დაჩქარებული პროცესი, ახალი სასოფლო-სამეურნეო მიწების ათვისება, მოსახლეობის ზრდა, საბოლოო ჯამში არქეოლოგიური ძეგლების განადგურებას უწყობს ხელს. სტატისტიკის მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობის (არქეოლოგიური ძეგლების) 25 პროცენტი ინდუსტრიალიზაციის პროცესში უკვე განადგურებულია. ეს პრობლემა აქამდე ყველგან იდგა. დღეს უკვე იგივე პრობლემა დადგა საქართველოში, კერძოდ, ბოლნისშიც.

იმაში, რომ საყდრისის ეს საბადო არქეოლოგიური ძეგლია, ეჭვი არავინ უნდა შეიტანოს. არ აქვს მნიშვნელობა, აქ ოქრო მოიპოვებოდა თუ სპილენძი, ეს არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი ანუ „კულტურული რესურსი“ რადგან აქ აღმოჩენილია 5 000-მდე შრომის იარაღი – ამბოსები, ხელცულები, წერაქვები, სოლები, ძვლის იარაღები, რომლითაც ამოღებულია სპილენძის მადანი. ვიმეორებ, ოქროს მოიპოვებდნენ თუ სპილენძს, ეს არ ცვლის ამ ძეგლის მნიშვნელობას — ეს არის კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარი და კულტურული ძეგლი და ისიც რეალურია, რომ ამ ძეგლს განადგურება ემუქრება. ამიტომ დადგა მისი ექსპერტიზის საკითხი და მე და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს კიაზო ფიცხელაურს დაგვევალა ამ ობიექტის შესახებ დასკვნის გაკეთება, რომელსაც განიხილავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება (ხელმძღვანელი აკადემიკოსი როინ მეტრეველი).

— ***რა გზა გესახებათ ამ პრობლემის მოგვარებისთვის? დაახლოებით რას უნდა ველოდოთ იმ დასკვნაში, რასაც მეცნიერთა ჯგუფი შეიმუშავებს?***

— ჩემი მოსაზრება ასეთია: კომპრომისი უნდა მოიძებნოს. ძეგლს ჩვენ ვერ გადავარჩენთ, რადგან ინდუსტრიალიზაციის პროცესში ჯერ არცერთ არქეოლოგს არ გადაურჩენია არქეოლოგიური ძეგლი. ამდენად, წინ ვერ აღვუდგებით წინ ქვეყნის ინტერესებს, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა, ზუსტად დავიცვათ ინსტრუქციით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა – მოხდეს ძეგლის ფიქსაცია და მისი გარკვეული მონაკვეთის კონსერვაცია, რომლის შემდეგაც ოქროსმომპოვებელი ფირმა გააგრძელებს მუშაობას. სახეზეა კლასიკური მაგალითი ინტერესების კონფლიქტისა. თანამედროვე არქეოლოგია მოვალეა, იზრუნოს არა მარტო ძეგლის გათხრაზე, არამედ მის დაცვა-კონსერვაციაზეც.

მანამდე საჭიროა ჩატარდეს გეოქიმიური ექსპერტიზები იდენტიფიკაციის დასადგენად, თუმცა ე.წ. „მტკვარ-არაქსის კულტურაში“ (IV-III ათასწ.) არ არის ოქროს ნივთები. შეძლებდა ეს საზოგადოება ოქროს ძვირადღირებული წარმოების ორგანიზაციას და კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფას? და ბოლოს, ვინ იყო ამ პროდუქტის მომხმარებელი, ვინ იცავდა მის უსაფრთხოებას?! ეს, როგორც ცნობილია, მხოლოდ ადრეკლასობრივ საზოგადოებას (შუმერი, აქადი, ეგვიპტე და სხვ.) შეეძლო. მართალია, პირველი ლითონი, რომელიც კაცობრიობამ აითვისა, ოქრო იყო, მაგრამ ის იყო თვითნაბადი, ანუ ალუვიალური (მდინარეული) წარმოშობისა, რომელსაც მესაქონლე-მომთაბარეები პოულობდნენ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კლდის ის ნაწილი, სადაც, სავარაუდოდ, ოქროს გადამუშავება ხდებოდა, დარჩეს და მოხდეს დროებითი კონსერვაცია. უნდა გაკეთდეს მუზეუმი, რომ მნახველს წარმოდგენა შეექმნეს ამ ძეგლზე და შეეძლოს მისი დათვალიერება. მუდმივ ექსპოზიციაში გამოიფინება აქ ნაპოვნი არტეფაქტებიც.

თუ ობიექტს მივატოვებთ, სეისმურად არამდგრადი გვირაბი მაინც დაიშლება, რადგან იქ უკვე ტექტონიკური ბზარებია. კომპანია „ერ ემ ჯი“-ს დახმარებით, ალბათ შეიძლება ამ ძეგლის (კლდის) მოჭრა და გადატანაც, რითაც მას ნაწილობრივ გადავარჩენთ.

1979 წელს აშშ კონგრესმა მიიღო კანონი ქვეყნის „არქეოლოგიური რესურსების დაცვის“ თაობაზე, რომელიც ინტერესების კონფლიქტის პირობებში საზოგადოებისა და კერძო კომპანიების კომპრომისებს ითვალისწინებს. ამისთვის 1980 წელს დაარსდა ე.წ. „არქეოლოგიური კომიტეტი“ — არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც იღვწის კერძო საკუთრებაში არსებული ძეგლების გადარჩენისთვის. საჭიროა ანალოგიური ინსტიტუცია ჩვენთანაც დაარსდეს. წარმოება არ უნდა შეჩერდეს!

P.S. მასალაზე მუშაობის პერიოდში ვცდილობდით ქალბატონ ირინა ღამბაშიძესთან დაკავშირებას, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული საკონტაქტო მონაცემებით მასთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ. გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ მზადაა, სურვილის შემთხვევაში, ქალბატონი ირინას მოსაზრებებს შემდეგ ნომერში დაუთმოს ადგილი.

ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲡ!

ᲛᲐᲡ ᲐᲠᲪ ᲗᲣ ᲘᲡᲔ ᲡᲐᲮᲐᲠᲑᲘᲔᲚᲝ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐᲮᲕᲓᲐ — ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲡᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ

ᲒᲝᲩᲐ ᲩᲝᲒᲝᲕᲐᲫᲔ,
აკადემიკოსი, დიპლომატი:

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲡ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ — ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲞᲐᲞᲐᲕᲐ. ᲛᲐᲡ ᲐᲠᲪ ᲗᲣ ᲘᲡᲔ ᲡᲐᲮᲐᲠᲑᲘᲔᲚᲝ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐᲮᲕᲓᲐ — ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲡᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ. ᲘᲒᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲖᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲓᲐ ᲔᲭᲕᲘ ᲐᲠ ᲛᲔᲞᲐᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲬᲚᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲘᲡᲔ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ. ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲡ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ — ᲑᲝᲚᲝ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐᲓ �გᲐᲒᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑ ᲠᲝᲘᲜ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲡ. ᲕᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑᲓᲘ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲚᲐᲓᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲠᲩᲔᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲔᲠᲗ ᲘᲡᲔᲗ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲔᲠᲐᲡ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲡ.

ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲛᲘᲕᲣᲚᲝᲪᲝ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ! ᲛᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲕᲐᲤᲐᲡᲔᲑ ᲪᲝᲓᲜᲐᲡ. ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐ ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲐ. ᲠᲝ�გᲝᲠᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐᲪ ᲒᲕᲔᲧᲝᲚᲔᲑᲐ, ᲘᲡᲔᲗᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ. ᲕᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑᲓᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲛ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲡ ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲐᲯᲝᲑᲝᲡ. ᲛᲐᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲜ. ᲕᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑ ᲛᲐᲗ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲡ!

ᲗᲣ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ, ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲖᲔ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲞᲜᲘᲡ ᲑᲣᲨᲢᲘᲕᲘᲗ ᲒᲐᲡᲙᲓᲔᲑᲐ

ᲚᲐᲓᲝ ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ,
იურისტი:

ᲒᲣᲚᲘᲗ ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲚᲐᲓᲝᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐᲖᲔ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲡ. ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲔᲓᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲔᲕᲠᲝ�პᲣᲚᲘ ᲢᲘ�პᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲓᲔᲡ. ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲚᲐᲓᲝᲡᲐᲪ ᲔᲡ ᲡᲣᲠᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲕᲣᲡᲣᲠᲕᲝ ᲩᲐᲜᲐᲤᲘᲥᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲖᲔ. ᲐᲛ ᲡᲤᲔᲠᲝᲔᲑᲨᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲣᲩᲜᲐᲠᲘᲐ. ᲛᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲕᲐᲤᲐᲡᲔᲑ ᲪᲝᲓᲜᲐᲡ. ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐ ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲓᲔᲗ. ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲔ, ᲯᲐᲜᲡᲣᲯ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ, ᲒᲘᲕᲘ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ, ᲗᲐᲛᲐᲖ ᲑᲘᲑᲘᲚᲣᲠᲘ, ᲠᲔᲖᲝ ᲘᲜᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ... ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲛᲐᲧᲝᲑᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲐᲕᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲗ. ᲘᲒᲘᲕᲔ ᲨᲔᲒᲠᲫᲜᲔᲑᲐ ᲔᲥᲜᲔᲑᲐᲗ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡᲐᲪ — ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲘᲐᲛᲐᲧᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ!

ᲓᲐᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ, ᲐᲮᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲡ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲜᲐ

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲢᲐᲑᲘᲫᲔ,
პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე:

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲠᲡᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲛᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲐ ᲓᲐᲠᲒᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲪᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲐ. ᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲣᲦᲠᲛᲐᲕᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ, ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ, ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲘᲡ, ᲐᲡᲢᲠᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ. ᲐᲛ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲒᲣᲚᲔᲑᲔᲚᲧᲝᲤᲐᲡ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲜᲐᲭᲣᲭᲨᲘ ᲩᲐᲙᲔᲢᲕᲐ ᲛᲝᲡᲓᲔᲕᲡ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲔᲓᲐᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲒᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ. ᲘᲒᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲞᲐᲚᲘᲛᲤᲡᲔᲡᲢᲔᲑᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲓᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲞᲚᲐᲖᲛᲔᲑᲨᲘ ᲰᲘᲓᲠᲝᲜᲔᲘᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲢᲐᲚᲦᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲐᲡᲐᲪ. ᲔᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲡ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲢᲙᲘᲕᲜᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ — ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲠᲗᲝᲑᲘᲡᲐᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲐ.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ — ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ. ᲖᲔᲛᲓᲒᲝᲛᲗᲐ ᲗᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲥᲜᲔᲕᲐ ᲙᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲕᲓᲔᲡ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲡᲘᲚᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ.

ᲐᲠᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚ ᲩᲐᲦᲠᲛᲐᲕᲔᲑᲡ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ. ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲓᲐᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲡ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲜᲐ.

ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲐᲓ ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲡ. ᲛᲐᲗᲖᲔ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ. ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲐᲜᲐᲖᲦᲕᲠᲐᲕᲔᲜ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲡ. ᲕᲐᲘ, ᲘᲛ ᲚᲔᲥᲢᲝᲠᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲔᲡᲬᲠᲔᲑᲘᲐᲜ — „ᲐᲠᲐ“ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲘᲪᲘᲚᲝᲜ.

ᲔᲠᲗᲘᲪ: ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ �გᲐᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲡ! ᲬᲘᲗᲜᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲨᲗᲐᲜᲗᲥᲝᲡ!

ᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲡᲔᲕ ᲡᲐᲐᲛᲐᲧᲝ ᲓᲠᲝ

ᲢᲐᲠᲘᲔᲚ ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ,
პოეტი:

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲥᲠᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲐ. ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲒᲐᲣᲤᲔᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲮᲓᲐ — ᲠᲐᲦᲐᲪ ᲒᲐᲣᲤᲐᲡᲣᲠᲓᲐ, ᲠᲐᲦᲐᲪᲔᲑᲘ ᲖᲔᲠᲔᲚᲔᲓ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲐ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝᲓ ᲒᲐᲕᲘᲮᲐᲠᲔᲑ, ᲗᲣ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲛᲐᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲔᲑᲡ ᲘᲛ ᲫᲕᲔᲚ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ, ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲝᲗᲐᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲕᲐᲛᲐᲧᲝᲑᲓᲘᲗ.

ᲓᲦᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲓᲔᲕᲐᲚᲕᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲤᲐᲡᲣᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ. ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲮᲘᲡ ᲫᲘᲠᲨᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲐᲐᲠᲥᲕᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲩᲕᲔᲜ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ — ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲘᲡ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲔ. ᲔᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲠᲐᲦᲐᲪ �გᲐᲣᲒᲔᲑᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ ᲛᲝᲰᲕᲓᲐ. ᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲡᲔᲕ ᲡᲐᲐᲛᲐᲧᲝ ᲓᲠᲝ. ᲒᲐᲛᲘᲮᲐᲠᲓᲔᲑᲐ, ᲗᲣ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ ᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲛᲝᲕᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲔᲑᲡ ᲘᲛ ᲫᲕᲔᲚ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ, ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲝᲗᲐᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲕᲐᲛᲐᲧᲝᲑᲓᲘᲗ.

ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲕᲔᲡᲘᲢᲐᲫᲔ,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი:

ᲚᲐᲓᲝ ᲞᲐᲞᲐᲕᲐᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐᲓ ᲐᲠᲩᲔᲕᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲘᲒᲝ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ, ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲑᲔᲚᲣᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲘ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ. ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲐᲓᲝᲡ ᲣᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲐ, ᲠᲐᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲒᲕᲐᲩᲜᲘᲐ. ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ. ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲓᲘᲓᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲡᲐᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲐᲕᲐᲚᲐᲚᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘᲐ...

ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲝᲛᲐᲡ! ᲕᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲖᲐᲠᲔᲚ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ. ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲛᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲠᲐᲛ ᲘᲪᲝᲓᲜᲔᲜ — ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲡᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲡᲢ